China too is testing US global dominance. The Belt and Road Initiative is its effort to expand its global economic influence. Its growing military confidence in the Pacific, the repression of self-rule in Hong Kong, and impatience with Taiwan's independence and

desires to resolve unification soon demonstrate the challenge to US supremacy. Moreover under Donald Trump across the world many countries questioned US willingness and resolve to organizations such as NATO. The Ukraine conflict and Joe Biden's statement that he will not send troops there if Russia invades makes one wonder if Russia will be deterred. But especially after the botched withdrawal from Afghanistan, many question across the world what the US is willing to fight for now, and even in NATO small states such as Lithuania wonder now if Europe is alone. Finally, the inward turn of the US under Trump and Biden now make democracy less secure, with Freedom House pointing to several years where democracy and individual rights, including in the US, are receding. Illiberalism is on the rise, and there seems to be little resolve to challenge it. What at what point looked like the global victory for democracy and American values is less certain today.

Why is this challenge to America's global status significant? Historically, or at least since World War II, the United States has made support of liberal democratic values as central feature of its foreign policy. The state of US domestic politics, including a political consensus or commitment to democratic values domestically, made it easier to advance democracy globally (Small 1995). Now with the US internally divided and its own democratic commitment called into question, is it no longer clear if it is in a position to defend democracy across the world. This is not good news for countries such as Georgia or Ukraine, both of which need US support to control threats to the emergence of democracy in their countries. In addition, with the US being tested on many fronts internally and globally, it is perhaps no longer in a position to come to the rescue for democratic threats across the world. Simply put, the fragility of democracy in the US has lessened the image and status of America globally, and it is simply no longer able to serve either as a role model of defender of democratic values and institutions.

REFERENCES

1. Almond, Gabriel A., and Sidney Verba. 1963. *The Civic Culture*. Boston: Little Brown.
2. Bishop, Bill. 2009. *The Big Sort: Why the Clustering of Like-Minded America is Tearing Us Apart*. New York: Mariner Books.
3. Christoph, James B. 1965. "Consensus and Cleavage in British Political Ideology," *American Political Science Review* 59: 629 – 642.
4. Dahl, Robert A. 1956. *A Preface to Democracy Theory*. Chicago: University of Chicago Press.
5. Dahl, Robert A. 1971. *Polyarchy: Participation and Opposition*. New Haven: Yale University Press.
6. Dahl, Robert A. 1976. *Democracy in the United States: Promise and Performance*. New Haven: Yale University Press.
7. DeLeire, Thomas, and Leonardo M. Lopoo. 2010. *Family Structure and the Economic Mobility of Children*. Washington, D.C. Pew Charitable Trust.



8. De Ruggiero, Guido. 1959. *The History of European Liberalism*. Boston: Beacon Press.
9. Diamond, Larry, et al., eds. 1989. *Democracy in Developing Countries: Latin America*. Boulder, Colorado: Lynn Reinner.
10. Enos, Ryan D. 2017. *The Space Between Us: Social Geography and Politics*. New York: Cambridge University Press.
11. Freedom House. 2020. *Freedom in the World 2020*.
12. Fukuyama, Francis. 1992. *The End of History and the Last Man*. New York: Free Press.
13. Goldberg, G. S. (2012). "Economic Inequality and Economic Crisis: A Challenge for Social Workers." *Social Work*, 57(3), 211–224.
14. Gould, Elise. 2019. *Decades of Rising Economic Inequality in the U.S.* Testimony before the U.S. House of Representatives Ways and Means Committee (March 27).
15. Hajinal, Zoltan L. 2020. *Dangerously Divided: How Race and Class Shape Winning and Losing in American Politics*. New York: Cambridge University Press.
16. Hook, Steven W. 2019. *U.S. Foreign Policy: The Paradox of World Power*. Thousand Oaks, CA: CQ Press.
17. Huntington, Samuel P. 1984. Will More Countries become Democratic? *Political Science Review* 99: pp. 193-199.
18. Huntington, Samuel P. 1956. Civilian Control and the Constitution. *American Political Science Review* 50: pp. 676-699.
19. Klein, Ezra. 2020. *Why We're Polarized*. New York: Simon & Schuster.
20. Lipset, Seymour M. 1960. *Political Man: The Social Bases of Politics*. New York: Anchor Books.
21. Lipset, Seymour M. 1959. "Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy." *American Political Science Review*. 53: 69-105.
22. Marietta, Morgan, and David C. Barker. 2019. *One Nation, Two Realities: Dueling Facts in American Democracy*. New York: Oxford University Press.
23. McIlwain, Charles Howard . 1958. *Constitutionalism: Ancient and Modern*. Ithaca, NY: Great Seal Books.
24. Needler, Martin C. 1968. "Political Development and Socioeconomic Development: The Case of Latin America." *American Political Science Review* 62: 889-897.
25. O'Donnell, Guillermo, and Phillip C. Schmitter. 1986. "Tentative Conclusions About Uncertain Democracies (part 4)." In *Transitions From Authoritarian Rule: Prospects for Democracy*, edited by , Guillermo O'Donnell, Phillip C. Schmitter, and Lawrence Whitehead. Baltimore, MD: The Johns Hopkins University Press, pp. 3-78.
26. Pennock, J. Roland and John W. Chapman. 1979. *Constitutionalism*. NY: NYU Press.
27. Pennock, J. Roland and John W. Chapman. 1983. *Liberal Democracy*. NY: NYU Press.
28. Pennock, J. Roland. 1979. *Democratic Political Theory*. Princeton: Princeton University Press.
29. Piketty, Thomas. 2014. *Capital in the Twenty First Century*. Cambridge, MA: Belknap Press.

30. Rostow, W.W. 1971. *The Stages of Economic Growth*. Cambridge: Cambridge University Press.
31. Rueschemeyer, Dietrich, Evelyne Huber Stephens, and John Stephens. 1992. *Capitalist Development and Democracy*. Chicago: University of Chicago Press.
32. Rustow, Dankwart A. 1968. "Modernization and Comparative Politics: Prospects in Research and Theory." *Comparative Politics*. 1: pp. 37-51.
33. Small, Melvin. 1995. *Democracy and Diplomacy: The Impact of Domestic Politics in U.S. Foreign Policy, 1789-1994*. Baltimore, MD: Johns Hopkins University Press.
34. United States Census Bureau. 2010. *Income, Poverty, and Health Insurance Coverage in the United States: 2010*. Washington, D.C.

**მომავალი თაობის ნაკვალავი
მეცნიერების ველზე**

**IMPRINT OF THE NEXT GENERATION
ON SCIENCE**

ხიზარებაჲვის საერთაშორისო სამართლებრივი განსაზღვრება

ხათუნა ბურკაძე

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, პროფესორი

რეზიუმე. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერაში კომპიუტერული ქსელების გამოყენებით შესაძლებელია ომის თანამედროვე ფორმით წარმოება. მზარდი ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად კიბერთავდასხმის სახეები უფრო იხვეწება და იკარგება კონტროლი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე. სახელმწიფოებს ციფრული ინსტრუმენტების მეშვეობითა და ჰაკერთა ჯგუფების დახმარებით შეუძლიათ სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ განახორციელონ კიბერშეტევები. აღნიშნული დესტრუქციული მოქმედებები ზიანს აყენებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ეკონომიკურ მდგრადობას და აფერხებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციების ფუნქციონირებას. ამ მოცემულობას კიდევ უფრო მეტად ართულებს საერთაშორისო აქტორებს შორის შეუთანხმებლობა კიბერშეტევის განმარტებასთან დაკავშირებით. მით უფრო იმ ფონზე, რომ დღეს მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები უშუალოდ არ ეხება კიბერთავდასხმების საკითხების რეგულირებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება გასულ საუკუნეში მიიღეს, როდესაც დოკუმენტის ავტორები ვერ განჭვრეტდნენ კიბერსივრცის შექმნის პროცესს. შესაბამისად, სტატიის მიზანია კიბერშეტევის სამართლებრივი დეფინიციის კვლევა მოქმედი საერთაშორისო ნორმების ხელახალი განმარტების საფუძველზე. ეს კი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ განისაზღვროს კიბერსივრცეში ახალი ნორმების განვითარებისა და მიღების შესაძლებლობები და განიმარტოს სახელმწიფოს პასუხისმგებელიანი კიბერქცევა.

საკვანძო სიტყვები: კიბერშეტევა, ძალის გამოყენება, შეიარაღებული თავდასხმა

შესავალი

კიბერშეტევა, როგორც თავდასხმის ახალი კატეგორია განსხვავდება ტრადიციული საომარი მოქმედებებისგან. კიბერშეტევები, მათგან განსხვავებით, შეიძლება განხორციელდეს მშვიდობიან პერიოდშიც. ამასთანავე, კიბერშეტევების მეშვეობით მიზანი მიიღწევა არა იარაღის, არამედ კომპიუტერული ქსელების გამოყენებითა და სისტემაში უნებართვოდ შეღწევით, მონაცემების დაზიანებით, განადგურებით ან მანიპულირებით. ასევე, კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხე არ არის შეზღუდული კონკრეტული პოლიტიკური და



გეოგრაფიული საზღვრებით¹. ეს კი კიბერთავდასხმის ინიციატორსა და შემსრულებელს აძლევს შესაძლებლობას ანონიმურად დარჩეს. მოწინააღმდეგის იდენტიფიცირების სირთულე თავდამსხმელ სახელმწიფოს მსხვერპლი სახელმწიფოს წინააღმდეგ მეტი დამაზიანებელი მოქმედებების განხორციელებისათვის სივრცეს უტოვებს, რაც ართულებს დროულად აგრესორის გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას.

2007 წელს ესტონეთისა და 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა კიბერშეტევებმა თავსაჩინო გახადა კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების აუცილებლობა. ესტონეთისგან განსხვავებით 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ კიბერშეტევები ტრადიციული საომარი მოქმედებების პარალელურად განახორციელა. კიბერგამოწვევების წინაშე საქართველო დგას დღემდე, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 2019 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა, რომელიც გულისხმობდა საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურისათვის ზიანის მიყენებას კვლავ. საბოლოო ჯამში, აღნიშნული კიბერშეტევის მიზანი იყო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფა, საზოგადოებაში მღელვარების დათესვა და საქართველოს მოსახლეობისთვის ზიანის მიყენება სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონირების შეფერხებით.

შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ერაში სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ფოკუსირებულია კიბერსივრცეში საკუთარი ინტერესების დაცვაზე. რადგან კიბერსივრცე არ არის შემოფარგლული კონკრეტული საზღვრებით, ეს მის თანმდევ გამოწვევებს მასშტაბურ ხასიათს სძენს. კიბერშეტევების ბუნება მოითხოვს, მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზის შედეგად, იმ ტენდენციების გამოკვეთას, რომელთა გათვალისწინებით სახელმწიფოები შეძლებენ აღნიშნულ თავდასხმებზე ეფექტიან რეაგირებას და სახელმწიფო ინტერესების დაცვას. ამ ტიპის პრევენციებს პრევენციული მნიშვნელობაც ექნებათ კიბერშეტევების შესამცირებლად. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებს კიბერშეტევებისა და კიბერომის საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს. ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია ევროსაბჭოს ფარგლებში მიღებული კონვენცია „კიბერდანაშაულის შესახებ“². თუმცა ეს კონვენცია კიბერსივრცეში მომხდარ დარღვევებს განიხილავს სისხლის სამართლის კონტექსტში და იგი არ ეხება კიბერშეტევებს, როგორც ომის წარმოების ერთ-ერთ ფორმას.

1. Michael Schmitt, „Computer Network Attack and the Use of Force in International Law: Thoughts on a Normative Framework“, 37 Columbia Journal of Transnational Law, (1998-1999), 888.
2. Convention on Cybercrime, Budapest, 23.XI.2001, Council of Europe, <https://rm.coe.int/1680081561> (Accessed April 23, 2022).

**კიბერშეტევების კონტაქტში
 საერთაშორისო სამართალში ძალის
 გამოყენების ღეზინიცია**

ციფრულ ეპოქაში იმის საკვლევადა, თუ რამდენად შეიძლება კიბერშეტევა ძალის გამოყენებას უტოლდებოდეს, მნიშვნელოვანია ძალის გამოყენების ცნების ძირითად ელემენტებში გარკვევა. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოები შეთანხმდნენ უარი ეთქვათ ძალის გამოყენების მონოპოლიზაციისგან და მისი გამოყენება დაეშვათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

ძალის გამოყენების თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი განმარტება ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. დოკუმენტის ავტორებს სურდათ აეკრძალათ ძალის გამოყენება, თუმცა, იმავდროულად, გაითვალისწინეს გარკვეული გამონაკლისი შემთხვევები.

გაეროს შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო მე-20 საუკუნეში საერთაშორისო სამართლის მოდერნიზება. ლიდერებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ისეთი სისტემა, რომელიც დაეფუძნებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების პატივისცემას და საერთაშორისო ნორმების დაცვას³. მათი თვალთახედვით, ეს აუცილებელი იყო მომავალი თაობების ახალი მსოფლიო ომისგან დასაცავად.

ძალის გამოყენებისა და კონფლიქტის თანამედროვე სამართლებრივი რეგულირება იწყება გაეროს წესდებით და განსაკუთრებით ამ წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით⁴, რომლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო თავს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობებში მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს⁵.

გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ფორმულირებიდან ჩანს, რომ დოკუმენტის ავტორებმა ომის ნაცვლად უფრო ფართო ტერმინი ძალის გამოყენება აირჩიეს. ომი კონკრეტულ ვითარებაზე მიუთითებს, რომელიც, როგორც წესი, ომის გამოცხადებით იწყება და ზავის დადებით მთავრდება. ომის ზოგადად აკრძალვის პირობებში სახელმწიფოები ამ ტერმინის ნაცვლად იყენებდნენ სხვა ტერმინებს, მათ შორის სამხედრო ოპერაციას, რათა შეექმნათ აღქმა იმისა, რომ ომის ამკრძალავ ნორმებს არ არღვევდნენ. შესაბამისად, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით აუცილებელი იყო განზოგადებუ-

3. Charter of the United Nations, <http://www.update.un.org/en/documents/charter/intro.shtml> (Accessed April 23, 2022).

4. *Matthew C. Waxman*, „Cyber Attacks as Force under UN Charter Article 2(4)“, 87 *International Law Studies Series*, US Naval War College, 44 (2011).

5. See *supra* note 3.



ლი ცნების დამკვიდრება. ამდენად, ძალის გამოყენების ტერმინი აერთიანებს ყველა ძალისმიერ მოქმედებას, დაწყებული ტრადიციული ომით და დამთავრებული სასაზღვრო ინციდენტით. დღეს ძალის გამოყენების აკრძალვის წესი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ სახელმწიფო რა ტიპის სახელწოდებას მიანიჭებს უპირატესობას სამხედრო კონფლიქტის დროს მის მიერ განხორციელებული დესტრუქციული მოქმედებების გამოსახატად⁶. მეტიც, გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ „ნიკარაგუას საქმეში“ უარი თქვა ძალის გამოყენების ვიწრო ინტერპრეტაციაზე. კერძოდ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ პარტიზანული ძალების შეიარაღება და გაწვრთნა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალისმიერ მოქმედებებში ჩასართავად ნიშნავს ძალის გამოყენებას⁷.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი არამეგობრული მოქმედება არ აღწევს ძალის გამოყენების ზღურბლს. მეორე მხრივ, „ნიკარაგუას საქმეში“ გაეროს მართლმსაჯულების სასამართლომ მიუთითა, რომ პარტიზანული ძალების დაფინანსება არ წარმოადგენს იმ ტიპის მოქმედებას, რომელიც უთანაბრდება ძალის გამოყენებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიბეროპერაციების განმახორციელებელი ჯგუფების დაფინანსება არ შეიძლება ჩაითვალოს ძალის გამოყენებად⁸. ასევე, აღსანიშნავია, რომ გაეროს წესდების ავტორებმა უარი თქვეს ძალის გამოყენების ცნებაში ეკონომიკური იძულების ზომების მოახრებაზე. შესაბამისად, კიბეროპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოზე ეკონომიკურ ზემოქმედებას, ვერ აღწევს ძალის გამოყენების ზღურბლს⁹.

როგორც კიბერსივრცეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ამა თუ იმ მოქმედების ძალის გამოყენებად მიჩნევისათვის საჭიროა ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორებიცაა: დონისძიების კონტექსტი; სუბიექტი, რომელმაც დაგეგმა მოქმედება; სამიზნე; მდებარეობა; განზრახვა და შედეგი¹⁰. ამ ფაქტორები გარემოებების მხედველობაში მიღების საფუძველზე, თუ კიბერშეტევამ მიაღწია ძალისმიერი მოქმედების იმ დონეს, რომელიც უთანაბრდება ძალის გამოყენებას, შესაძლოა ითქვას, რომ გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ვრცელდება კიბერსივრცეზე. მით უფრო, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ გვთავაზობს ძალის გამოყენების დეფინიციას. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი კი მიანიშნებს, რომ ძალის გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ტიპის ძალისმიერი მეთოდებით და აერთიანებს კინეტიკურ, არაკინეტიკურ, რეგულარულ, არარეგულარულ საშუალებებს. კიბერძალის გა-

6. *René Värk*, „The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force“, 2 *Baltic Defense Review*, 29-30 (2003).

7. *Michael N. Schmitt*, „The Law of Cyber Warfare: Quo Vadis?“, 25 *Stanford Law & Policy Review*, (Spring, 2014), 279, 280.

8. *Id.*, 280.

9. *Id.*

10. *Antonia Chayes*, „Rethinking Warfare: The Ambiguity of Cyber Attacks“, 6 *Harvard National Security Journal*, (2015), 507.

მოყენება კი რა შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად ან კანონგარეშედ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვმარტავთ მოქმედ საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც ძალის გამოყენების გამონაკლისი შემთხვევების ფარგლებს ადგენენ.

**ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი
 რეგულირება გაეროს წესდებისა და ჩრდილოატლანტიკური
 ხელშეკრულების მიხედვით**

გაეროს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა ურთიერთობების მთავარ წესებს, და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ნატოს სადამფუძნებლო დოკუმენტი, მიიღეს 1945 და 1949 წლებში. იმ პერიოდში გლობალური და რეგიონალური სისტემების მიერ კიბერსივრცის საკითხების გათვალისწინება, ბუნებრივია, ვერ მოხდებოდა, რადგან ის მომავლის საკითხს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მზარდი კიბერშეტევების ფონზე, მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების განმარტების აუცილებლობა დადგადის წესრიგში, რათა სახელმწიფოებმა სათანადოდ შეძლონ ციფრულ რეალობასთან ადაპტირება. ამ თვალსაზრისით 2013 წელს გაეროს სამთავრობო ექსპერტთა ჯგუფმა გამოაქვეყნა მისი მესამე ანგარიში, რომლის თანახმად გაეროს წესდება ციფრულ სივრცეზე ვრცელდება¹¹.

რაც შეეხება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პოზიციას საერთაშორისო სამართლისა და კიბერსივრცის ურთიერთმიმართების შესახებ, 2014 წლის 4-5 სექტემბერს გამართულ უელსის სამიტზე მიღებული დეკლარაციის მიხედვით, ალიანსის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მოქმედი საერთაშორისო სამართალი, მათ შორის გაეროს წესდება და საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი, გამოიყენება კიბერსივრცეში. მათი თვალთახედვით, კიბერშეტევას შეუძლია მიაღწიოს ისეთ ზღურბლს, რომლითაც საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ და ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას. ის იწვევს ისეთივე დესტრუქციულ შედეგებს თანამედროვე საზოგადოებებისათვის, როგორც კონვენციური შეტევები. შესაბამისად, ნატოს ლიდერები თანხმდებიან, რომ კიბერთავდაცვა წარმოადგენს მათი კოლექტიური თავდაცვის მნიშვნელოვან კომპონენტს¹². მეტიც, უელსის სამიტის დეკლარაციის მიღებამდე ნატოს კიბერთავდაცვის ცენტრმა ესტონეთში 2009 წელს დაიწყო საერთაშორისო კვლევითი პროექტის განხორციელება. პროექტის მიზანი იყო მოქმედი საერთაშორისო ნორმების საფუძველზე კიბერშეტევებთან და კიბე-

11. Back to Square One? The NATO Cooperative Cyber Defense Center of Excellence, <https://ccdcoc.org/back-square-one-fifth-un-gge-fails-submit-conclusive-report-un-general-assembly.html> (Accessed April 26, 2022).

12. The Wales Summit Declaration issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, September 4-5, 2014, https://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm (Accessed April 26, 2022).



როპერაციებთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი. 2013 და 2017 წლებში გამოცემული ტალინის სახელმძღვანელოები¹³ ეხება საერთაშორისო ექსპერტების ხელდასაყრდენ თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სახელმწიფოებმა მოქმედი ნორმები კიბერსივრცეში.

გაეროს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭო პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. ეს მანდატი მას აძლევს დისკრეციულ უფლებამოსილებას, განსაზღვროს რა ტიპის მოქმედებები უქმნიან საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობას. საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის ან მისი ხელყოფის შემთხვევებში უშიშროების საბჭო, როგორც წესი, იღებს გადაწყვეტილებებს იმ ზომების მიღების შესახებ, რომლებიც აუცილებელია მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ამ ღონისძიებებს შორის მოიაზრება საფრთხის შემქმნელ, აგრესორ სახელმწიფოსთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულად ან ნაწილობრივ გაწყვეტა, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო და სხვა სახის კომუნიკაციისა და დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტა¹⁴. თუ უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ზომები არ არის საკმარისი მშვიდობის დასაცავად, გაეროს წესდების 42-ე მუხლის თანახმად, მას შეუძლია გაეროს წევრ სახელმწიფოებს მიუთითოს საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალების გამოყენებისაკენ¹⁵. საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ნებისმიერი მოქმედება, რომელიც აღნიშნული წესის გათვალისწინებით ხორციელდება, შეიძლება გულისხმობდეს კიბერშესაძლებლობების გამოყენებას, ან მათ წინააღმდეგ იყოს მიმართული¹⁶. კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციაში შეიძლება ჩაერთოს გაეროს ყველა წევრი ან გარკვეული ნაწილი უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ამდენად, საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა ან მისი ხელყოფა წარმოადგენს იმ გამონაკლის შემთხვევებს, რომელთა დროსაც, აუცილებლობიდან გამომდინარე, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გაეროს წესდების 51-ე მუხლი კი ძალის გამოყენების მეორე გამონაკლის შემთხვევას ეხება. აღნიშნული მუხლის მიხედვით, გაეროს წევრ სახელმწიფოს აქვს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლება მის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, ვიდრე უშიშროების საბჭო არ მიიღებს ზომებს საერთაშორისო მშვიდობისა

13. The Tallinn Manual, The NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence, <https://ccdcoe.org/research/tallinn-manual/> (Accessed April 26, 2022).

14. See supra note 3, 5.

15. Id.

16. *Tallinn Manual 1.0 on the International Law Applicable to Cyber Warfare*, (Michael N. Schmitt, ed.), Cambridge University Press, (2013), 71.

და უსაფრთხოების დასაცავად¹⁷. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, შეიარაღებულ თავდასხმაზე პასუხი უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული¹⁸. ამასთანავე, არსებობს მესამე კრიტერიუმიც, რაც გულისხმობს რეაგირების დროულობას, ანუ ისეთი ვითარების არსებობას, როდესაც მყისიერი მოქმედება გარდაუვალია¹⁹. პროპორციულობა კი ნიშნავს თანაბარ-ზომირების პრინციპის დაცვით შეტევის მოგერიებას, ანუ სახელმწიფომ არ უნდა გამოიყენოს იმაზე მეტი ძალა, რაც სჭირდება მიზნის მისაღწევად²⁰. რაც შეეხება აუცილებლობის კრიტერიუმის დაცვას, ის სახელმწიფოსგან მოითხოვს იმის დემონსტრირებას, რომ მან თავდასხმის, მათ შორის კიბერ-შეტევის შესაკავებლად მიმართა ყველა მშვიდობიან ფორმას პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, თუმცა ვერ მიაღწია მიზანს და ძალის გამოყენება რჩება ერთადერთ საშუალებად თავდასხმის შესაჩერებლად. ამდენად, კიბერშეტევის წინააღმდეგ განხორციელებული თავდაცვითი ოპერაცია აუცილებლობის, პროპორციულობისა და დროულობის კრიტერიუმებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

რაც შეეხება კოლექტიურ თავდაცვას, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მე-5 მუხლის განხილვა. მე-5 მუხლის მიხედვით, ნატოს წევრი ქვეყნები თანხმდებიან, რომ თავდასხმა ალიანსის ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ განხილვება თავდასხმად ყველა მათგანზე²¹. ნატოს უელსის სამიტის დეკლარაციის თანახმად, ჩრდილოატლანტიკური საბჭო კიბერშეტევების განხორციელებისას მე-5 მუხლის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ცალკეული შემთხვევის ანალიზის საფუძველზე²². ერთი მხრივ, ეს ნიშნავს იმას, რომ ძალის გამოყენების გამონაკლის შემთხვევებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ვრცელდება კიბერშეტევებზე. მეორე მხრივ კი, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, თუ რა შემთხვევებში შეიძლება მე-5 მუხლის ამოქმედება კიბერშეტევების შესაჩერებლად და ეს დამოკიდებულია ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების იმ ერთობლიობაზე, რომლებიც ლიდერებს დაარწმუნებენ კოლექტიური თავდაცვითი ოპერაციის განხორციელების საჭიროებაში. ამავდროულად, უნდა იყოს გათვალისწინებული გაეროს წესდების 51-ე მუხლითა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ფარგლები ძალის გამოყენებისას.

ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ანალი-

17. See supra note 3, 5, 14.

18. Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. the United States of America), 1986, <http://www.icj-cij.org/docket/index.php> (Accessed April 28, 2022).

19. Michael N. Schmitt, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, (2003), 55.

20. Id.

21. Founding Treaty – the North Atlantic Treaty, April 4, 1949, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67656.htm (Accessed April 29, 2022).

22. See supra note 12.



ზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კიბერძალის გამოყენება ჩაითვლება უკანონოდ, თუ მისი გამოყენება არ შეესაბამება მოქმედი საერთაშორისო სამართლით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებსა და კრიტერიუმებს. კერძოდ, კიბეროპერაციის განხორციელება შესაძლებელია ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის ფარგლებში და უშიშროების საბჭოს მიერ მშვიდობისათვის საფრთხის შექმნის ან ხელყოფის დროს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების განხორციელებისას.

კიბერშეტევის, როგორც თავდასხმის ახალი სახის განმარტება

ძალის გამოყენების გამონაკლისი შემთხვევების საერთაშორისო სამართლებრივი ფარგლების ანალიზის შედეგად უნდა ითქვას, რომ ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველია შეიარაღებული თავდასხმა. მკვლევრები თანხმდებიან, რომ ამ კონტექსტში შეიარაღებული თავდასხმა გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, ვიდრე ასეთი მოქმედების განხორციელების საფრთხეს²³.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლი განსაზღვრავს თავდაცვითი უფლების განხორციელების საფუძველს, ის არ განმარტავს შეიარაღებულ თავდასხმას. დოკუმენტი არ ეხება იმ კრიტერიუმების დადგენას, რომლის დროსაც მოქმედება თავდასხმის ზღურბლს აღწევს. 2013 წლის ტალინის სახელმძღვანელოს ავტორების – საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის ინტერპრეტაციით შეტევის შეიარაღებულ თავდასხმად მიჩნევის კრიტიკული ელემენტია აღნიშნული მოქმედების გავლენის მასშტაბი. ტალინის სახელმძღვანელოს მე-13 წესი სახელწოდებით: „თავდაცვა შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ“ მიუთითებს, რომ სახელმწიფო, რომელიც გახდა სამიზნე შეიარაღებული თავდასხმის ტოლფასი კიბეროპერაციისა, აქვს თავდაცვის უფლება. პრაქტიკაში შეტევის მასშტაბი და შედეგი განსაზღვრავს რამდენად მიაღწია ოპერაციამ შეიარაღებული თავდასხმის ნიშნულს²⁴. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო „ნიკარაგუას საქმეში“ განმარტავს, რომ მასშტაბისა და შედეგის კრიტერიუმები თვისებრივი, რაოდენობრივი ელემენტებია, რომლებიც ხელს უწყობენ შეიარაღებული თავდასხმის დიფერენცირებას უბრალო სასაზღვრო ინციდენტებისგან²⁵.

23. Yoram Dinstein, *War, Aggression and Self-Defense*, Fourth Edition, Cambridge University Press, (2005), 165-169.
24. Kosmas Pipyros, Christos Thraskias, Lilian Mitrou, Dimitris Gritzalis, Theodoros Apostolopoulos, “A new strategy for improving cyber-attacks evaluation in the context of Tallinn Manual”, 74 *Computers and Security*, (2018), 375.
25. Id., at 376.

შეიარაღებული თავდასხმის შედეგების გათვალისწინებით ნიშანდობლივია ტალინის სახელმძღვანელოს ავტორების მიერ კიბერშეტევასთან დაკავშირებით შემუშავებული განმარტება. აღნიშნული დოკუმენტის 30-ე წესის მიხედვით, კიბერთავდასხმა არის კიბეროპერაცია, რომელიც აერთიანებს როგორც შეტევით, ასევე თავდაცვით ოპერაციებს და იწვევს პიროვნებების სხეულის დაზიანებას, გარდაცვალებას ან საგნების გაფუჭებას, განადგურებას²⁶. აღნიშნული დეფინიცია მიანიშნებს იმაზე, რომ კიბეროპერაციის შედეგად მიყენებული ზიანი უნდა იყოს ისეთი, როგორსაც მიიღებდნენ ტრადიციული საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ძალების გამოყენების დროს. სერიოზული დანაკარგების გამოწვევის გარეშე კიბერშეტევა ვერ ჩაითვლება თავდასხმის ახალ სახედ, რომელიც წარმოშობს გაეროს წესდების 51-ე ან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლების ამოქმედების საფუძვლებს²⁷.

კიბერსივრცის საზღვრებს გარეშე ფუნქციონირება კიბერშეტევების განმახორციელებელ აქტორთა რაოდენობას ზრდის. საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისითაც გაეროს წესდების 51-ე მუხლი არ აკონკრეტებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული თავდასხმის განმახორციელებელი სუბიექტი ვინ შეიძლება იყოს, რაც არ გამორიცხავს არასახელმწიფოებრივი აქტორის მიერაც ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ შეტევის შესაძლებლობას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან. ამ კონტექსტში პროფესორი მაიკლ შმიტი აღნიშნავს, რომ მომავალი კიბეროპერაციები შეცვლიან გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ვიწრო ინტერპრეტაციას შეტევის განმახორციელებელ აქტორთან დაკავშირებით. არასახელმწიფოებრივი სუბიექტებისათვის კიბერსივრცე წარმოადგენს იმ დომენს, სადაც უფრო ადვილად შესაძლებელი შეტევითი ოპერაციების წარმოებისათვის შესაბამისი საშუალებების მოპოვება²⁸.

შეიძლება ითქვას, რომ კიბერშეტევა წარმოადგენს ისეთ თავდასხმას, რომელიც კომპიუტერული ქსელების შესაძლებლობების გამოყენებით უკანონოდ კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემებში აღწევს და მათი ფუნქციონირების შეფერხებით, სხვაგვარი მანიპულაციებით ქვეყნის თავდაცვისათვის, უსაფრთხოებისათვის, განვითარების პროცესისათვის, საზოგადოებისათვის ისეთი არსებითი ზიანის მიყენება შეუძლია, რომლითაც კონვენციურ ოპერაციას უტოლდება. მეტიც, კიბერსივრცის ბუნებიდან გამომდინარე, ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ აღნიშნული შეტევის განხორციელებისას აქვს შესაძლებლობა, დარჩეს ანონიმურ მოწინააღმდეგედ და ჰაკერთა ჯგუფის მეშვეობით ტრადიციული საომარი მოქმედებების დაწყების გარეშე მიაყენოს ზიანი.

26. See supra note 16, 106.

27. See supra note 10, 482.

28. See supra note 7, 287.



დასკვნა

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა შეცვალეს არა მხოლოდ ომის წარმოების ფორმები, არამედ ხელი შეუწვევს შეიარაღებული თავდასხმის ხელახალ ინტერპრეტაციას. მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები, მათ შორის გაეროს წესდება და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება გამოიყენება კიბერშეტევებთან მიმართებით, რადგან მათ შეუძლიათ შეუქმნან საფრთხე სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებას და ისეთივე ზიანი მოუტანონ ქვეყნებს, მათ საზოგადოებებს, როგორც კონვენციურმა შეტევებმა.

კიბერშეტევის საერთაშორისო სამართლებრივ განსაზღვრებაზე საუბრისას, გაეროს წესდების 51-ე და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლების საფუძველზე, რამდენიმე პარამეტრის გამოყოფა მიზანშეწონილია. პირველ რიგში, აღნიშნული მუხლების თანახმად, შეიარაღებული თავდასხმა არის საფუძველი დაზარალებული სახელმწიფოს მიერ ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვითი მექანიზმების ასამოქმედებლად. მეორე რიგში, კიბერშეტევის დესტრუქციული ბუნება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ამ ტიპის ქმედებას შეუძლია მიაღწიოს შეიარაღებული თავდასხმის ზღურბლს. სწორედ ამ კონტექსტში ტალინის სახელმძღვანელოს ინტერპრეტაციის შედეგად აღსანიშნავია, რომ თუ კიბერთავდასხმა იწვევს ადამიანების ჯანმრთელობისათვის არსებითი ზიანის მიყენებას, მათ გარდაცვალებას ან საგნების ისე გაფუჭებას, განადგურებას, რომლითაც ფერხდება სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება, წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას, ანუ ძალის გამოყენების ყველაზე მძიმე ფორმას უთანაბრდება. მესამე რიგში, კიბერშეტევა არ შეიძლება იყოს შემოფარგლული მხოლოდ სახელმწიფო აქტორით. კიბერთავდასხმის განმასხვრციელებელია როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფოებრივი აქტორი. მით უფრო, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლი არ აწესებს შეზღუდვას იმასთან დაკავშირებით, რომ შეტევა ხორციელდება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ციფრული ტექნოლოგიების მიღწევები არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს აძლევს შესაძლებლობას შექმნან შეტევითი კიბერინსტრუმენტები. ამ საშუალებების გამოყენებით სახელმწიფოებს ან არასახელმწიფოებრივ აქტორებს უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან შეუძლიათ გამოიწვიონ კონვენციურ ოპერაციებზე არანაკლები ზიანი ფიზიკურად საზღვრების გადაკვეთის გარეშე.

საყურადღებოა, რომ ტალინის სახელმძღვანელოები არ წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტებს. ისინი მხოლოდ უზრუნველყოფს მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ხელახალ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონალურ ფორმატებში აუცილებელია სახელმწიფოებს შორის აქტიური დისკუსიების წარმართვა კიბერსივრცის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების ორაზროვნების აღმოსაფხვრელად. რეალისტური თვალთახედვით ბუნდოვანება შესაძლოა სტრატეგიულად ხელსაყრელი იყოს გარკვეული სახელმწიფოებისათვის შეტევითი

ახალი ოპერაციების განსახორციელებლად და ციფრულ სივრცეში ანონიმურ მოთაშვედ დასარჩენად. ამ ტიპის ქმედებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ახალი საერთაშორისო რეჟიმის – საერთაშორისო კიბერრეჟიმის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა პასუხისმგებლიან ქცევასთან დაკავშირებულ წესებს კიბერსივრცეში და ახალი ნორმების ხელმოფთათვის დაადგენს შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებს. ეს პროცესი ხელს შეუწყობს კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სახელმწიფოთა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების დაცვას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Antonia Chayes. „Rethinking Warfare: The Ambiguity of Cyber Attacks“. Harvard National Security Journal, (2015).
2. Back to Square One? The NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence, <https://ccdcoe.org/back-square-one-fifth-un-gge-fails-submit-conclusivereport-un-general-assembly.html>.
3. Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. the United States of America), 1986, <http://www.icjci.org/docket/index.php>.
4. Charter of the United Nations, <http://wwwupdate.un.org/en/documents/charter/intro.shtml>.
5. Founding Treaty – the North Atlantic Treaty, April 4, 1949, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67656.htm.
6. Kosmas Pipyros. Christos Thraskias. Lilian Mitrou. Dimitris Gritzalis. Theodoros Apostolopoulos. „A New Strategy for Improving Cyber Attacks Evaluation in the Context of Tallinn Manual.“ 74 Computers and Security, (2018).
7. Matthew C. Waxman. “Cyber Attacks as Force under the U.N. Charter Article 2(4).“ 87 International Law Studies Series, the U.S. Naval War College, (2011).
8. Michael Schmitt. “Computer Network Attack and the Use of Force in International Law: Thoughts on a Normative Framework.” Columbia Journal of Transnational Law, Volume 37, (1998-1999).
9. Michael N. Schmitt. “Preemptive Strategies in International Law.” Michigan Journal of International Law, (2003).
10. Michael N. Schmitt. “The Law of Cyber Warfare: Quo Vadis?” 25 Stanford Law & Policy Review, (Spring, 2014).
11. René Värk. “The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force.” Baltic Defence Review No. 10, Volume 2, (2003).
12. Tallinn Manual 1.0 on the International Law Applicable to Cyber Warfare, (Michael N. Schmitt, ed.), Cambridge University Press, (2013).
13. The Wales Summit Declaration issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, September 4-5, 2014, https://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm.
14. Yoram Dinstein. War, Aggression, and Self-Defence. The Fourth Edition, Cambridge University Press, (2005).



INTERNATIONAL LEGAL DEFINITION OF A CYBERATTACK

Khatuna Burkadze

Business and Technology University,

Doctor of Law, Professor

Abstract. In the era of information and communication technologies, computer networks can be used to carry out modern forms of warfare. In light of technological advances, cyberattacks are becoming more sophisticated and control over IT infrastructure is being lost. States can use digital tools or enlist hacker groups to launch cyberattacks against other states. Such destructive actions damage the defence capacity, security, stability, and economic sustainability of a country, and hinder the activities of public and private organisations alike. The situation is further complicated due to the lack of a common understanding of the definition of the term „cyberattack“ among international actors. Furthermore, the existing international legal framework does not regulate the issue of cyberattacks. The Charter of the United Nations was adopted in the 20th century when the process of creating cyberspace could not have been foreseen. Therefore, this article aims to explore the legal definition of a cyberattack based on the reinterpretation of existing international norms. It is important to examine the possibilities of the development and adoption of new norms in cyberspace and clarify the responsible cyber behaviour of states.

Keywords: cyberattack, the use of force, armed attack

INTRODUCTION

Cyberattacks as a new category of attacks are different from traditional hostilities. Unlike the latter, cyberattacks can also be carried out during peacetime. Furthermore, instead of kinetic force, an attacker uses computer networks to gain unauthorised access to information systems to disrupt or manipulate data. Also, cyber threat is not constrained by political and geographical boundaries¹. This allows the parties who initiate and carry out cyberattacks to remain anonymous. The difficulty of identifying the enemy leaves room for the aggressor state to take more destructive actions against the victim, making it difficult to identify the aggressor promptly and respond appropriately.

The cyberattacks against Estonia in 2007 and against Georgia in 2008 highlighted the need

1. Michael Schmitt, „Computer Network Attack and the Use of Force in International Law: Thoughts on a Normative Framework“, 37 Columbia Journal of Transnational Law, (1998-1999), 888.

to develop cyber defence capabilities. Unlike the Estonian case, in August of 2008, the Russian Federation launched cyberattacks against Georgia alongside conventional military actions. Georgia still faces cyber challenges. For example, on 28 October 2019, the Russian Federation carried out large-scale cyberattacks to damage Georgia's critical infrastructure again. Overall, the Kremlin conducted these cyberattacks in an attempt to undermine Georgia's national security, sow discord and disrupt the lives of the population of Georgia by hindering the operation of various organisations, including the state authorities.

In the digital era, the national security policies of states focus on the protection of their interests in cyberspace. Since cyberspace is not limited by boundaries, it amplifies the scale of the accompanying challenges. The nature of cyberattacks requires analysis of the current international legal framework and subsequent identification of the trends, by which states will be able to respond effectively to these attacks and protect their interests. The urgency of the issue is highlighted by the absence of international agreements that would directly regulate the international legal issues related to cyberattacks and cyberwarfare. The only existing international legal document is the Convention on Cybercrime, which was adopted by the Council of Europe². However, it deals with cybercrime and does not address cyberattacks as a form of warfare.

DEFINITION OF THE USE OF FORCE IN INTERNATIONAL LAW IN THE CONTEXT OF CYBERATTACKS

To explore, in the digital era, how a cyberattack can cross the threshold of the use of force, it is important to define the core elements of the concept of the use of force. To maintain international peace and security, the states agreed to derail from monopolising the use of force and permit the use of force only in exceptional cases defined under international law.

The contemporary international legal definition of the use of force is based on the Charter of the United Nations. The authors of the Charter wished to ban any use of force but at the same time envisaged a few exclusions.

One of the reasons for establishing the United Nations was to modernise international law in the 20th century. Leaders decided to establish a system that would be based on respect for the obligations arising from treaties and other sources of international law³. From their perspective, it was necessary to protect future generations from another world war.

Modern legal regulation of the use of force and conflict begins with the Charter of the United Nations, and specifically with Article 2(4) thereof, which mandates⁴ that „all Members shall

2. „Convention on Cybercrime“, Budapest, 23.XI.2001, Council of Europe, <https://rm.coe.int/1680081561> (Accessed April 23, 2022).

3. Charter of the United Nations, <http://www.update.un.org/en/documents/charter/intro.shtml> (Accessed April 23, 2022).

4. Matthew C. Waxman, „Cyber Attacks as Force under UN Charter Article 2(4)“, 87 International Law Studies Series, US Naval War College, 44 (2011).

refrain in their international relations from the threat or use of force against the territorial integrity or political independence of any state, or any other manner inconsistent with the purposes of the United Nations⁵.

The wording of Article 2(4) of the Charter of the United Nations illustrates that the authors of the document chose to use the broader term „use of force“ instead of „war“. The latter refers to a specific set of circumstances that usually begins with the declaration of war and ends with the conclusion of a peace treaty. Such prohibition led to countries using other terms such as „military operation“ to create a perception that they were not violating the norms prohibiting war. Therefore, taking into consideration the international practice, it became necessary to develop a broader concept. Thus, the term „use of force“ covers all forms of hostilities, both nominal wars and incidents falling short of an official state of war, which ranges from minor border clashes to extensive military operations. Thus, the prohibition of the use of force is not dependent on how the involved states prefer to define their military conflict⁶. Furthermore, in its argument on a case concerning Nicaragua, the International Court of Justice has rejected a narrow interpretation of „use of force“. The Court held that a state’s arming and training of guerrilla forces engaged in hostilities against another state qualified as a use of force⁷.

However, every unfriendly act does not cross the use of force threshold. In the case of Nicaragua, the Court held that financing guerrillas, albeit an unlawful „intervention“, did not rise to that level⁸. It is also noteworthy that the authors of the Charter of the United Nations did not include measures of economic coercion in the notion of the use of force. It may be concluded that cyber operations intended to economically coerce another state to engage in, or desist from, a particular course of action would not amount to a use of force; nor would financing a rebel group’s cyber operations⁹.

In assessing whether an event constituted a use of force in or through cyberspace, it is essential to evaluate the following factors: the context of the event, the actor perpetrating the action, the target and location, effects, and intent¹⁰. Under these factual circumstances, whether a cyberattack reaches an appropriate level of an act of violence that is equivalent to the use of force, it may be concluded that Article 2(4) of the Charter of the United Nations applies to cyberspace. Furthermore, the document does not provide an exact definition of the use of force. The analysis of the international practice shows that the use of force is not limited only to one type of coercive method, but rather combines kinetic, non-kinetic, regular, and irregular means. Thus, the legality of the use of cyberweapon depends on the interpretation of the existing international norms that determine the scope of the exceptional cases of the use of force.

5. See supra note 3.

6. René Värk, „The Use of Force in the Modern World: Recent Developments and Legal Regulation of the Use of Force“, 2 *Baltic Defence Review*, 29-30 (2003).

7. Michael N. Schmitt, „The Law of Cyber Warfare: Quo Vadis?“, 25 *Stanford Law & Policy Review*, (Spring, 2014), 279, 280.

8. *Id.*, 280.

9. *Id.*

10. Antonia Chayes, „Rethinking Warfare: The Ambiguity of Cyber Attacks“, 6 *Harvard National Security Journal*, (2015), 507.

INTERNATIONAL LEGAL REGULATION OF THE USE OF FORCE IN ACCORDANCE WITH THE CHARTER OF THE UNITED NATIONS AND THE NORTH ATLANTIC TREATY

The Charter of the United Nations, which determines fundamental rules of relations among the states, and the North Atlantic Treaty, the founding treaty of NATO, were adopted in 1945 and 1949, respectively. At that time, the issues of cyberspace could not have been taken into consideration by the global and regional systems, as it was a matter of the future. Nevertheless, in the face of growing cyberattacks, the need to clarify the existing international legal norms to allow countries to properly adapt to digital reality has come to the fore. In this regard, in 2013, the Group of Governmental Experts of the United Nations (UN GGEs) published its third report, according to which the Charter of the United Nations applies to digital space¹¹.

As for NATO's official position on the interconnection between the existing international legal regulations and cyberspace, the Wales Summit Declaration issued on 4-5 September 2014 states that NATO member countries agreed that international law, including international humanitarian law and the Charter of the United Nations, applies in cyberspace. They believe that cyberattacks can reach a threshold that threatens national and Euro-Atlantic security. Their impact could be as harmful to modern societies as a conventional attack. Therefore, NATO leaders affirm that cyber defence is part of NATO's core task of collective defence¹². Furthermore, before the adoption of the Wales Summit Declaration, the NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence launched an international research project in Estonia in 2009. The Tallinn Manuals¹³, published in 2013 and 2017, provide the International Experts' analysis of how existing international law applies to cyber warfare and cyber operations.

According to the Charter of the United Nations, the Security Council is responsible for maintaining international peace and security. This mandate gives the Security Council the discretion to determine what types of actions threaten international peace. In the cases of any threat to the peace, or breach of the peace, the Security Council decides on the measures necessary to maintain international peace. Such measures may include complete or partial interruption of economic relations, rail, sea, air, postal, and other means of communication, and the severance of diplomatic relations, with an aggressor state¹⁴. Whether the Security Council considers that the aforementioned measures are inadequate for maintaining peace, under Article 42 of the Charter of the United Nations,

11. Back to Square One? The NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence, <https://ccdcoe.org/back-square-one-fifth-un-gge-fails-submit-conclusive-report-un-general-assembly.html> (Accessed April 26, 2022).

12. The Wales Summit Declaration issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, September 4-5, 2014, https://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm (Accessed April 26, 2022).

13. The Tallinn Manual, The NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence, <https://ccdcoe.org/research/tallinn-manual/> (Accessed April 26, 2022).

14. See supra note 3, 5.



it may take action by air, sea, or land forces¹⁵. Simultaneously, the International Group of Experts agreed that any action undertaken based on this rule may be implemented by, or against, cyber capabilities¹⁶. All or some members of the United Nations may become involved in a collective security operation according to the decision taken by the Security Council. Thus, threats to international peace, breach of the peace, or act of aggression thereof constitute the exceptional cases in which countries may use force to ensure peace and security based on the permission of the Security Council.

Another exception to the general prohibition of the use of force is defined by Article 51 of the Charter of the United Nations, according to which each member of the United Nations has the inherent right of individual or collective self-defence if an armed attack occurs against it until the Security Council has taken measures necessary to maintain international peace and security¹⁷. According to the International Customary Law, a response to an armed attack should be proportional and necessary¹⁸. In addition to this, it should be mentioned that the criteria of proportionality and necessity are supplemented by the third criteria of need for the imminence of response¹⁹. The principle of proportionality limits any defensive action to that necessary to defeat an ongoing attack or to deter or pre-empt a future attack²⁰. As for the principle of necessity, to meet this criterion, the state should demonstrate that it used all peaceful means including diplomatic, economic, judicial, or other measures for deterring an armed attack including a cyberattack. However, the state was unable to achieve this goal. It had to use force against an attack because all non-forceful options were exhausted.

As for the collective defence, Article 5 of the North Atlantic Treaty is noteworthy in this regard. Under Article 5 of the North Atlantic Treaty, NATO member countries agree that an armed attack against one or more of them shall be considered an attack against them all²¹. According to the Wales Summit Declaration: „a decision as to when a cyberattack would lead to the invocation of Article 5 would be taken by the North Atlantic Council on a case-by-case basis“²². This means that, on the one hand, international legal norms related to the exceptional cases of the use of force apply to cyberattacks. On the other hand, it is not determined in which cases Article 5 should be invoked for deterring cyberattacks, and it depends on a set of factual circumstances that would convince the leaders of the need for a collective defence operation. In addition, the scope provided by Article 51 of the

15. Id.

16. Tallinn Manual 1.0 on the International Law Applicable to Cyber Warfare, (Michael N. Schmitt, ed.), Cambridge University Press, (2013), 71.

17. See supra note 3, 5, 14.

18. Case Concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. the United States of America), 1986, <http://www.icj-cij.org/docket/index.php> (Accessed April 28, 2022).

19. Michael N. Schmitt, Preemptive Strategies in International Law, Michigan Journal of International Law, (2003), 55.

20. Id.

21. Founding Treaty – the North Atlantic Treaty, April 4, 1949, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67656.htm (Accessed Last seen: April 29, 2022).

22. See supra note 12.

Charter of the United Nations and the International Customary Law should be taken into consideration in the case of using force.

Analysis of the international legal regulation of the use of force would suggest that the use of cyber force is illegal if it does not comply with the exceptional cases and criteria established by the existing international law. Cyber operations should be carried out within the scope of individual and collective self-defence and based on a decision made by the Security Council in the cases of threat to the peace, breach of the peace, or act of aggression while implementing collective security measures.

DEFINITION OF A CYBERATTACK AS A NEW FORM OF ATTACK

რეზიუმე. სტატიის მიზანია საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ისეთი ახალი ფორმის შესახებ, როგორც არის მედიაცია მეცნიერული მსჯელობა და საკითხის აქტუალიზაცია. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედება ქვეყანაში დიალოგის კულტურის დამკვიდრების და საზოგადოების დაპირისპირების რელსებიდან სოციალური მშვიდობის რელსებზე გადაყვანის საქმეში მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მართალია საკანონმდებლო დონეზე დავის აღნიშნული პლატფორმა ხელმისაწვდომი შეიქმნა, თუმცა მის შესახებ ცნობადობა არ არის მაღალი, სწორედ ამ ტიპის გამოწვევის, მათ შორის იურიდიულ წრეებში, ეფექტურად დაძლევის საშუალებად მივიჩნევთ საკითხის თაობაზე მეცნიერული კვლევის განხორციელებას, რათა მიიღწეს ეტაპი, როდესაც მედიაცია არ იქნება მინერული დავის ალტერნატიულ მექანიზმად, არამედ აღიარებული იქნება, დავის გადაწყვეტის რიგით მექანიზმად, რა ხედვაც შეჯერებულია განვითარებული დემოკრატიების მაგალითზე, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკოს იურისტთა წრეში.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, მოლაპარაკება, შეთანხმება

I. შესავალი

თანამედროვე საზოგადოება, განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი, რაც ავტომატურად იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას სარჩელებით, განაპირობებს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემას და მოდავე მხარეების ფინანსურ დანახარჯებს¹. დავის მახასიათებელი დაძაბულობის, ნერვიულობის, ფიზიკური და ემოციური დესტაბილიზაციის, დავასთან დაკავშირებული დროის და ფინანსების დანახარჯის გათვალისწინებით საზოგადოება და სამეწარმეო სუბიექტები მუდამ ფიქრობდნენ და დღესაც ფიქრობენ თუ როგორ და რა მექანიზმებით მოახერხონ მათი გამომდინარე კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალება, დაძაბულობის კე-

1. *Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2*

რების ეფექტური ჩახშობა და იმის მოხერხება, რომ ურთიერთობები მეორე მხარესთან გაგრძელდეს ჰარმონიულად.

ამ მიზნით, საზოგადოება მუდამ ძიებაში იყო დავის გადაწყვეტის ეფექტური გზების, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს და მოერგებოდა მხარეთა ინტერესებს, მსგავსი ძიება და დაგეგმარება ავტომატურად სამართლებრივ გზებამდე მიდის და ამ მიმართულებით მათ შორის მთავარი არის სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესს და საჭიროებას და თანმდევად პასუხობდეს იმ ინტერესს, რაც სახელმწიფოს მთავარ შემადგენელს – მოქალაქეებს აქვთ და ესაჭიროებათ.

საერთაშორისო პერსპექტივიდან მარტივი, ეფექტური, დროული და ხელმისაწვდომი ფორმების არსებობა დავის გადაწყვეტის მექანიზმებისა არის დღევანდელი საჭიროება².

აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის ფონზე სახელმწიფოებრივი ინტერესიც თანხვედრი იყო და არის იმ საჭიროებისა, რაზეც ზემოთ არის საუბარი, რადგან ერთი მრივ, მსგავსი შესაძლებლობების განვითარებით, სასამართლო ხელისუფლებას ეძლევა საშუალება ერთგვარი განმუხტვის მასთან აკუმულირებული და მიმდინარე საქმისწარმოებების, ხოლო მეორე მხრივ, სრულდება დიდი სოციალური ფუნქცია, როდესაც მხარეები სასამართლოს ნაცვლად, სხვა კანონიერი გზებით დავის ამოწურვის მცდელობისას უფრო მეტად ინარჩუნებენ ერთმანეთთან ურთიერთობის რესურსს, რადგან ამ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით მხარეებს შორის მოგებულ და წაგებულ მხარის სინდრომი მათ არ ეუფლებათ, რაც უადვილებთ საზოგადოების წარმომადგენლებს და ბიზნესს, ორმაგად, კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან გააგრძელონ თანაცხოვრება თუ საქმიანი ურთიერთობის ქონა, რითაც ადამიანები თუ იურიდიული პირები კიდევ უფრო ეფექტიანად ახდენენ საკუთარი უფლებების დაცვას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც სახელმწიფოს ინტერესშია მაკრო დონეზე, ასევე თითოეული დავის მხარის ინტერესშია მიკრო დონეზე³ გამონახოს დროის და ფინანსების კუთხით ეფექტური დავის გადაწყვეტის ისეთი მექანიზმი, რომელიც მისცემს მხარეებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, რესურსების რეალურად დაზოგვის საშუალებას და იქნება სოციალური მშვიდობის წინაპირობა, ხოლო ადამიანის უფლებები გაცილებით უფრო ეფექტიანად დაცული და გარანტირებული.

ზემოაღნიშნული საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით სავსებით

2. *Carvalho J.M., Carvalho C.*, Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), *European Contract Law and the Digital Single Market – The Implications of the Digital Revolution*, Intersentia, 2016, 245, 246.
 3. *Steffek F.*, Mediation, in *The Max Planck Encyclopedia of European Private Law*, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.



ლოგიკური და შედეგობრივად პროგნოზირებადი იყო და არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ სოციალური დაძაბულობის⁴ და საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების შედეგიანი აღმოფხვრის და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურ მექანიზმებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე მედიაცია მართლაც მკვიდრდება თითქმის ყველა სახელმწიფოში, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ალტერნატიული საშუალება, მედიაციისთვის მახასიათებელი ფორმების⁵ ჩათვლით.

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში⁶, რომელსაც ახასიათებს მესამე⁷, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით⁸ კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში⁹ კონფლიქტის მხარეებისთვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება, რაც მედიაციის ევროპული¹⁰ და არამსოფლიო აქტის მთავარი მახასიათებელი თვისებაა.

მედიაციის დამკვიდრების მთავარი მიზანია მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესებისათვის საუკეთესო გადაწყვეტილებით დაასრულონ დავა და აღმოფხვრან კონფლიქტი საკუთარი ხელით¹¹, რა დროსაც უბრალოდ კი არ ასრულებენ მეორე მხარესთან დავას, არამედ ქმნიან წინაპირობას მხარესთან საქმიანი თუ პირადი ურთიერთობის სამომავლოდ ცივილურ ფორმებში გაგრძელების, რაშიც მედიაცია რეალურად ეხმარება მხარეებს¹² ეფექტურად იცავს მათ რეალურ ინტერესებს, რადგან მედიაციის დროს კი არ უნდა გაირჩეს თუ ვინ რა გააკეთა წარსულში, არამედ მხარეებმა უნდა საუკეთესო გამოსავალი მოიძიონ არსებული ჩიხური სიტუაციიდან, რათა გაგრძელდეს სამომავლო ურთიერთობა მათი ინტერესების შესაბამისად¹³; მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითგამორკვევაში, მოდავე მხარეების ერთმანეთისადმი მოთხოვნების რეალური მიზეზების და მიდგომების ამოცნობაში¹⁴. ხშირად შეხვედებით იური-

4. *Steffek F.*, Mediation, in *The Max Planck Encyclopedia of European Private Law*, Vol. II, *Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A.*, Oxford University Press, Oxford, 2012, 1162.
 5. *Jeong S.*, Kritische Betrachtung über die Gerichtsmediation in Korea, in *Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Völzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S.*, Festschrift für Hanns Prütting, *Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung*, Carl Heymanns Verlag, Köln, 2018, 831.
 6. *Alexander N.*, *International and Comparative Mediation*, Wolters Kluwer, 2009, 1.
 7. *Blake S., Browne J., Sime S.*, *The Jackson ADR Handbook*, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 144.
 8. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.*, *Mediation und Konfliktmanagement*, Handbuch, 2. Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 50
 9. *Tutzel S., Wegen G., Wilske S.*, *Commercial Dispute Resolution in Germany*, 2nd Ed, C.H.BECK, München, 2016, 191.
 10. EU-Mediationsrichtlinie 2008, Art. 3a.
 11. *Greger R., Unberath H.*, *MediationsG : Recht der Alternativen Konfliktlösung*, Kommentar, C.H.BECK, München, 2012, 97.
 12. *Jones G., Pexton P.*, *ADR and Trusts: an International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes*, Spiramus Press, 2015, 33.
 13. *Wode M., Rabe C.S.*, *Mediation*, Springer, Berlin, 2014, 27.
 14. *Alexander N.*, *Global Trends in Mediation*, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006, 10.

დიულ ლიტერატურაში, სადაც მედიაცია „მომავალზე ორიენტირებული პროცესის“¹⁵ სახელით მოიხსენიება¹⁶; მედიაცია იძლევა საშუალებას მხარეებმა ხანგრძლივადიანი¹⁷ შედეგი მიიღონ პროცესის წარმატებით წარმართვის და დასრულების შემთხვევაში, მით უფრო, რომ მედიაციის გამოყენება კონფლიქტში მყოფ მხარეებს დავის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო ადრეულ¹⁸ სტადიაზე მოხდება მედიაციის ინიცირება, მით უფრო მაღალია დავის შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა¹⁹.

მედიაციის მეშვეობით მხარეები ცდილობენ საკუთარი სიმართლე შეათანხმონ ერთმანეთთან²⁰ რათა სამართლის ნორმებმა არ გადაწყვიტოს ის, რაც მათ მიაჩნიათ რომ არის სწორი, რადგან კარგად მოეხსენება ყველას, რომ რიგ შემთხვევაში სამართლიანობა და კანონიერება არ არის თანხვედრი თეზები, შესაბამისად, მედიაციის გამოყენებით მხარეები სწორედ საკუთარი სიმართლის დაფიქსირებას ცდილობენ შეთანხმების გზით, ხოლო რამდენად არის ეს სამართლიანი²¹ ორივე მხარისათვის, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხარეების მიერ არის მისაღები, ზოგადად სამართლიანობა მედიაციის ცნების მახასიათებელი სტანდარტია²².

მედიაციის სწორედ აღქმისათვის მნიშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებდნენ, მუდამ გაცილებით ეფექტურად იცავენ საკუთარ ინტერესებს, კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ, ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის დასრულების. შესაბამისად, მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისათვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და იცის, თუ როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესმა მისცა მას²³. ხშირია ლიტერატურაში, როდესაც მედიაციას ახასიათებენ ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად (win-win Lösung)²⁴, რადგან მედიაციის სწორი და ეფექტური გამოყენებით ორივე მხარეს შეუძლია საკუთარი ინტერესების სასარგებლო

15. Trossen A., Mediation (un)gerregelt, Win-Management Verlag, Mühlberg, 2014, 470

16. Deixler-Hübner A., Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags – und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 188.

17. Kaiser P., Gabler A.M., Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 6/2014, 180.

18. Fenn P., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, New York, 2017, 68.

19. Roberts M.M., Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd, Burlington, 2014, 180.

20. Wendland M., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tübingen, 2017, 216, 217.

21. Windisch K., Fair und/oder gerecht? Fairnesskriterien in der Mediation, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 2/2015, 55.

22. Steffek F., Unberath H., (eds), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.

23. Ahmed M., An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol. 7, intersentia, Cambridge-Antwerp-Portland, 2017, 216, 217.

24. Deixler-Hübner A., Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags – und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 21.



შეთანხმებას მიაღწიოს²⁵; მაშინ, როდესაც, სასამართლო საქმისწარმოების თუ საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად დახარჯული ადამიანური თუ ფინანსური დანახარჯით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება მოჩვენებითი²⁶.

ეს არის კონფიდენციალური პროცესი, რომელშიც ნებაყოფლობითობის²⁷ საფუძველზე ჩართული მხარეები მესამე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შუამავალი პირის ჩართულობით²⁸, რომელსაც რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია, ცდილობენ სასამართლოს გარეშე მიაღწიონ მათი ინტერესებისთვის მისაღებ შეთანხმებას²⁹ საკუთარი უფლებები ეფექტურად თავად დაიცვან, კერძოდ, გამონახონ ერთმანეთის ინტერესების³⁰ გათვალისწინებით, ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების პირობები.

II. მედიაცია, როგორც ადამიანის უფლებების რეალიზების ეფექტური მექანიზმი

ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში და რა თქმა უნდა საქართველოს მაგალითზეც, მოდავე მხარეებს უზრუნველყოფილი აქვთ სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება³¹ რაც ასევე საერთაშორისო სტანდარტებით³² დაცული და უზრუნველყოფილი, გარანტირებული უფლებაა. სასამართლო საუკუნეებია დამკვიდრებულია³³ როგორც მხარეებს შორის არსებული დავის ბუნებრივი გადაწყვეტის ადგილი³⁴, თუმცა საუკუნეების მანძილზე სასამართლო სამართალწარმოების გამოყენების გამოცდილებამ საზოგადოებას და სასამართლო საქმისწარმოების სერვისით მომხმარებლებს დაარწმუნა მსგავსი ფორმით და საშუალებით დავის გადაწყვეტის არაეფექტურობაში, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სასამართლო წარმოების დროში გახანგრძლივებულობით და პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯებით, რაც ნაცვლად ადამიანის უფლებების დაცვისა, დამატებით იწვევს უფლებების „დარღვევას“ რადგან მხარე იღებს

25. წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ, 2017, 14.

26. Bevan A., Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.

27. Hirsch G., Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Müller Verlag, Heidelberg, 2017, 64.

28. Steffek F., Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1162.

29. Hirsch G., Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Müller Verlag, Heidelberg, 2017, 69.

30. Bäumerich M., Güterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker&Humblot, Berlin, 2015, 23.

31. ix. saqarTvelos konstitucia, 42-e muxli.

32. ix. adamianis uflebaTa da ZiriTad TavisuflebaTa dacvis evropuli konvencia, me-6 muxli.

33. წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ, 2017, 13.

34. Wendenburg F., Differenzierte Verfahrensentscheidungen in zivilrechtlichen Konflikten, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 1/2013, 21

დაგვიანებულ და ძვირ პროცესს და მაღალია ალბათობა იმისა, რომ შედეგი თავის აქტუალობას კარგავს მხარისათვის, როდესაც ის საბოლოოდ დგება. სასამართლოში დავის ინიცირებით მხარეები რეალურ კონტროლს კარგავენ და ხელიდან უშვებენ სადავეებს საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე³⁵. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი სამართლებრივი დავის, განურჩევლად მისი ხასიათისა და სირთულისა, სასამართლოსათვის მინდობა, რიგ შემთხვევაში გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რაც თავისთავად იწვევს საჭიროებას სასამართლოს ალტერნატიული ეფექტური მექანიზმების გაჩენისა პრაქტიკაში, რაც მხარეებს მისცემს საშუალებას უშუალოდ დაიცვან საკუთარი ინტერესები და უფლებები, ორივე მხარისთვის ურთიერთსასარგებლო შეთანხმების მიღწევის გზით. ფაქტია, რომ ტრადიციული ფორმები დავის გადაწყვეტის, ისეთი, როგორც არის სასამართლოს წინაშე საქმისწარმოება ან თუნდაც საარბიტრაჟო სამართალწარმოება, აღარ წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს, რათა გაუმკლავდეს დღითი დღე მზარდ დავებს მხარეებს შორის, მათ შორის დაბალი ღირებულების და საზღვართშორისი დავების მატების ფონზე³⁶.

მედიაციის ფართოდ გავრცელებას და დამკვიდრებას აქვს ობიექტური მრავალი წინაპირობა, თუმცა ყველაზე მეტად გავრცელებულ საფუძვლებს³⁷ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმის დანერგვისა წარმოადგენს მისი თვალშისაცემი უპირატესობა ხარჯების და დროის დანახარჯის კუთხით, ხოლო საზღვართშორისი მედიაციის შემთხვევაში მხარეების ნაკლები ცოდნა და ნდობა დავის წარმოების ადგილის იურისდიქციისა³⁸, შესაბამისად, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ მედიაცია იმკვიდრებს თავს, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ინსტრუმენტი³⁹.

ბოლო ორმოცი წლის მანძილზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (ADR) საგრძნობლად განვითარდა და წარმატებით დამკვიდრდა⁴⁰ იურიდიულ საზოგადოებაში⁴¹, დღეს ის უკვე ნაწილია იურიდიული პრაქტიკის და აზროვნების. ბოლო დროს ვრცელდება მოსაზრებაც, რომ ADR არის არა ალტერნატივა მართლმსაჯულების, არამედ არის ალტერნატიული მართლმსაჯულება⁴² თუმცა მთავარია, რომ ამ ფორმის გამოყენებით დავის მხარეებმა მიი-

35. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.*, Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2. Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 35.

36. *Cortes P.*, The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 101.

37. *Rashda R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 3

38. *Deixler-Hübner A., Schauer M.*, (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags – und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 2.

39. *Berkel G.*, Deal Mediation: Erfolgsfaktoren professioneller Vertragsverhandlungen, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 1/2015, 4.

40. *Blake S., Browne J., Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 9.

41. *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 1.

42. *Lindblom P.H.*, Progressive Procedure, Iustus, 2017, 405.



ღონ კონკრეტული შედეგი. დავის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით დავის გადაწყვეტის სტატისტიკა დღითიდღე მატულობს⁴³. ევროპის კავშირის ეგიდით ხდება დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ სპეციალური დირექტივების მიღება⁴⁴ რაც ევროპის მასშტაბით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კიდევ უფრო დამკვიდრების წინაპირობაა⁴⁵.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როგორც ტერმინი გამოიყენება როგორც ზოგადი ფრაზა, რომელიც იგივედგება კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესთან, რომელიც თავისი ბუნებით არის არაფორმალური პროცესი, დავაში ჩართული მხარეებისათვის აბსოლუტურად მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი მესამე პირის ჩართულობით (შესაძლებელია ასეთი პირი იყოს ერთზე მეტი), რომელიც მხარეებს მათ შორის არსებული კონფლიქტის აღმოფხვრაში ეხმარება, იმაზე უფრო არაფორმალური ფორმით და საშუალებებით, ვიდრე ეს სასამართლო საქმისწარმოებას ახასიათებს⁴⁶ მარტივად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება განიმარტება, როგორც არასასამართლო მექანიზმით დავის გადაწყვეტა⁴⁷, ხოლო მსგავსი ფორმა დავის გადაწყვეტის, წარმოადგენს სასამართლო საქმისწარმოების ალტერნატიულ⁴⁸ მექანიზმს.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზაცია და გამოყენებადობა დიდწილად დამოკიდებულია საზოგადოების, ბიზნეს სექტორის მხრიდან ამ შესაძლებლობის და მისი ფორმების შესახებ ცნობადობის გაზრდაზე⁴⁹. მნიშვნელოვანია, რათა ხდებოდეს კონკრეტული საქმეების მაგალითებზე დავის ალტერნატიული საშუალებების ფორმების პრაქტიკული გამოყენება, რაც შექმნის ამ ინსტიტუტის მიმართ სანდოობას. მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია უშუალოდ მართლმსაჯულების მხრიდან, იგულისხმება სასამართლო ხელისუფლება, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიმართ მხარდამჭერი სასამართლო პოლიტიკის გატარება. განსაკუთრებით ასეთი ახალი ინსტიტუციების დანერგვის სტადიზე, რადგან საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც გააჩნია ნდობა სასამართლოსადმი, ამ უკანასკნელის პოზიციას ენიჭება გარკვეული დატვირთვა. თუმცა სასამართლომ ამ ყველაფერს წმინდა პრაგმატული კუთხით რომ შეხედოს, საქმეთა ნაკადის შემცირების თვალსაზრისით სასამართლოებისათვის ნამდვილად

43. *Carvalho J.M., Nemeth K.*, Implementation of the Consumer ADR Directive in the EU Member States, *EuCML Journal of European Consumer and Market Law*, C.H.BECK, Vol 7, 2/2018, 81.

44. ix. <<http://eur-lex.europa.eu/eli/dir/2013/11/oj>>. [15.05.2018]

45. *Steffek F.*, The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, 2016, 51. <<http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>>. [15.05.2018]

46. *Rana R.*, *Alternative Dispute Resolution*, Lexis Nexis, 2014, 2.

47. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.*, *Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration and other Processes*, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 4.

48. *Ferz S., Lison A., Wolfart E.M.*, *Zivilgerichte und Mediation*, Universitätsverlag, Wien, 2004, 28.

49. *Lord Justice Jackson.*, *New Approach to Civil Justice: From Woolf to Jackson.*, Conference on Civil Justice Reform: What Has it Achieved?., Hong Kong., 15 April 2010.

სასარგებლოა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ფართო გამოყენებადობა საზოგადოების მხრიდან⁵⁰. მექანიზმის საკანონმდებლო დონეზე მყარი და სტრუქტურული ინსტიტუციონალიზაცია დამატებითი წინაპირობაა მისდამი ნდობის მოპოვებისა.

დავის გადაწყვეტის არასასამართლო მექანიზმების გამოყენება მხარეთა ავტონომიურობის პრინციპზეა დამყარებული, რადგან მათ თავად, საკუთარი ნებით, კონსენსუსის⁵¹ გზით უნდა აირჩიონ დავის გადაწყვეტის ეს ფორმა, შესაბამისად, მექანიზმი მათთვის გარდა იმისა, რომ უნდა იყოს ცნობილი, უნდა იყოს სანდო და ეფექტური. ამასთანავე, გასათვალისწინებელია დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯი⁵² რაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების ფონზე სასამართლო სამართალწარმოებასთან შედარებით გაცილებით იაფი⁵³ და მომხიბვლელია⁵⁴. იურიდიული საზოგადოება საერთაშორისო მასშტაბით თანხმდება იმაზე, რომ მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან და განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში მედიაცია ფართოდ მკვიდრდება და მისი პოპულარიზაცია ყოველდღიურად იზრდება.

III. მედიაციის უპირატესობები და შესაქმნელი ნაკლოვანებები

მხარეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს ურთიერთობის კრიტიკული მომენტების იდენტიფიცირება⁵⁵, რაც დაძლევის შემთხვევაში, კიდევ უფრო წარმატებული შემდგომი ურთიერთობის წინაპირობაა, რაშიც მედიაცია დადებით როლს ასრულებს. ლიტერატურაში ხშირად ხდება მითითება იმაზე, რომ მედიაციის პროცესის მონაწილე მხარეებს პროცესის შემდგომ უადვილდებათ საკითხის ანალიზი, რადგან მათ ჰქონდათ შესაძლებლობა უშუალოდ მხარის არგუმენტაცია მოესმინათ⁵⁶, არა სამარტლებრივი დასაბუთებები, არამედ მხარისეული „სიმართლე“, რადგან, როგორც ცნობილია – „მედალს ორი მხარე აქვს“⁵⁷ და მხარეებს სწორედ მეორე მხარის სიმართლე ესმარებათ საკითხის სრულყოფილ ანალიზში, თუმცა მთავარია მხარეებს ჰქონდეთ შეთანხმების მიღწევისთვის სათანადო რესურსი,

50. *Kwan Lun M.I.*, *Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong.*, Cambridge University Press., Cambridge., 2017, 24.

51. *Kathy M.*, *Court Referral to ADR: Criteria and Research. 2003, para.6.6.*, <www.aija.org.au>. [15.05.2018]

52. *Hopt J.K., Steffek F.*, *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 38.

53. *Alexander N.*, *Four Mediation Stories from Across the Globe*, *The Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Max –Planck-Institute für ausländisches und internationales Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 734.

54. *Tunay K.*, *Contract Management & Dispute Resolution in International Construction Business*, *BILGE*, 2016, 182.

55. *Ulrich H.*, in *Klowait J., Gläßer U.*, *Mediationsgesetz, Handkommentar*, Nomos, Baden-Baden, 2014, 469

56. *Hakimah Y.*, *Alternative Dispute Resolution (ADR)*, *International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA)*, Malaysia, 2012, 36.

57. *Bhatt J.N.*, *A Round Table Justice through Lok-Adalat (People's Court) –A vibrant –ADR-in India*, 2002, 1.

რაც ყოველთვის გამოიძებნება თუ მოდავე მხარეების პირველად ინტერესს⁵⁸ დავის აღმოფხვრა წარმოადგენს.

მედიაციის დამკვირდებებს და დანერგვას რამოდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს, მათ შორის, უმთავრესი თავად სასამართლოების და საარბიტრაჟო ინსტიტუციების ბიუროკრატიული ბუნება, დროში გახანგრძლივებული პროცედურები და ხარჯია, რაც ამ წარმოებებს უკავშირდება, შესაბამისად „წესრიგი კანონის გარეშე“⁵⁹ და მისი გამოყენებადობის პერსპექტივა ავტომატურად ფეხს იკიდებს თითქმის ყველა იურისდიქციაში⁶⁰. ისევე, როგორც მხარეების რეალური ინტერესი, რათა მიაღწიონ კონფლიქტის დასრულებას და ერთმანეთში შეთანხმების მიღწევას. ხშირია, როდესაც, მედიაციაში მხარეები მათი სამართლებრივი სახის მოთხოვნების უკან არსებულ რეალურ ინტერესებს ააშკარავენ⁶¹ და სწორედ მათი მიღწევის კონკრეტულ გზებზე და საშუალებებზე უთანხმდებიან ერთმანეთს.

მედიაცია დავის მონაწილე მხარეებს სთავაზობს ლავირებად (ფლექსიბლურ⁶²) ალტერნატიულ საშუალებას თუ როგორ გადაწყდეს კონფლიქტი, ნაკლები დროის⁶³, ნაკლები ხარჯის⁶⁴ გაწევის სანაცვლოდ, უშუალოდ მხარეთა უფლებების ეფექტურად დაცვის ხარჯზე და მათ შორის სასამართლო საქმისწარმოების გადატვირთულობის შემცირებით. მედიაციის დადებითი მხარეა ის, რომ პროცესში შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეებს ყოველთვის რჩებათ შესაძლებლობა დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს⁶⁵, თუმცა მედიაციაში შედეგობრივად, მხარეთა უფლებები გაცილებით მეტად არის დაცული, რადგან ის შედეგი, რაც დგება ორივე მხარის შექმნილი პროცესშია და შედეგით ორივე მხარე კმაყოფილია.

მედიაციის მეშვეობით⁶⁶, მხარეებს აქვთ კარგი საშუალება მოახდინონ ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტის დეფინირება, გაერკვნენ ერთმანეთთან არსებული პრობლემის არსში, ჩაწვდნენ დაპირისპირების რეალურ მიზეზებს⁶⁷, დაარეგულირონ აღნიშნული კონფლიქტი მშვიდობიანად, მართონ კონფლიქტი, დარჩეს ორივე მხარე მოგებულნი⁶⁸ (ე.წ. win-win situation)⁶⁹ ისევე, როგორც მოახ-

58. von Maik B., Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker & Humblot, Berlin.2015, 21.

59. Ellickson R.C., Order Without Law: How Neighbors Settle Disputes, Harvard University Press, Cambridge MA, 1991.

60. Ellickson R.C., Order Without Law: How Neighbors Settle Disputes, Harvard University Press, Cambridge MA, 1991.

61. von Maik B., Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker & Humblot, Berlin.2015, 22.

62. Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, V.

63. Malacka M., Mediation als Appropriate Dispute Resolution im Tschechischen und Slowakischen Rechtssystem in Osteuropa Recht Zeitschrift, Nomos, Baden-Baden, 2018, 91.

64. Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 38.

65. Lindblom P.H., Progressive Procedure, Iustus, 2017, 422.

66. Boulle L., Kathleen K.J., Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998.12.16.

67. Kumar A., Alternative Dispute Resolution System, K.K. Publications, 2016, 233.

68. იქვე, 233.

69. Hafit F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 85.

დინონ კონფლიქტის შემდგომი გაღვივების პრევენცია და შეინარჩუნონ ურთიერთობა⁷⁰, მათ შორის, ქრისტიანული მოძღვრებაც ადამიანს ურჩევს კონფლიქტი აირიდონ თავიდან⁷¹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი მხარეებს მოუწოდებს კონფლიქტის აღმოსაფხვრელად გამოიყენოს მედიაცია⁷² (არაბულად Sulh).

მედიაცია კარგი საშუალებაა მხარეებმა მოახდინონ ერთგვარი თვითგამორკვევა⁷³, ნაცვლად სასამართლო პროცედურებისა, სადაც ამ ფუნქციით მოსამართლე არის დაკავებული ანუ „მედიაცია ეხმარება მხარეებს თავად გადაწყვიტონ საკუთარი საქმე“⁷⁴, ხოლო სასამართლო და არბიტრაჟი მხარეების საქმეში „ერევა“, რათა გადაუწყვიტოს მათ საქმე, ანუ მედიაცია აძლევს მხარეებს საშუალებას დაიცვან საკუთარი უფლებები, საკუთარი ინტერესების დაახლოებით და ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების მიღწევით.

დღევანდელი აღქმით, მედიაცია წარმოადგენს ერთგვარ საშუალებას, რათა მიიღწეს მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი⁷⁵. ის არის საკმაოდ ძლიერი ინსტრუმენტი, თუმცა ჯერ კიდევ ნაკლებად გამოყენებადი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება⁷⁶. მედიაციის მიზანი მხარეებს შორის შეთანხმება შედგეს⁷⁷ ხოლო მოდავე მხარეებს შორის ურთიერთობა მაშინ დამშვიდდება, როდესაც დავის შეთანხმებით გადაჭრა ხელს შეუწყობს მათი სამომავლო ურთიერთობების შემდგომ გაგრძელებას, რადროსაც მედიაციის მიზანი მიიღწევა⁷⁸. მეორე მხრივ, მედიაციას ახასიათებს, როდესაც ის შეთანხმებით ვერ სრულდება, თუმცა მხარეები მედიაციის პროცესში არკვევენ ერთმანეთისადმი პოზიციებს და რეალურ ინტერესებს, რაც ასევე შეიძლება გახდეს წინაპირობა იმისა, რომ მედიაციაში კონკრეტული შეთანხმების მიუღწევლად მხარეებმა ან არ გააგრძელონ ერთმანეთთან სამართლებრივი დავა ან არ მოახდინონ სამართლებრივი დავის ინიცირება, რაც, საბოლოო ჯამში, ნამდვილად დადებით შედეგად⁷⁹ უნდა შეფასდეს და მედიაციის კონკრეტულ შედეგად.

და ბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მედიაციის დამატებითი ღირებულება მარტო ის არ არის, რომ იზოგება ხარჯები⁸⁰, სასამართლოსა და მოსამარ-

70. Englert K., Franke H., Grieger W., Streitlösung ohne Gericht – Schlichtung, Schiedsgericht und Mediation in Bausachen., Werner Verlag, 2006. 242.

71. Roebuck D., Mediation and Arbitration in the middle Ages (England 1154-1558), Holo Books, The Arbitration Press Oxford, 2013, 51.

72. Hakimah Y., Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012, 97.

73. Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J., Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 224.

74. Meyer A.S., Chairman, New York State Mediation Board, 1969, 164.

75. Eidenmuller H, Wagner G., Mediationsrecht, otto schmidt, 2015, 7.

76. Filler E., Commercial Mediation in Europe, Wolters Kluwer, 2012, 277.

77. Goodman A., Basic Skills for the New Mediator, Solomon Publications, 2nd Ed, Maryland, 2005, 20.

78. Glenewinkel W., Mediation als ausergerichtliches Konfliktlösungsmodell, ibidem-Verlag, 1999, 44.

79. Waring M., Commercial Dispute Resolution, CLP Legal Practice Guides/College of Law Publishing, 2016, 160.

80. Penny B., Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 9.



თლის დრო, არის ნაკლები შეჯიბრებითი პროცესი, ვიდრე სასამართლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მედიაციის გამოყენებით მხარეებს ეძლევათ საშუალება თავად გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები, იტვირთონ პასუხისმგებლობა და გაწიონ კონტროლი პროცესის მიმდინარეობის, რა დროსაც, შეუძლიათ აღადგინონ ან დაიწყონ მეორე მხარისათვის უკვე დაზიანებული ურთიერთობის დათბობა, ანუ კონსტრუქციულად წინ წაწიონ საკუთარი ბიზნეს ინტერესი და პირადი ცხოვრება სტრესის და დაძაბულობის გარეშე⁸¹, რა დროსაც, მხარეებს მეტი კმაყოფილების განცდა გააჩნიათ საქმისწარმოებისადმი⁸², ხოლო შედეგად, დავის მხარეები უზრუნველყოფენ საკუთარი უფლებების ეფექტურ დაცვას.

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის არსებული დავის გადაწყვეტის მართლაც ეფექტურ საშუალებას, რომლის მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველთვის მზარდია, თუმცა, გარკვეული უარყოფითი მხარე მედიაციასაც გარკვეულწილად ასევე ახასიათებს, რაც მისი მნიშვნელობის და გამოყენების სიკეთეების გათვალისწინებით მართლაც ვერ აუფერულებს მედიაციის იმ უპირატესობებს, რაც თან სდევს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, კერძოდ, აქტუალურად შეინიშნება როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე პრაქტიკული კუთხით მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციის დამკვიდრებამ შესაძლებელია მოახდინოს მართლმსაჯულების „პრივატიზაცია“ და მარლმსაჯულების განხორციელების კერძო პირთა ხელში აღმოჩენა, რითაც საფრთხე შეექმნება სამართლის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას⁸³, რაც ერთი მხრივ, წარმოადგენს გარკვეულ საფრთხეს, თუმცა აღნიშნული უფრო ჰიპოთეტურ მოსაზრებად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან დავის ალტერნატიული საშუალების ამ მექანიზმის სწორი დანერგვა ნებისმიერ სახელმწიფოში, ისევე როგორც მის შესახებ საზოგადოების სრული ინფორმირებულობა აღნიშნულ რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.

ამასთანავე, ხშირია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციაში მხარე, რომელიც გარკვეული ძალამოსილებით სარგებლობს კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან შედარებით, შეუძლია თავისი გავლენის გამოყენებით საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ შეითანხმოს მეორე მხარე⁸⁴. აღნიშნულ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, თუმცა მსგავსი რისკი ნებისმიერი ფორმით დავის გადაწყვეტისას შეიძლება არსებობდეს და ამ შემთხვევაშიც მხარეების მხრიდან მედიაციის ინსტიტუტის სწორი გამოყენების შემთხვე-

81. Brown H., Marriott A., ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 107

82. Penny B., Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 9.

83. Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 9.

84. იქვე, 10.

ვაში, აღნიშნული უარყოფითი მხარის ნიველირება სავსებით რეალური და შესაძლებელია.

მედიაციის უარყოფით მხარეს რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითზე, მისი ზედმეტად რეგულირებაც წარმოადგენს, რადგან ასეთ შემთხვევაში, მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, კარგავს იმ ლავირებად ბუნებას, რაც მას განასხვავებს სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეულ სასამართლო საქმისწარმოებასა და თუნდაც ნებისმიერ სხვა სახის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმებისაგან და რაც რეალურად მისი უპირატესობა და დადებითი მხარეა, ვიდრე რისკი, რომელსაც რეგულირება ესაჭიროებოდა ან ზედმეტი რეგულირებით რაიმე სახის რისკის თავიდან აშორება იქნეს შესაძლებელი.

აღნიშნული და ბევრი სხვა უარყოფითი მხარე თავს გამოავლენს და მოახდენს გავლენას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მედიაცია ქვეყანაში ინსტიტუციურ სახეს არ ატარებს და მისი გამოვლინება ფრაგმენტული ხასიათისაა, ხოლო ისეთ შემთხვევებში, სადაც მედიაციის რეგულირება საკანონმდებლო დონეზე არსებობს, თუნდაც ელემენტარული სახით და სადაც მედიაციის პროცესი პრაქტიკაში აპრობირებულია და რეალურ მოხმარებაშია მოდავე მხარეების მიერ, ფაქტობრივად განეიტრალებულია ნებისმიერი სახის უარყოფითი მხარის გავლენა მედიაციის პროცესში მონაწილე სუბიექტებზე და თავად პროცესზე⁸⁵.

ამ კუთხით, ხაზი უნდა გაესვას, მედიაციის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელების საჭიროებას საზოგადოებაში და იურიდიული პროფესიის მხრიდან მედიაციის მიმართ კეთილგანწყობის არსებობის საჭიროებას, და რა შემთხვევაშიც მედიაცია განწირულია წარმატებით დანერგვისთვის და ფუნქციონირებისთვის ნებისმიერ სახელმწიფოში.

IV. დასკვნა

ამ ყველაფრის ფონზე, დღეისათვის თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული იურიდიული საზოგადოება ერთსულოვანია მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის დანერგვის საჭიროების საკითხში; ამ ეტაპზე, აღნიშნული მოსაზრებისაგან განსხვავებული ხედვის დაფიქსირება საჯარო სივრცეში არ მომდარა, არც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების სტადიაზე, რაც უდავოდ დადებითად მეტყველებს მედიაციის ინსტიტუტისადმი, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახალი ინსტიტუტის დანერგვის ეტაპზე ყოველ-

85. Hopt J.K., Steffek F., *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 38.



ვის შეინიშნება განსხვავებული აზრი და მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორი ან საჭიროა ამა თუ იმ რეფორმის ან ცვლილების გატარება.

აღსანიშნავია, რომ მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან სწორედ ერთიანი ნორმატიული აქტის საფუძველზე, ე.წ. ჩარჩო რეგულატორის არსებობა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მისი არსის სწორედ გააზრებას და გამოყენებას, როგორც მოდავე მხარეებს შორის, ასევე მას ექნება ის დიდი დატვირთვა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის განტვირთვის კუთხით და მეორეს მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის ფართო გამოყენება ყველა შემთხვევაში გახდება ქართული საზოგადოებისათვის წინაპირობა ჩაერთონ დიალოგში და ეცადონ ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაცია ურთიერთმოლაპარაკების გზით, საკუთარი უფლებების დაცვით გადაწყვიტონ, რისი რეალური დეფიციტიც შეიმჩნევა ჩვენს გარემოში.

რეზიუმე

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება მზარდი ტემპით იკიდებს ფეხს და მკვიდრდება ყოველდღიურ გამოყენებაში, როგორც კონფლიქტში მყოფი მხარეებისთვის ყველაზე მისაღებ საშუალებად მიაღწიონ შეთანხმებას.

მრავალი ევროპული ქვეყანა, სასამართლო საქმისწარმოების ინიცირებამდე, მედიაციის სავალდებულოდ გამოყენების ფორმებს ნერგავს შიდა იურისდიქციებში, რითაც კიდევ უფრო ხელს უწყობს საზოგადოებაში დავის ალტერნატიული საშუალების პროულარიზაციას და გამოყენებადობის გაზრდას.

კონფლიქტში მყოფი მხარეების მხრიდან საკუთარი ფინანსების და დროის დაზოგვის მიზნით დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიულ ფორმას მრავალი მომხმარებელი უჩნდება, ისევე როგორც მედიაციის გამოყენების კიდევ უფრო ინოვაციურ ფორმებზე ფიქრობენ და მუშაობენ სხვადასხვა სახელმწიფოები, რაც ამ პროცესს კიდევ უფრო მეტ როლს და გამოყენებას შესძენს.

მედიაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე წარმატებით დაამტკიცა, რომ ის წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებას და ობიექტურად იმკვიდრებს თავს როგორც ყველაზე მოთხოვნადი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, რითაც კიდევ ერთხელ ამართლებს მოსაზრებას, რომ „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია“ და მოკრძალებით შეიძლება აღნიშნული

მოსაზრების იმ კუთხით განვრცობა, რომ ნებისმიერი სწორედ დაგეგმილი და გააზრებული რეფორმა, რომელიც ერთი მხრივ, ეყრდნობა დაგროვილ საერთაშორისო გამოცდილებას, ხოლო მეორე მხრივ, ასახავს ეროვნულ დონეზე არსებული საჭიროებების სწორ შემეცნებას, განწირულია წარმატებისთვის და ასე უნდა მოხდეს მედიაციის შემთხვევაში საქართველოში, რაც საბოლოო სახით განაპირობებს ეფექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების ქვეყანაში ოპერირებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. *Esplugues C., Marquis L.*, New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, 2015;
2. *Carvalho J.M., Carvalho C.*, Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), European Contract Law and the Digital Single Market –The Implications of the Digital Revolution, Intersentia, 2016;
3. *Steffek F.*, Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012;
4. *Jeong S.*, Kritische Betrachtung über die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Völmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrift für Hanns Prütting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Köln, 2018;
5. *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009;
6. *Blake S., Browne J., Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016;
7. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.*, Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017;
8. *Tutzel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, München, 2016;
9. *Greger R., Unberath H.*, MediationsG : Recht der Alternativen Konfliktlösung, Kommentar , C.H.BECK, München, 2012;
10. *Jones G., Pexton P.*, ADR and Trusts: an International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes, Spiramus Press, 2015;
11. *Wode M., Rabe C.S.*, Mediation, Springer, Berlin, 2014;
12. *Alexander N.*, Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006;
13. *Trossen A.*, Mediation (un)gerecht, Win-Management Verlag, Mühlberg, 2014;
14. *Deixler-Hübner A., Schauer M.*, (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags – und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016;
15. *Kaiser P., Gabler A.M.*, Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 6/2014;



16. *Fenn P.*, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, New York, 2017;
17. *Roberts M.M.*, Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd, Burlington, 2014;
18. *Wendland M.*, Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tübingen, 2017;
19. *Windisch K.*, Fair und/oder gerecht? Fairnesskriterien in der Mediation, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 2/2015;
20. *Steffek F., Unberath H., (eds), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.*, Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013;
21. *Ahmed M.*, An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol. 7, intersentia, Cambridge-Antwerp-Portland, 2017;
22. *Deixler-Hübner A., Schauer M.*, (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags – und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016;
23. *wulaZe a.*, qarTuli sasamarTlo mediaciis SedarebiTi analizi, gamomcemloba „iuristebis samyaro“, Tb, 2017;
24. *Bevan A.*, Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992;
25. *Hirsch G.*, Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Müller Verlag, Heidelberg, 2017;
26. *Hirsch G.*, Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Müller Verlag, Heidelberg, 2017;
27. *Bäumerich M.*, Güterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker&Humblot, Berlin, 2015;
28. saqarTvelos konstitucia, 42-e muxli;
29. adamianis uflebaTa da ZiriTad TavisuflebaTa dacvis evropuli konvencia;
30. *Wendenburg F.*, Differenzierte Verfahrensentscheidungen in zivilrechtlichen Konflikten, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 1/2013;
31. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.*, Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017;
32. *Cortes P.*, The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018;
33. *Rashda R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014;
34. *Deixler-Hübner A., Schauer M.*, (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags – und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016;
35. *Berkel G.*, Deal Mediation: Erfolgsfaktoren professioneller Vertragsverhandlungen, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 1/2015;
36. *Blake S., Browne J., Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016;
37. *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011;

38. *Lindblom P.H.*, Progressive Procedure, Iustus, 2017;
39. *Carvalho J.M., Nemeth K.*, Implementation of the Consumer ADR Directive in the EU Member States, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018;
40. <http://eur-lex.europa.eu/eli/dir/2013/11/oj>;
41. *Steffek F.*, The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, 2016;
42. *Rana R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014;
43. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.*, Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012;
44. *Ferz S., Lison A., Wolfart E.M.*, Zivilgerichte und Mediation, Universitätsverlag, Wien, 2004;
45. *Lord Justice Jackson.*, New Approach to Civil Justice: From Woolf to Jackson., Conference on Civil Justice Reform :What Has it Achieved?., Hong Kong. 2010;
46. *Kwan Lun M.I.*, Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong., Cambridge University Press., Cambridge., 2017;
47. *Kathy M.*, Court Referral to ADR: Criteria and Research. 2003;
48. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013;
49. *Alexander N.*, Four Mediation Stories from Across the Globe, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur ausländisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010;
50. *Tunay K.*, Contract Management & Dispute Resolution in International Construction Business, BILGE, 2016;
51. *Ulrich H.*, in Klowait J., Gläßer U., Mediationsgesetz, Handkommentar, Nomos, Baden-Baden, 2014;
52. *Hakimah Y.*, Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari’ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012;
53. *Bhatt J.N.*, A Round Table Justice through Lok-Adalat (People’s Court) –A vibrant –ADR-in India, 2002;
54. *von Maik B.*, Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker & Humblot, Berlin. 2015;
55. *Ellickson R.C.*, Order Without Law: How Neighbors Settle Disputes, Harvard University Press, Cambridge MA, 1991;
56. *Ellickson R.C.*, Order Without Law: How Neighbors Settle Disputes, Harvard University Press, Cambridge MA, 1991;
57. *von Maik B.*, Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker & Humblot, Berlin. 2015;
58. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013;
59. *Malacka M.*, Mediation als Appropriate Dispute Resolution im Tschechischen und Slowakischen Rechtssystem in Osteuropa Recht Zeitschrift, Nomos, Baden-Baden, 2018;



60. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013;
61. *Lindblom P.H.*, Progressive Procedure, Iustus, 2017;
62. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998;
63. *Kumar A.*, Alternative Dispute Resolution System, K.K. Publications, 2016;
64. *Haft F., von Schlieffen K.G.*, Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016;
65. *Englert K., Franke H., Grieger W.*, Streitlosung ohne Gericht – Schlichtung, Schiedsgericht und Mediation in Bausachen., Werner Verlag, 2006;
66. *Roebuck D.*, Mediation and Arbitration in the middle Ages (England 1154-1558), Holo Books, The Arbitration Press Oxford, 2013;
67. *Hakimah Y.*, Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari’ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012;
68. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.*, Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011;
69. *Meyer A.S.*, Chairman, New York State Mediation Board, 1969;
70. *Eidenmuller H, Wagner G.*, Mediationsrecht, ottoschmidt, 2015;
71. *Filler E.*, Commercial Mediation in Europe, Wolters Kluwer, 2012;
72. *Goodman A.*, Basic Skills for the New Mediator, Solomon Publications, 2nd Ed, Maryland, 2005;
73. *Glenewinkel W.*, Mediation als ausergerichtliches Konfliktlosungsmodell, ibidem-Verlag, 1999;
74. *Waring M.*, Commercial Dispute Resolution, CLP Legal Practice Guides/College of Law Publishing, 2016;
75. *Penny B.*, Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013;
76. *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011;
77. *Penny B.*, Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013;
78. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.*, Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012;

MEDIATION – INNOVATION IN THE LEGAL FIELD OF GEORGIA AND EFFECTIVE MECHANISM FOR THE IMPLEMENTATION OF HUMAN RIGHTS

Irakli Kandashvili

Lawyer, Chairperson of the

Georgian Association of Mediators, Professor, Doctor of Law

Abstract. the purpose of the article is to provide an academic overview of mediation – a new form of alternative dispute resolution in Georgia, and to make the issue actual. The entry into force of the Law of Georgia on Mediation is an important precondition for establishing a culture of dialogue in the country and for shifting from the path of public confrontation to the path of social harmony. Although the platform of dispute resolution has been made available at the legislative level, its level of awareness is not so high; this is why we consider it expedient to carry out academic research on the issue, which will serve as an effective means for overcoming such challenge in order to reach such level, where mediation will not be deemed an alternative means of dispute resolution, but will be recognised as an ordinary mechanism for dispute resolution; such a view is summarised below based on the example of developed democracies, among academics, as well as practising lawyers.

Keywords: mediation, negotiation, agreement

I. INTRODUCTION

Modern society is especially prone to disputes, which, by default, leads to the overloading of courts with lawsuits resulting in lengthy and delayed processes of administering justice, as well as financial expenses¹ incurred by parties in dispute. Given the psychological stress, nervousness, emotional distress, and waste of time and money associated with dispute resolution, both society and business entities have always sought and continue to seek answers as to how, and by what mechanisms, to neutralise a conflictual situation, eradicate a source of tension effectively, and maintain harmonious relations with another party to a dispute.

To that end, both natural and legal persons have been striving to find effective ways to

1. *Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.*

resolve disputes that would best meet their needs and are better tailored to the interests of parties. The searching for such ways and their planning, by default, should be accomplished using legal means, and from this viewpoint the legal policy of the state should coincide with the interests and needs of the public and correspond to the interests of the citizens, the main component of the public. From the international perspective, the availability of simple, effective, timely and affordable means of dispute resolution is what they need².

It is worth noting that in light of the above mentioned, the state interest has always been and continues to be consistent with the said need, because, on the one hand, with such capabilities in place, the judiciary will be able to relieve itself from the burden of accumulated lawsuits and pending proceedings, and on the other hand, a significant social function will be fulfilled if parties try to maintain sound relations when attempting to resolve disputes by legal means other than court proceedings, because by using alternative means of dispute resolution the parties won't be obsessed by winning or losing, which makes it easier for members of public to coexist and business entities to conduct business relations with other parties despite a conflict, thus ensuring the effective protection of the rights of natural and legal persons. In other words, it is in the interests of both the state, at the macro level³, and in the interests of parties to a dispute, at the micro level, to find an effective means of dispute resolution in terms of time and money saving, which will enable both the parties and the state to actually save resources that would guarantee the precondition of social harmony and the effective protection of human rights.

Given the aforementioned needs and reality, alternative means of dispute resolution have always been and continue to be logical and predictable in terms of consequences, which in reality represents an effective means of eradicating social⁴ tension and settling conflicts in society, as well as a means of the effective protection of human rights. It can be stated that mediation, as the most effective means of alternative dispute resolution, has recently been introduced in almost all states, including forms⁵ characteristic of mediation.

Nowadays, mediation is the fastest growing alternative means of dispute resolution in the world⁶, which is characterised by delegating the power of taking a decision for parties in dispute through the involvement of a third, independent⁷, impartial, and neutral party⁸, within

The cooperation between the two ministries has a long history, which is of great value to us. One of the brightest examples of said cooperation are the Legal Forums, which have become a greatly efficient „tradition“ between our two countries. That being said, we are very eager to take this cooperation between our countries to new levels, for it will contribute to the exchange of best practices in the areas related to the competencies of the Ministries of Justice of the Republic of Armenia. It will also contribute to the strengthening of the existing partnership, effective, friendly relations between the Ministries of Justice in the fields related to our mutual interests, as well as the expansion and deepening of cooperation through mutual visits of the two Ministries.

I am certain that the close dialogue between our ministries will contribute to our common goal of achieving good partnership between our two countries. Therefore, I believe that the continuity of the Armenian-Georgian legal forum will be a good platform to discuss all issues that are of mutual interest.

For post-Soviet countries, the task remains to free their national legal systems from the negative legacy and remnants. What is being done in order to approximate the legal system of Armenia to European standards?

In order to come up with the best ideas for reforms in the justice system and in order to implement said reforms, we are looking into the best experience of a number of partner countries to be used as guidance for improvements to be made in our country, one of these countries being our neighbor Georgia, with its exemplary experience. As for approximation of Armenian national law to European standards, I find it noteworthy that Armenia has ratified a Comprehensive and Enhanced Partnership Agreement (CEPA). A roadmap has been established in accordance with said agreement which our country is respecting and following.



What is commendable and acceptable for you in the Georgian model of the justice system, and do you consider sharing our experience in any direction?

Currently, we have a wide program for reforms to be made in our country. Namely we are intensively working on constitutional and judicial amendments, as well as improvements in the fields of penitentiary, probation, compulsory execution, anti-corruption policy, human rights, police reforms etc. Georgia provides us with new ideas related to the aforementioned fields.

One such example is the e-system known as „Probbox“, which enables the Probation Service to operate efficiently without having to open new branches, as well as save human resources and manage them properly. Taking into account the digitalization processes in the field of justice, the introduction of this innovative device will be a significant achievement in the Republic of Armenia, which will enable more effective management of human and material resources in the future, thus significantly reducing costs in the field of probation. I also find important the possibility of deploying in Armenia the „Mobile Houses of Justice“, this is a new approach in this area and is aimed at developing the effectiveness of the already existing houses of justice, as well as the idea of creating arbitration centers, which is currently in the initial stage of establishment in Armenia and has already been implemented in Georgia

How do you see the Armenian justice system after the reforms you have planned?

In 2019 the Government of Armenia has designed a very ambitious reform agenda which is reflected within the sectoral strategic documents. These documents have been elaborated and will be implemented with the participation of all relevant stakeholders, including the representatives of civil society and with the engagement of our international partners.

Once the reforms in question have been completed, we expect our justice system to be much more fair, efficient, practical and more leaning towards human rights. Our reform agenda as a whole will allow us to ensure integrity among main justice chain actors, especially judges, thereby increasing public trust in the judiciary. Which is why the cooperation between our countries is a great opportunity for growth and improvement.

At the moment, constitutional, judicial and anti-corruption reforms are being developed, as well as reforms in the areas of criminal enforcement, probation, police, enforcement, human rights, etc.

ინტერვიუ საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ბატონ ირაქლი ზოთაძესთან

საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმირება 2013-2020 წლებში

საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური განვითარების, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით 2013-2020 წლებში მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. რეფორმები ეფუძნებოდა ვენეციის კომისიის, ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) რეკომენდაციებს.

პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმირება სამ ძირითად ეტაპად 2013, 2015 და 2018 წლებში განხორციელდა.

2013 წლამდე საქართველოს პროკურატურა იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობდა საპროკურორო უფლებამოსილებით აღჭურვილი იუსტიციის მინისტრი, მთავარ პროკურორს კი იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა თავდაპირველად საქართველოს პრეზიდენტი, შემდეგ კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი. 2013 წელს განხორციელდა პროკურატურის რეფორმირების პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპი და იუსტიციის მინისტრს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს, სრულად ჩამოერთვა საპროკურორო უფლებამოსილებები.

2015 წელს განხორციელებული პროკურატურის რეფორმირების მეორე ეტაპის ფარგლებში პროკურატურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და მისი ფუნქციების ეფექტიანად შესასრულებლად შეიქმნა დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანო – საპროკურორო საბჭო, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევა. ასევე შეიქმნა საქართველოს პროკურორთა კონფერენცია – პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კრება და მის უფლებამოსილებად განისაზღვრა საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების არჩევა.

პროკურატურის რეფორმირების მეორე ეტაპზე განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე არჩევის და თანამდებობიდან გადაყენების ახალი წესის შექმნა. კანონით განისაზღვრა, რომ მთავარი



პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა, იუსტიციის მინისტრი მთავარი პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად იწყებდა ერთთვიან კონსულტაციებს აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან. კონსულტაციების შედეგად იუსტიციის მინისტრი შეარჩევდა და საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენდა მთავარი პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის უნდა ყოფილიყო. კანდიდატებს საპროკურორო საბჭოს სხდომაზე ცალ-ცალკე, ფარული კენჭისყრით ეყრებოდათ კენჭი. არჩეულად კი ითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებდა მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. საპროკურორო საბჭოს მიერ შერჩეულ მთავარი პროკურორობის კანდიდატურას იუსტიციის მინისტრი დაუყოვნებლივ წარუდგენდა საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა კი ორი კვირის ვადაში თანხმობას აცხადებდა ან/და უარს ამბობდა წარმოდგენილ კანდიდატურაზე. თუ საქართველოს მთავრობა იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილ კანდიდატურაზე თანხმობას განაცხადებდა, აღნიშნული კანდიდატურა დაუყოვნებლივ წარედგინებოდა საქართველოს პარლამენტს, რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით 6 წლის ვადით ირჩევდა მთავარ პროკურორს.

პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და რეფორმირების ბოლო ეტაპი იყო 2018 წელი, როდესაც პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა განისაზღვრა უკვე საქართველოს კონსტიტუციით, უწყება გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და დამოუკიდებელ სახელმწიფო სტრუქტურად ჩამოყალიბდა. გაუქმდა იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილება, რომ ყოფილიყო საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე და წევრიც, უკვე გენერალური და არა მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესს გამოეთიშა აღმასრულებელი ხელისუფლება. გამყარდა გენერალური პროკურორის თანამდებობის სტაბილურობა, რადგან მისი ვადაზე ადრე თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საპარლამენტო იმპიჩმენტის გზით, გაუმჯობესდა პროკურატურის თანამშრომლების დანიშვნა-დაწინაურებასთან და დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები. პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები:

- ✓ კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო;
- ✓ სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო;
- ✓ რანგირების საბჭო.

აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სამივე სათათბირო ორგანოს შემადგენლობაში შედის პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩე-

ული საპროკურორო საბჭოს 8 წევრი და უფრო მეტიც, ისინი გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირთა უმრავლესობას წარმოადგენენ. აღნიშნულმა რეგულაციამ გაზარდა პროკურატურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული პირების როლი. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული სათათბირო ორგანოების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში გენერალური პროკურორის მიერ მათი ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა.

რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპროკურორო საბჭო კონსტიტუციურ ორგანოდ ჩამოყალიბდა. საპროკურორო საბჭოს 15 წევრიდან 8 წევრს ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია, 2 წევრს ირჩევს იუსტიციის საბჭო საერთო სასამართლოს მოსამართლეებისგან, 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრებისგან, 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი იურიდიული და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისგან და 1 წევრს ირჩევს ასევე საქართველოს პარლამენტი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანდიდატურისგან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს წევრებისგან ირჩევს თვითონ საბჭო ორი წლის ვადით. საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას კი წარმოადგენს გენერალური პროკურორობის კანდიდატურის შერჩევა და დამტკიცება, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება, საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების ან/და სახდელის ვადამდე მოხსნის საკითხის გადაწყვეტა, 6 თვეში ერთხელ, ხოლო საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით – დაუყოვნებლივ, პროკურატურის საქმიანობის შესახებ გენერალური პროკურორის ანგარიშის მოსმენა, ანგარიშში შემავალ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება და გენერალური პროკურორისათვის წარდგენა, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის, პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელის შეშეწყობი რეკომენდაციების გენერალური პროკურორისათვის წარდგენა.

რა სპეციფიკური გამოწვევები წარმოშვა ახალმა კორონავირუსმა (COVID-19) საქართველოს პროკურატურის წინაშე და როგორ გაუმკლავდა სისტემა ამ გამოწვევებს?

2020 წელს, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, საქართველოს პროკურატურა, ისევე როგორც მთლიანად მართლმსაჯულების სისტემა, აქამდე სრულიად ახალი და უცხო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა – ჩვენ, ერთი მხრივ, უნდა მოგვეხდინა სისტემაში თანამშრომლებს შორის ვირუსის გავრცელების პრევენ-



ცია და, მეორე მხრივ, გაგვეგრძელებინა ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობა და ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ.

ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკების პრევენციისთვის, მართლმსაჯულების შეუფერხებლად წარმართვის და ასევე აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში საკმაოდ სწრაფად განხორციელდა დისტანციური სამართალწარმოებისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, პროკურატურის ყველა ოფისი აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებით და მოხდა მათი პროგრამული უზრუნველყოფა, რამაც პროკურორებს მისცა შესაძლებლობა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა განხორციელებინათ პროკურატურის ოფისებიდან. 2020 წლის მარტიდან პროკურორებმა ათასობით დისტანციურ სასამართლო პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ჩვენ ასევე დავწერებთ დისტანციური სასამართლო სხდომების მონიტორინგის მექანიზმი და დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესები მიმდინარეობდა ეფექტიანად, კანონით დადგენილ ვადებში და მხარეთა უფლებების განუხრელი დაცვით.

საქართველოს პროკურატურამ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი იმ ბრალდებულებისთვის, რომელთაც სატელეფონო კომუნიკაცია ბრალდების მხარის მიერ ჰქონდათ შეზღუდული, დაუშვა სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული განპირობებული იყო ბრალდებულთა ოჯახების მხრიდან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაზრდილი ინტერესით.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ 2020 წლის მარტში განცხადება/საჩივრების მიღება დაიწყო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული ელექტრონული ფოსტა გასაჯაროვდა პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე და მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი განცხადება/საჩივრები გამოეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პროკურატურის ოფისებში მოქალაქეების მობილობა. გენერალური პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში და რეგიონებში არსებულ ყველა ოფისის შესასვლელში დაიდგა გამცხადება/საჩივრების მისაღები ყუთი. ამ გზით საქართველოს პროკურატურაში ათასობით განცხადება/საჩივარი იქნა წარმოდგენილი, რომლებიც ადრესატებთან ნაწილდებოდა შეუფერხებლად და მათზე რეაგირებაც კანონით დადგენილ ვადებში ხდებოდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში არ შეფერხებულა არც პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი და დისტანციურ ფორმატში ათეულობით სასწავლო აქტივობა გაიმართა.

კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის პირობებში, პროკურატუ-

რის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა ძირითადად განხორციელდა დისტანციურად.

თუმცა, მიუხედავად კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური გამოწვევისა, საქართველოს პროკურატურისთვის 2020-2021 წლები მნიშვნელოვანი წარმატებების წლები იყო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით დასახულ მიზნებს.

რა პრიორიტეტული მიმართულებებით წარმართავს დღესდღეობით თავის საქმიანობას საქართველოს პროკურატურა?

პროკურატურა უწყვეტად და გეგმაზომიერად უნდა ვითარდებოდეს დროთა განმავლობაში წამოჭრილი გამოწვევების საპასუხოდ. პროკურატურა უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში, რათა მაღალკვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლების მიერ კანონით დაკისრებული ფუნქციების ობიექტურად და მიუკერძოებლად განხორციელებით და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული საქმიანობით, განამტკიცოს კანონის უზენაესობა და უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დამკვიდრება. ყოველდღიურ რეჟიმში ოთხასამდე პროკურორი ახორციელებს საპროკურორო საქმიანობას, ზედამხედველობს გამოძიებას და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულება საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებაა.

განსაკუთრებულად პრიორიტეტულია ისეთ დანაშაულებთან ბრძოლა, როგორცაა, ფულის გათეთრება, კორუფციული დანაშაული, კიბერდანაშაული, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, სქესობრივი დანაშაული, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული და სხვა. პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

გარდა ამისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროკურატურის, როგორც უწყების, ინსტიტუციური და ორგანიზაციული გაძლიერება. აღნიშნული მიზნით ჩვენ ვაუმჯობესებთ თანამშრომელთა აყვანისა და როტაციის წესებს, ვზრუნავთ თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე, გენდერული მენისტრიმინგის გაძლიერებაზე, მწვანე ოფისის კონცეფციის დანერგვაზე.

დაბოლოს, რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებასთან სწორი და ეფექტიანი კომუნიკაცია, პროკურატურის გამჭვირვალობისა და ანგარიშვადებულების უზრუნველყოფა, რათა საზოგადოებამ მიიღოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია როგორც პროკურატურაში მიმდინარე სიახლეების, ასევე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების ირგვლივ, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებაში პროკურატურის მიმართ ნდობის ამაღლებას განაპირობებს.



ხომ არ გააცნობდით მკითხველს, თუ რა მიგაჩნიათ პრიორიტეტებად პროკურატურის საერთაშორისო თანამშრომლობის მხრივ?

ჩვენთვის საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით სისხლის სამართლის სფეროში პრიორიტეტული მიმართულებებია: ექსტრადიციისა და სამართლებრივი დახმარების სფეროში საერთაშორისო სახელშეკრულებო ბაზის გაფართოება, საერთაშორისო ონლაინმომსახურების მიმწოდებელ კომპანიებთან თანამშრომლობის გაფართოება, სამართლებრივი დახმარების, ექსტრადიციისა და დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და დაბრუნების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

დღეის მდგომარეობით, ექსტრადიციისა და სამართლებრივი დახმარების სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ძირითადად ევროპულ სახელმწიფოებთან აქვს. საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტია ევროპის კონტინენტს მიღმა გაფართოვდეს იმ სახელმწიფოების ჩამონათვალი, რომლებთანაც საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები ექნება. ამ მიზნით უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები რამდენიმე ჩრდილო ამერიკულ, სამხრეთ ამერიკულ და აზიურ ქვეყანასთან.

აუცილებლად აღსანიშნავია რომ, 2016 წლიდან საქართველოს პროკურატურა ონლაინ სერვის პროვაიდერებისგან პირდაპირ იღებს ელექტრონულ მონაცემებს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში. პირველი უცხოური კომპანია, რომელმაც საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობა დაიწყო, იყო Facebook, შემდეგ კი WhatsApp, Instagram, Apple, Western Union და MoneyGram. 2021 წლიდან კი საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობა ხუთმა ახალმა კომპანიამ დაიწყო: Paypal, Viber, ByteDance (TikTok), Binance და CEX.IO. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 90%-მდე იყო, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდისთვის საშუალო გლობალური მაჩვენებელი 72% იყო.

ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რათა გაფართოვდეს იმ ონლაინმომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც სრულად თანამშრომლობენ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან.

საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების (ექსტრადიცია, სამართლებრივი დახმარება და დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და დაბრუნების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობა) ეფექტიანობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე დოკუმენტების ელექტრონული მიმოცვლის დანერგვის, პროცესების სტანდარტიზაციის, ოპტიმიზაციის, ავტომატიზაციის, მონიტორინგის გაუმჯობესებისა და თანამშრომლების სწავლების გზით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესია ის, რომ, მაგალითად, ბოლო წლებში სასამართლოებში ექსტრადიციის საქმისწარმოების ეფექტიანობა სტაბილურად იზრდებოდა და, მაგალი-

თად, 2021 წელს სულ ოთხმოცდაორი ექსტრადიცია იქნა დასაშვებად ცნობილი, რაც ეფექტიანობის 32.2%-იანი ზრდა იყო 2020 წელთან (62 საქმე) შედარებით და 30.2% ზრდა 2019 წელთან (63 საქმე) შედარებით.

აუცილებლად არის აღსანიშნავი, რომ ჩვენ, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან (GRECO, MONEYVAL, CEPEJ, CCPE, PC-OC, CDPC და ა.შ.), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ანტიკორუფციულ ქსელთან (OECD ACN) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ურთიერთობა.

თანამშრომლობა მათ შორის ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა, კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა, პროკურატურის ინსტიტუციური გაძლიერება და მისი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა.

საქართველოს პროკურატურა 2015 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციასთან და სწორედ ამ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა საქართველოში პირველად ჩატარებული იყო IAP -ის კონფერენცია.

2017 წლის 26-28 ივნისს საქართველოს პროკურატურამ უმახიანდლა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მე-8 რეგიონულ კონფერენციას თემაზე „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნება და კიბერდანაშაული“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის დირექტორატმა, წარმომადგენლებმა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 25 ქვეყნის პროკურატურის ხელმძღვანელმა პირებმა. კონფერენციაზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნებისა და კიბერდანაშაულის თემებზე პრეზენტაციები წარმოადგინეს ევროპელმა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ექსპერტებმა.

2018 წლიდან საქართველოს პროკურატურას წარმომადგენელი ჰყავს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტში, რაც ადასტურებს საქართველოს პროკურატურის მჭიდრო თანამშრომლობას ასოციაციასთან და მზაობას სისტემაში საერთაშორისო გამოცდილების აქტიურად დანერგვისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს, სხვა ქვეყნებთან მაღალი კონკურენციის მიუხედავად, საქართველოს პროკურატურამ საქართველოს სახელით მოიპოვა უფლება და IAP-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა გასცა თანხმობა, რათა 2021 წლის სექტემბერში პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის 26-ე ყოველწლიური კონფერენცია და გენერალური შეხვედრა საქართველოში ჩატარებული-



ყო, თუმცა კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო აღნიშნული კონფერენციის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2022 წლის სექტემბერი.

ეს იქნება პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (IAP) გლობალური კონფერენცია, კონფერენციაზე განხილული იქნება ოთხი მთავარი მიმართულების საკითხები: COVID-ით გამოწვეული მართლმსაჯულების სირთულეები და ამ გამოწვევების დასაძლევად შექმნილი ტექნოლოგიური ინოვაციები, კიბერდანაშაულების ტიპოლოგიების ევოლუცია, საზღვრებს მიღმა არსებულ ელექტრონულ მტკიცებულებებზე წვდომა და ფულის გათეთრება ვირტუალური აქტივების საშუალებით.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს 180-მდე ქვეყნისა და ტერიტორიის პროკურატურის ორგანოების წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე დაესწრება მრავალი ქვეყნის გენერალური პროკურორი და პროკურატურის სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით საქართველოს პროკურატურისთვის განსაკუთრებულად გამორჩეულია EUROJUST-თან თანამშრომლობა. 2019 წლის 29 მარტს ჰააგაში ხელი მოეწერა საქართველოსა და EUROJUST-ს შორის თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიეცა შესაძლებლობა EUROJUST-ში საქართველოს წარმომადგენლად მუკავშირე პროკურორი ყოფილიყო.

შეთანხმების გაფორმებაზე გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა EUROJUST-სა და ევროკავშირის ორგანოებთან ინტენსიური მოლაპარაკებები, რომელიც 2016 წლიდან დაიწყო. 2017 წელს EUROJUST-მა სიღრმისეულად შეისწავლა საქართველოს სამართალდაცვით და მართლმსაჯულების სფეროში პერსონალური მონაცემების დაცულობის თავსებადობა ევროკავშირის რეგულაციებთან. დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გადაწყდა მხოლოდ საქართველოსთან შეთანხმების გაფორმების საკითხი. შეფასების პროცესში მონაწილე ერთ-ერთი მთავარი უწყება სწორედ საქართველოს პროკურატურა იყო.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელთანაც EUROJUST-მა თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. EUROJUST-თან შეთანხმებით საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ უფრო სწრაფად და ეფექტიანად ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის გამომძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში.

შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, სამი წლის ვადით დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურატურის მუკავშირე პროკურორი EUROJUST-ში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მუკავშირე პროკურორმა დიდი ძალისხმევა გასწია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტი-



ანად წარმართვის კუთხით. შედეგად, საქართველოს საგამოძიებო უწყებების წარმოებაში არსებულ არაერთ მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეზე მეკავშირე პროკურორის ჩართულობით, უზრუნველყოფილ იქნა უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებიდან საჭირო მტკიცებულებების სწრაფად და ეფექტიანად მოპოვება.

როგორია პროკურატურაში დანერგილი ციფრული სისტემის თავისებურება და ნაყოფიერება? რამდენად პასუხობს იგი სწრაფად მზარდ თანამდეროვე მთხოვნებს?

საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ და საინტერესო გამოწვევას ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს, რომელიც, მოცემული ეტაპისთვის, 4 ძირითადი მიმართულების ავტომატიზაციას მოიაზრებს.

საქართველოს პროკურატურაში ფუნქციონირებს ციფრული პროდუქტი – ანალიტიკური პორტალი, რომელზე წვდომაც პროკურატურის თანამშრომლებს ლოკალური ქსელის საშუალებით შეუძლიათ და რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას თანამშრომელთა დატვირთვის მონიტორინგის ავტომატიზაცია წარმოადგენს. აღნიშნული მექანიზმი ზედმიწევნითი სიზუსტით აღრიცხავს პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის მიერ თითოეული სამართლებრივი დოკუმენტის ხელმოწერას, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად ახდენს თანამშრომელთა კატეგორიზაციას ნაკლებად, საშუალოდ და ძალიან დატვირთულ თანამშრომლებად. ანალიტიკური პორტალი განსაზღვრავს პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დატვირთვის საშუალო ნიშნულს მომხმარებლისთვის საინტერესო საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში და ახდენს სტრუქტურულ დანაყოფებს შორის საშტატო ერთეულების ოპტიმალური გადანაწილების მოდელირებას.

2021 წელს საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის და ანალიტიკურმა სამმართველომ ევროკავშირის პროექტის მიერ დაქირავებული ექსპერტის ჩართულობით დაიწყო სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ბაზაზე Business intelligence გარემოს დანერგვისთვის ნიადაგის მომზადება, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული რეფორმის ნაწილია.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მონაცემთა ბაზაზე BI ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელი გახდება დიდი მოცულობის სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემების დამუშავება, ანალიზი და მოკლე დროში ვიზუალიზაცია.

2021 წელს მომზადდა არაერთი პროტოტიპი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით გვაძლევს მონაცემების ცხადად დანახვის და სისხლის სამართლებრივი



პოლიტიკის შემუშავებაში მისი გამოყენების საშუალებას. ხსენებული მოდელირებული მაკეტები (პროტოტიპები) აქტიურად გამოიყენებენ ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილ სისტემებს, როგორც არის ექსტრაპოლაციის მოდელი და key influencers ფუნქციონალები. შემუშავებული მოდელები რეალურ მონაცემთა სიმრავლეს ბიზნესანალიზისთვის ღირებულ ინფორმაციად გარდაქმნის. სამომავლოდ იგეგმება აღნიშნული პროტოტიპების მეშვეობით BI (business intelligence) ფუნქციონალური შესაძლებლობების ინტეგრაცია სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მონაცემთა ბაზაში.

2022 წელს დაინერგება პროკურატურის საჭიროებებზე და სპეციფიკაზე მორგებული ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამა. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის (HR პროგრამა) შექმნის მიზანია საქართველოს პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზირება, ციფრულ ფორმატში და, შესაბამისად, თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანა.

პროკურატურის საჭიროებებზე მორგებული HR პროგრამის დანერგვა გააუმჯობესებს საკადრო პროცედურების სტანდარტიზაციას და შესაბამისი ოპერაციების მართვას, მონაცემების და ინფორმაციის აღრიცხვას, სისტემატიზაციას, შენახვას, მოძიებას, სორტირებასა და დოკუმენტირებას და შესაბამისად გაუმჯობესდება ანალიზისა და ანგარიშგების საშუალებები, რითაც უკეთ მოხდება საქართველოს პროკურატურის ადამიანური რესურსების ფოკუსირება სტრატეგიულ ინიციატივებზე.

ამავე პორტალზე შესაძლებელი იქნება შეიქმნას ინოვაციური პროდუქტი – პროკურატურის თითოეული თანამშრომლის შედეგების ამსახველი ციფრული პორტფოლიოს სახით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემის დახვეწისა და ფუნქციონალური გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება დამატებითი გარე სერვისების ინტეგრაცია საერთო სასამართლოების პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რაც პროკურორებს საშუალებას მისცემს სასამართლოში წარსადგენი ნებისმიერი დოკუმენტაცია ციფრული სახით გადააგზავნონ და ასევე ელექტრონულად მიიღონ სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სისხლის სამართალწარმოების პროცესის მაქსიმალური გაციფროვნების მიზნით, ასევე დაგეგმილია სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნა, რომლის საშუალებითაც მოხდება პირველ ეტაპზე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან, ხოლო შემდეგ სრულიად საადვოკატო კორპუსთან მტკიცებულებების ელექტრონულად გაცვლა. საქართველოს პროკურატურის მიერ ციფრული ტრანსფორმაციის კურსის ფარგლებში ასევე იგეგმება ისეთი ელექტრონული პლატფორმების შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მაქსიმალურად ყველა სუბიექტის ინტეგრაციას ციფრულ გარემოში.

ასევე ვმუშაობთ პროკურატურის მობილური აპლიკაციის შექმნაზე, რომელიც მომხმარებელს მისცემს პროკურატურის სერვისებსა და სხვადასხვა ინფორმაციაზე ონლაინწვდომის საშუალებას მობილური ტელეფონით, რაც გაამარტივებს კომუნიკაციას მოქალაქეებთან და იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი პროკურატურის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში.

დაბოლოს, რა მიზანიათ თქვენ წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს გამოწვევებად და რას გეგმავს პროკურატურა ამის შესაბამისად სამომავლოდ?

2022 წლის დასაწყისში მიღებული იქნა საქართველოს პროკურატურის განვითარების 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ჩვენი მიზანია, რომ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა პასუხობდეს, ერთი მხრივ, პროკურატურის წინაშე არსებულ ახალ გამოწვევებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების თანამედროვე სტანდარტებს. პროკურატურის ახალ სტრატეგიაში წარმოდგენილია უწყების განვითარების ხედვა, პრიორიტეტული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. სტრატეგიის შემუშავებაში, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო პროკურატურის თითქმის ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა.

ახალი სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება, დაზარალებულზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მოქნილობის და ეფექტიანობის ზრდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება. პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება კორუფციული დანაშაულის, კიბერდანაშაულის, ფულის გათეთრების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე, არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა. ასევე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს გენდერული პოლიტიკის გაძლიერება.

შესაბამისად, ჩვენ მივეყვებით ჩვენი სტრატეგიით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება და ამ მიზნით ვგეგმავთ სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას, როგორცაა:

- სახელმძღვანელო მითითება „დისკრეციული უფლებამოსილებისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის გამოყენების თაობაზე;
- განახლდება სახელმძღვანელო მითითება „ალკვეთის ღონისძიების და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ“;



➤ განახლდება სახელმძღვანელო მითითება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ და 126¹ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“.

ჩვენი უწყებისთვის პრიორიტეტულია დაზარალებულებთან სწორი და უშუალო კომუნიკაცია, ამიტომ ვგეგმავთ საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს შექმნას.

საბჭო უფლებამოსილი იქნება განიხილოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ძალადობრივი დანაშაულების დაზარალებულთა საჩივრები. საბჭოს ეყოლება თავმჯდომარე, რომელსაც აირჩევს საბჭო თავისი წევრებიდან. საჩივრების განხილვის შედეგად საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც ექნება სარეკომენდაციო ხასიათი ექნება.

საზოგადოების ნდობის ამაღლება პროკურატურის მუშაობის მაქსიმალური დიპლომატიით და ანგარიშგაღებულებით არის შესაძლებელი. ამიტომ მნიშვნელოვანია განმცხადებლებს და პროკურორებს შორის უშუალო და ეფექტიანი კომუნიკაციის წარმართვა. სწორედ ამიტომ საქართველოს პროკურატურაში 2016 წელს, მოქალაქეებთან პირისპირ კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად დაინერგა მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა, თუმცა საზოგადოებასთან უშუალო კომუნიკაციის გაღრმავების და მეტი ეფექტიანობის მიზნით, მიზანშეწონილია მოქალაქეებთან ურთიერთობის მექანიზმის გაუმჯობესება. შესაბამისად 2022 წელს იგეგმება არსებული ელექტრონული პროგრამის დახვეწა, მოდიფიცირება და პროკურორების /მენეჯერების მოქალაქეებთან შეხვედრების უკეთ უზრუნველყოფა.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაცია უწყების საქმიანობის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ აუცილებელია თანამშრომელთა საჭიროებების და მოთხოვნილებების სწორად იდენტიფიცირება და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია მათი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, სამსახურებრივი საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პირობებით აღჭურვა. სწორედ ამ მიზნით საქართველოს პროკურატურაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

გენერალური პროკურატურის შენობაში, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, გაიხსნა საქართველოს პროკურატურის ნივთიერი მტკიცებულებების საცავი, რომლის ანალოგი არც ტექნოლოგიური და არც ფუნქციური თვალსაზრისით საქართველოში არ არსებობს. სრული სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სიღნაღის, სენაკის და საჩხერის რაიონული პროკურატურების ადმინისტრაციულ შენობებში, სადაც

პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ მოწყობილი და განახლებული სამუშაო სივრცე. ოფისში ასევე მოეწყო სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი არასრულწლოვნებზე მორგებული გამოკითხვის ოთახი და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო.

2021 წელს განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის რამდენიმე სართულის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აღნიშნულ სართულებზე განთავსებულია სხვადასხვა დეპარტამენტები, შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებისთვის შევქმენით თანამედროვედ მოწყობილი, განახლებული და სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები.

ვგეგმავთ თბილისში თბილისის რაიონული პროკურატურებისთვის თანამედროვე სტანდარტების ახალი შენობის მშენებლობის დაწყებას. ახალ შენობაში განთავსდება თბილისის, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორის, ძველი თბილისის და გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურები. პროკურატურის ახალ შენობაში ასევე განთავსდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროკურატურის სასწავლო ცენტრი.

2022 წელს ვგეგმავთ, რომ გავაგრძელოთ საქართველოს პროკურატურის ოფისების განახლება და თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია სოციალური გარანტიები და, პირველ რიგში, შრომის ანაზღაურება. 2018-2022 წლებში პროკურორებზე გამოძიებლებზე და სხვა თანამშრომლებზე მოხდა თანამდებრობრივი სარგოს ზრდა 50-80 %-ით. ხელფასის ზრდის მიზანი არის პროკურატურის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და სოციალური გარანტიების ევროკავშირის წევრი ქვეყნების პროკურორების ანაზღაურებასთან დაახლოება და მოსამართლეთა სოციალურ გარანტიებთან გათანაბრება.



INTERVIEW WITH THE PROSECUTOR GENERAL OF GEORGIA MR. IRAKLI SHOTADZE

Tell us about the institutional reform of the Prosecutor’s Office of Georgia in 2013-2020

Many important reforms were implemented in 2013-2020 for the purpose of institutional development and to increase the independence, transparency and effectiveness of the Prosecutor’s Office of Georgia. The reforms were based on recommendations from the Venice Commission, the Council of Europe’s Group of States against Corruption (GRECO), and the Anti-Corruption Network of the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD ACN).

The institutional reform of the Prosecutor’s Office of Georgia was implemented in three main stages in 2013, 2015 and 2018.

Before 2013, the Prosecutor’s Office of Georgia was a state subordinate agency operating within the system of the Ministry of Justice of Georgia, which was headed by the Minister of Justice of Georgia, who could exercise prosecutorial powers. The Chief Prosecutor was appointed, and could be dismissed, by the President of Georgia; and then by the Prime Minister of Georgia, upon the recommendation of the Minister of Justice of Georgia. In 2013, the first and very important stage of the reform of the Prosecutor’s Office was implemented, as a result of which the Minister of Justice, as a political official, was completely deprived of prosecutorial powers.

Within the framework of the second stage of the reform of the Prosecutor’s Office implemented in 2015, an independent collegiate body, the Prosecutorial Council, was established in order to ensure the independence and transparency of the Prosecutor’s Office and the efficient performance of its functions. The main function of the Prosecutorial Council was to select candidates for the Chief Prosecutor. The Conference of Prosecutors of Georgia was also established, which is a meeting of prosecutors and the investigators of the Prosecutor’s Office, and which has the authority to elect member prosecutors of the Prosecutorial Council.

At the second stage of the reform of the Prosecutor’s Office, the establishment of a new procedure for the appointment and dismissal of the Chief Prosecutor of Georgia was especially noteworthy. Under the legislation it was established that not later than 6 months before the expiration of the term of office of the Chief Prosecutor, the Minister of Justice would start one-month consultations with the academic community, members of civil society, and specialists in the field of law, for the selection of candidates for the Chief Prosecutor. As a result of such consultations, the Minister of Justice would select and submit to the Prosecutorial Council for approval not fewer than three candidates for the position of the

Chief Prosecutor, at least one third of whom would be a representative(s) of a different gender. Candidates would be put to a vote at the meeting of the Prosecutorial Council separately, by secret ballot. The candidate who received more votes, but not less than two-thirds of the total number of the members of the Prosecutorial Council, would be deemed elected. The candidate for the Chief Prosecutor, elected by the Prosecutorial Council, would be immediately nominated by the Minister of Justice to the Government of Georgia. The Government of Georgia would approve and/or reject the candidate for the Chief Prosecutor within two weeks. If the Government of Georgia approved the candidate nominated by the Minister of Justice, the candidate would be immediately nominated to the Parliament of Georgia, which would elect the Chief Prosecutor for a term of 6 years, by secret ballot, and by a majority of the total number of its members, as provided for by the Rules of Procedure of the Parliament.

- ✓ The last stage of the institutional independence and reform of the Prosecutor's Office was in 2018, when the institutional independence of the Prosecutor's Office was determined by the Constitution of Georgia, as it was separated from the Ministry of Justice and formed into an independent state institution. The right of the Minister of Justice to be the chairperson and a member of the Prosecutorial Council was annulled, and executive authority was removed from the process of the selection of the Prosecutor General, who was a former Chief Prosecutor. The stability of the position of the Prosecutor General was strengthened, as his/her early dismissal became possible only through impeachment by the Parliament. In addition, the procedures related to the appointment and promotion of the employees of the Prosecutor's Office and disciplinary proceedings were improved. In order to support the activities of the Prosecutor's Office, the following standing advisory bodies of the Prosecutor General were established: the Career Management, Ethics and Incentives Council;
- ✓ the Strategic Development and Criminal Policy Council;
- ✓ the Ranking Council.

It is notable that, according to the procedure established by law, eight members of the Prosecutorial Council, elected by the Conference of Prosecutors of Georgia, are in the composition of all three advisory bodies and, moreover, they represent the majority of persons authorised to adopt decisions. The above regulation increased the role of persons elected by the Conference of Prosecutors of Georgia in the process of adopting decisions on matters related to the operation of the Prosecutor's Office. It should be noted that, during the entire period of the existence of the said advisory bodies, all their recommendations have been taken into consideration by the Prosecutor General.

An important fact in the process of the said reform is that the Prosecutorial Council has been formed into a constitutional body. The Prosecutorial Council consists of fifteen members, eight of whom are elected by the Conference of Prosecutors of Georgia, two of whom are elected by the High Council of Justice of Georgia from among the judges of the common courts of Georgia, two of whom are elected by the Parliament of Georgia from among the members of the parliamentary majority and the parliamentary minority, two of whom are elected by the Parliament of Georgia from among representatives from the legal community



and academia, and one of whom is elected by the Parliament of Georgia from among the candidates nominated by the Minister of Justice of Georgia.

It is particularly noteworthy that the chairperson of the Prosecutorial Council is elected by the Prosecutorial Council from among its members for a term of two years. The Prosecutorial Council is authorised as follows: to select and approve a candidate for the Prosecutor General; to carry out disciplinary proceedings against the first deputy and deputies to the Prosecutor General; to decide on issues of the imposition on and/or early removal of disciplinary sanctions from member prosecutors of the Prosecutorial Council once every 6 months, or immediately, by a decision of a majority of members of the Prosecutorial Council; to hear a report of the Prosecutor General on the activities of the Prosecutor's Office, and to prepare recommendations on the issues covered by the report and to submit them to the Prosecutor General; to submit to the Prosecutor General recommendations concerning the establishment of criminal policy guidelines, depending on the criminal policy. These powers facilitate the formation and development of uniform practice in the activities of the Prosecutor's Office.

What specific challenges were presented by the Novel Coronavirus (COVID-19) to the Prosecutor's Office and how did the system deal with those challenges?

In 2020, due to the COVID-19 pandemic, the Prosecutor's Office of Georgia, like the entire justice system, faced completely new and unknown challenges, in particular, on the one hand, we had to prevent the spread of the virus among employees in the system, and on the other hand, to continue effective prosecutorial activities and the fight against crime.

In order to prevent the risks of the spread of COVID-19, and to ensure the smooth administration of justice, as well as the protection of the health of the parties involved in that process, the preparatory works necessary for remote legal proceedings were promptly carried out at the Prosecutor's Office of Georgia. In particular, all prosecutor's offices were equipped with appropriate hardware and software, which enabled prosecutors to support public prosecution from prosecutors' offices. Since March 2020, prosecutors have participated in thousands of remote court proceedings. We have also implemented a mechanism for monitoring remote court hearings, and we can assure the public that the processes were carried out efficiently, within the time limits determined by law, and strictly protecting parties' rights.

In order to prevent the spread of COVID-19 in the country, the Prosecutor's Office of Georgia allowed phone calls for accused persons being held at penitentiary institutions, whose right to telephone communication had been restricted by virtue of their prosecution. This was necessary because of the increased concern of accused persons' families about their health status.

In order to prevent the spread of COVID-19, in March of 2020, the Prosecutor's Office of Georgia started receiving applications/claims via e-mail. The e-mail address was made public on the official website of the Prosecutor's Office, and citizens of Georgia were able

to send their applications/claims via e-mail, which significantly reduced the mobility of citizens in prosecutors' offices. Boxes for receiving applications/claims were placed in the reception area of the Prosecutor's Office of Georgia, and in the entrances of all regional prosecutors' offices. Thousands of applications/claims were submitted to the Prosecutor's Office of Georgia in that way, which were distributed to the addressees smoothly and were responded to within the time limits established by law.

It should be noted that during this period the process of raising the qualifications of the employees of the Prosecutor's Office was not hindered either, and tens of training activities were carried out remotely.

In the conditions of the COVID-19 pandemic, the activities envisaged by the strategy and action plan of the Prosecutor's Office were mostly carried out remotely.

Despite the global challenges associated with the COVID-19 pandemic, 2020-2021 were years of significant success for the Prosecutor's Office of Georgia, and it can be said that we are gradually approaching the goals set in the strategy and action plan.

In which priority directions does the Prosecutor's Office of Georgia currently carry out its activities?

The Prosecutor's Office should be developing continuously and systematically in order to respond to challenges that arise over time. The Prosecutor's Office must always be ready to strengthen the rule of law and ensure the establishment of the principles of a legal state through the objective and impartial performance of the functions assigned to its highly qualified and motivated employees under law, and through their work based on professionalism. About four hundred prosecutors carry out prosecutorial activities, supervise investigations, and support public prosecutions in court on a daily basis. Therefore, the first priority for us is to raise the quality of prosecutorial activities.

Our main priority is to fight against such crimes as money laundering, corruption, cybercrime, crimes against human life and health, violence against women and domestic violence, sex crimes, crimes motivated by intolerance, etc. Strengthening international cooperation is also a priority.

In addition, the institutional and organisational enhancement of the Prosecutor's Office, as an institution, is important to us. For that purpose, we are improving procedures for the hiring and rotation of employees, and striving for their professional development, the enhancement of gender mainstreaming, and the introduction of a 'green office' concept.

And lastly, accurate and effective communication with the public, ensuring transparency and accountability in the Prosecutor's Office, so that the public is provided with timely and comprehensive information about both innovative developments and specific criminal cases at the Prosecutor's Office, are of utmost importance, which ultimately lead to raising public confidence in the Prosecutor's Office.



Would you share with our readers what you consider to be the priorities for the Prosecutor's Office in terms of international cooperation?

For us, the priorities in terms of international cooperation in the area of criminal law are as follows: the expansion of the international contractual framework in the area of extradition and legal assistance; more cooperation with international online service providers; and the enhanced efficiency of the process of international cooperation regarding issues of legal assistance, extradition, and search and return in respect of criminally obtained property.

As of today, Georgia has signed international agreements in the area of extradition and legal assistance mainly with European countries. Another priority for the Prosecutor's Office of Georgia is to expand beyond the continent of Europe the list of countries with which Georgia would sign respective international agreements. For that purpose, negotiations are already in progress with a number of countries in North America, South America, and Asia.

It should be noted that since 2016, the Prosecutor's Office of Georgia has been receiving electronic data directly from online service providers within the framework of criminal proceedings. The first overseas company that started cooperation with the Prosecutor's Office of Georgia was Facebook, which was followed by WhatsApp, Instagram, Apple, Western Union and MoneyGram. Since 2021, five more companies have started cooperation with the Prosecutor's Office of Georgia, namely: Paypal, Viber, ByteDance (TikTok), Binance and CEX.IO. It should also be noted that, in 2020, the index of meeting requirements by the Prosecutor's Office of Georgia was up to 90%, while the average global index for the same period was 72%.

We are actively working to expand the list of online service providers that fully cooperate with the law enforcement bodies of Georgia.

Another important priority for the Prosecutor's Office of Georgia is to increase the efficiency of traditional forms of cooperation (extradition, legal assistance, and international cooperation on issues of search and return in respect of criminally obtained property) by means of the introduction of electronic exchange of documents at the international level, enhancing the standardisation, optimisation, automation, and monitoring of processes, and the training of employees. Important progress has been achieved in the efficiency of extradition proceedings in courts, which has been steadily increasing in recent years: for example in 2021, a total of eighty-two extraditions were declared admissible, which was a 32.2 % increase in efficiency compared to 2020 (62 cases), and a 30.2 % increase compared to 2019 (63 cases).

It should be noted that, within the scope of our authority, we are actively cooperating with international organisations. In this regard, our relations with the European Union, the Council of Europe (GRECO, MONEYVAL, CEPEJ, CCPE, PC-OC, CDPC, etc.), the Anti-Corruption Network of the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD ACN), and the United Nations, are particularly noteworthy.

Cooperation concerns important matters such as, inter alia: the fight against corruption, money laundering and terrorist financing, the institutional strengthening of the Prosecutor's Office, and an increase in the efficiency of its activities.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გადავიხაროთ იქითკენ, რომ მართლმსაჯულება მოკლედ განვსაზღვროთ როგორც „პიროვნების შეფასება“ ან „პიროვნებასთან მოპყრობა“, რაც შეესაბამება ფართოდ გავრცელებულ თანამედროვე შეხედულებას. ამგვარად, ბოლო ათწლეულებში პიროვნების ფსიქოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევის გაღრმავების შემდეგ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მოითხოვება, რომ ცალკეული სამართალდარღვევის მიღმა უფრო მეტად იქნეს გათვალისწინებული დამნაშავეს პიროვნება, ვიდრე მანამდე და ისე იქნეს გამოტანილი განაჩენი; ისჯება არა დანაშაული, არამედ დამნაშავე; სწორად იქნა აღიარებული, რომ ცალკეული ქმედება უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ პიროვნების პროდუქტი და რომ ერთსა და იმავე ქმედებას, მაგალითად, წვრილმან ქურდობას, სრულიად სხვა წონა აქვს იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაიდინა მანამდე უდანაშაულო შემთხვევითმა დამნაშავემ, ვიდრე მაშინ, როცა ის ჩადენილია მრავალგზის ნასამართლევი რეციდივისტის მიერ. შესაბამისად, სამართლიანობა მოითხოვს განსხვავებულ სასჯელს ერთი და იმავე ქმედებისთვის, გამომდინარე ადამიანთა განსხვავებულობიდან. თუმცა, ძირითადად, სამართლიანობის მოთხოვნების შესაბამისად, ყოველთვის ფასდება მხოლოდ დანაშაული, რომელიც მხოლოდ ვლინდება სიმძიმის სხვადასხვა ხარისხით ჩამდენის პიროვნული ღირებულების შესაბამისად; წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა დამნაშავე ახალ დანაშაულს ჩაიდენდა, ისევე და ისევე ერთი და იგივე პიროვნების დასჯა მოგვიწევდა. წვრილმანი გადაცდომების, შეურაცხყოფების, ბარში ჩხუბისა და ა.შ. შემეტეს შემთხვევებში ძალიან შორს წავიყვანდა ყოველ ჯერზე პიროვნების კვლევა, რასაც შესაძლოა აქცენტი გადაეტანა უფრო მეტად დასჯად გადაცდომებზე, ხასიათის მანამდე უცნობი დეფექტების შემთხვევაში. ამიტომ პიროვნების კვლევას, რაც თავის თავად სასურველია, აქვს საზღვრები. ანალიზი მხოლოდ იმდენად უნდა გაფართოვდეს, რამდენადაც ამას შესაბამისი კონკრეტული ამოცანა მოითხოვს სამართლიანი განაჩენის გამოსატანად. აქ კი ვხედავთ, რამდენად არასწორია მეცნიერების (ფსიქოლოგიის) ერთ დარგში მიღებული ცოდნის პირდაპირ გადატანა მეორეში. სამართლიანობის სტანდარტი უცვლელი რჩება: პიროვნების კვლევა შესრულების მიხედვით (პროდუქტიულობა) კონკრეტული ამოცანის ფარგლებში.

მეორე მხრივ, აქცენტი პიროვნებაზე აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასწორი განსჯა, რომელიც კოლექტივიზმის ეპოქამ მოიტანა და რომელმაც მორალისა და სამართლებრივი დოქტრინის პიროვნებისკენ მიმართულ სფეროებზეც გავრცელდა: შეიქმნა კოლექტიური დანაშაულის ცნება და მიჩნეული იქნა, რომ სხვა, პირადად უდანაშაულო ადამიანებიც უნდა დასჯილიყვნენ ცალკეული პირების დანაშაულისთვის. ამგვარად, მთელი თემა უნდა დასჯილიყო თავისი ღირებულების დანაშაულის გამო, მთელი ერი – დიქტატორის



ბოროტმოქმედებები გამო, ომის უდანაშაულო ტყვეები – ომის სისასტიკეების გამო. ორ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანელი ხალხი სამართლიანად ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი უცხო დანაშაულის აღიარებას, მათ შორის, ომის დაწყებისა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში საფუძვლიანად გადაიხედა მძევლების არსი.

საფუძვლიანი შემოფოთება შეიძლება გამოიხატოს სამართლიანობის პიროვნებასთან კავშირის მიმართ. ქალღმერთ იუსტიციას უსაფუძვლოდ არა აქვს თვალეზი ახვეული: მან თავისი გადაწყვეტილება მკაცრად ობიექტურად უნდა მიიღოს, პიროვნების ღირსების მიღმა. თუმცა, ეს ხელს არ უშლის, პირიქით, მოითხოვს საქმის განხილვას ინდივიდუალური ხასიათისა და, უპირველეს ყოვლისა, პირადი ურთიერთობების გათვალისწინებით; ასეთი „ობიექტური“ დამოკიდებულება იძლევა სამართლიანობისთვის საჭირო განზოგადების საშუალებას, ხოლო ეს ასევე მოიცავს პიროვნების მიმართ ემპათიას. *პიროვნული განხილული უნდა იქნეს მხოლოდ ობიექტურის ფარგლებში.* უნდა გამოირიცხოს მხოლოდ სუბიექტური ინტერესები, წმინდად პიროვნული განწყობები და მოტივები; მკაცრად დაუშვებელია ერთი პირის, პირთა ჯგუფის ან პარტიის, ან კლასის მეორესთან უპირატესობაში დაყენება, ან შესაფასებელი პირის რაიმე განსაკუთრებული მდგომარეობის და მისგან გამომდინარე შედეგების, მოსალოდნელი სარგებლის ან ნაკლოვანების გათვალისწინება. ეს მკაცრი ობიექტურობა და ობიექტივიზმი შეადგენს „მორალურ ხერხემალს“, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის თანდაყოლილი, არამედ მიიღება ვარჯიშით, გამოცდილებითა და თვითდისციპლინით, რათა „მოსამართლის“, როგორც „სამართლიანობის მცველის“ ღირსეული წოდება ნამდვილად დამსახურებული იქნეს. მოსამართლის ახალგაზრდა დამხმარისთვის ყოველთვის ადვილი არ არის განხილვების დროს თავმჯდომარე მოსამართლის წინააღმდეგ მისცეს ხმა, რომელიც მასზე მოგვიანებით სიმწიფისა და იურიდიული გამოცდილების მოწმობას გასცემს და ამით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მის დასაქმებასა და დაწინაურებაზე; თუმცა, ჭეშმარიტი ზემდგომი მოსამართლეები ხელავენ და უარყოფენ მლიქვნელობასა და თვალთმაქცობას და გაცილებით მეტად თავად წმინდად „ობიექტურად“ განსჯიან, მაგრამ მათ ყოველთვის არ გააჩნიათ აუცილებელი თვითკრიტიკული დისტანცია თავიანთ საკუთარ, კარგად დასაბუთებულ პირად შეხედულებებთან და ღრმად გაუღენთილი არიან საკუთარი განსჯის სამართლიანობით, რომელსაც, როგორც ახლა ხელავენ, ეჭვქვეშ აყენებს სავარაუდოდ გამოუცდელი ახალბედა. თუ ამასთან ერთად ის არანაირ მითითებას არ ექვემდებარება, აშკარაა მისი ჯიუტად და უწვრთნელად გამოცხადება, რაც აჭიანურებს განხილვას, ახანგრძლივებს შეხვედრას განმეორების შემთხვევაში და შეუძლია ყველა საქმის ჩაშლა. მოსამართლისთვის ასეთი არც თუ ისე იშვიათი შემთხვევები აჩვენებს, თუ რას ნიშნავს მოთხოვნა „მკაცრი ობიექტივიზმი პიროვნების ღირსების გათვალისწინების გარეშე.“ როცა რადბრუხი აღნიშნავს, რომ რაიხის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის დროს (1923) შენიშნა, რომ სიტყვას „ობიექტივიზმი“ სამინისტროს მოხელეები იმდენად ხშირად იყენებდნენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ

სასიხარულოა, რომ ისინი ამ უმაღლეს პრინციპს იყენებდნენ და ამით აშკარად სურდათ პარტიული მოსაზრებების გამორიცხვა. დაე, არა მხოლოდ ყოველმა მოსამართლემ განსაჯოს და იმოქმედოს „ობიექტურად“, რაც, საბედნიეროდ ისედაც თავისთავად ცხადია, არამედ ყოველმა ადამიანმა; თითოეული უნდა იდგეს სამართლიანობის სადარაჯოზე, თუნდაც არ იყოს სახელმწიფოს მიერ „დანიშნული“ სამართლიანობის მცველი. „მოწოდება“ თითოეული ადამიანის მიმართაა.

პიროვნული, მხოლოდ პიროვნული უნდა დაექვემდებაროს ობიექტურობას. მხოლოდ მაშინ გახდება პირი პიროვნება (ანტითეზა, რომელსაც კანტმა ხაზი გაუსვა ცნობილ დასკვნაში „პრაქტიკული გონების კრიტიკა“!) სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გავიგოთ ჰეგელის მოთხოვნა: „გახდი ადამიანი“. და ანალოგიურად, გოეთეს ასე ჩამოყალიბებული იდეალი, რომელიც ასევე ადვილად შეიძლება არასწორად გავიგოთ: „უდიდესი ბედნიერება არის ადამიანის პიროვნება“. ლიბერალურ ეპოქაში მით უფრო აუცილებელია ობიექტურობის ხაზგასმის, რადგან შეიძლება შემოიპაროს რწმენა, რომ პიროვნება და მისი თავისუფლება არის უმაღლესი პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო სიკეთემ, საერთო სიკეთემ და სამართლიანობამ. ასეთი პრინციპი ორთქლდება, როცა მასები ინდივიდუალიზმს, პირად ინტერესებს, ეგოიზმს მიმართავენ.

II. პირის განდიდება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, რომელიც რანგობრივად შემდეგნაირადაა აგებული: *პატივი, დიდება და უკვდავება; მათ ძალა აქვთ მხოლოდ სამართლიანობის, როგორც თემის უმაღლესი ფასეულობის ფარგლებში.* პატივი სოციალური სტატუსია, რომელიც თემში მართლა უახლოვდება მის წევრთა ღირებულების (ღირებულებების შეტანა და ღირებულებების გარანტია) დონეს (ანუ არა მხოლოდ ვითომ, მათი გარე რეპუტაციის მიხედვით! ეს იქნებოდა გარეგნული, მაგრამ უსამართლო პატივი). დიდება ნიშნავს პატივის უმაღლეს ხარისხს, განსაკუთრებით შთამომავლობასა და ისტორიაში. უკვდავება აგრძელებს ადამიანის ნამდვილ ღირებულებას მარადისობაში, მარადიული ფასეულობების სამეფოში, როგორც ღირებული მონადების მატარებელი სხვა მარადიული არსებების თემში („ზეციური ჯარების“ წრეში). ადამიანი („პირი“, „ინდივიდი“, „ბუნებრივი ცოცხალი არსება“) შედის ამ სამ თემში, ჯერ როგორც „სოციალური პიროვნება“ (პატივის მატარებელი), შემდეგ როგორც „ისტორიული სიდიადე“ („ცნობილი პიროვნება“), ბოლოს როგორც „მარადიული არსება“ („უკვდავი სული“).

თუ ახლა აქ წარმოდგენილი ძირითადი შეხედულებიდან გამოვიტანთ დასკვნას, მაშინ მოკლედ შეგვიძლია ვთქვათ: სამივე წოდება შეიძლება უარყოფილი იქნეს ადამიანისთვის, ბუნებრივი არსებისთვის, პირველი ორი – როგორც სამართლიანად, ისე უსამართლოდ, მესამე – მხოლოდ სამართლიანად. თემების, სახელმწიფოს, საზოგადოების, ფორმალური სამართლისა და საზოგადოებრივი აზრის ტრიბუნალის წინაშე შეიძლება ადამიანი სამართლიანად ან უსამართლოდ შეაფასონ (კანონის იდეის გაგებით), კერძოდ, ან მისი რეალური მოვალეობის შესრულებისა და ვალდებულებების შესრულების შესაბამისად,



ან მიუხედავად მისი რეალური საპატიო ღირებულებისა, რომელიც ხან ძალიან მაღალია, ხანაც ძალიან დაბალი, ხოლო ეს უკანასკნელი კი, როგორც გამოცდილება აჩვენებს, უფრო ხშირია, ვინაიდან ძვირფასი ახლობლები მიდრეკილი არიან მისი ღირებულების დამცირებისკენ, რათა საკუთარი თავი კარგ რეპუტაციაში მოაქციონ; ზოგმა იცის, თუ როგორ გამოიყენოს თავის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრი და ოფიციალური ორგანოებიც კი, თავისი დამსახურების მიღმა („ტრაბახები“, „მატყუარები“, რომლებიც, სხვათა შორის, კულტურის ყველა სფეროში და ყველა პროფესიულ წრეში არსებობენ). უსამართლო განსჯა მართლაც ძალიან ხშირია სოციალურ ცხოვრებაში (შესაძლებლობების შერჩევა მოცემულია ქვემოთ I 7,11, II 4,5,15). – უფრო მოუსყიდველია უკვე *შთამომავლობა*, რადგან მეტი არაფერია საშიში და დასაკნინებელი, განსაკუთრებით კი, „ისტორიის ტრიბუნალი“; თუმცა, განსხვავება ისაა, რომ აქ ბევრად უფრო მკაცრი განსჯა გამოიყენება, რადგან არ არსებობს მოგება და უპირველეს ყოვლისა, არავითარი საპირისპირო ღირებულება. ისტორიულ დიადთა წრე ძალიან, ძალიან მცირეა. მაგრამ აქაც ძალიან ხშირად ხდება უსამართლობა, მაგალითად, წოდების „დიდი“ მინიჭებისას; ძველი ისტორია უფრო გულუხვი იყო; რაც უფრო მეტად მივიწვეთ წინ, თანამედროვეობისკენ, მით უფრო ძუნწი ხდება ისტორია. ჰოენცოლერნების დინასტიის მეფე ფრიდრიხ II-მ მაინც მიიღო ეს წოდება; მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჰოენშტაუფენებიდან ისტორიამ არცერთი არ აირჩია. ბოლოსდაბოლოს, რამდენად მოუსყიდველია ისტორია, ცხადყოფს ვილჰელმ II-ის მცდელობის უარყოფა, თავისი ბაბუა, ძღვევამოსილი იმპერატორი ვილჰელმ I, ისტორიაში „დიდის“ წოდებით შეეყვანა. მაგრამ ისტორიის უსამართლო განსჯა ასევე დიდხანს რჩება, საკამათო პიროვნებებს მიღმა, როგორიცაა, ფრანკთა ზემოთ მოხსენიებული იმპერატორები – ჰაინრიხ IV და ფრიდრიხ II შტაუფენი, ასევე იმ ადამიანთა მიღმა, რომლებიც უდავოდ მნიშვნელოვანია თავის მხრივ და რომლებიც ექვემდებარებიან სხვადასხვა ღირებულებით შეფასებას ისტორიკოსის თვალსაზრისის და მიხედვით, როგორიცაა, ნაპოლეონი და ბისმარკი. – მოუსყიდველი და სამართლიანია მხოლოდ ღვთაების განაჩენი იდეაში; *სამართლიანობის იდეას* იქ თავისი ადგილი აქვს. მაგრამ ეს შეეწინააღმდეგებოდა რელიგიის გაცხადებულ სწავლებას, რომ ადამიანის მხოლოდ ღირებული ნაწილი მონაწილეობს უკვდავებაში; უკვდავია მხოლოდ ღირებული მონადის მატარებელი. ფასეულობის თეორიის თვალსაზრისით, უაზრობად ჩანს მზაკვარი დამნაშავეისა და მორალური ნაძირალას ამ მახასიათებლით მარადისობაში შეყვანა და უსამართლობად ჩანს მისთვის ცოდვების მიტევება წინასწარ, მისი მხრიდან ყოველგვარი ქმედების გარეშე (ამ შეხედულებას ემხრობა კანტიც, იხ. II 7 ქვემოთ).

თუ განვაგრძობთ აზრთა ზემოაღნიშნულ თანმიმდევრობას, მაშინ შეგვიძლია შევაჯამოთ: პიროვნების განდიდება გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისგან *ობიექტური* გამომდინარეობს; ეს ობიექტური არის ის, *რაც შეესაბამება სამართლიანობას*. მეორე მხრივ, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ობიექტივიზმი, რომელიც მოქმედებს ცხოვრებაში, უკავშირდება პიროვნებებს, როგორც



მათში განსახიერებულ ღირებულებების ცოცხალ მატარებლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ხისტი და უსიცოცხლოა. ღირებული მონადების ცნება თავის თავში აერთიანებს პიროვნებას და ობიექტივიზმს.

სამართლიანობის არასაკმარის განმარტებას უამრავ საექვო კითხვამდე მიყვართ, რომელიც გადაუჭრელად მიიჩნევა, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სამართლიანობის პრინციპის მეშვეობით გადაუჭრელად, რომელიც ხშირად მოჰყავთ სამართლიანობის იდეის, როგორც უმაღლესი პრინციპის *წინააღმდეგ*. სამართლიანობა შეცდომით განისაზღვრება არა თანასწორობითა და პროდუქტიულობით, არამედ *თანასწორობითა და გასაჭირით*, და აქედან დასკვნა: თუ ადამიანი ან ერი უფრო გაჭირვებულია, მაგალითად, ფიზიკური ან გონებრივი პროდუქტიულობის სისუსტის ან ეკონომიკური სირთულის გამო (ბუნებრივი რესურსების, საკვების, სათბობი მასალების, საცხოვრებლის ნაკლებობა), მაშინ გაჭირვებულმა ნაწილმა, შესაბამისად, უნდა მიიღოს მეტი, ვიდრე მდიდარმა და უზრუნველყოფილმა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მართლწესრიგი (კეთილდღეობა) არ შეიძლება იყოს ორიენტირებული თანასწორობაზე; ვინაიდან, თუ ხელმისაწვდომია პურის ან ქვანახშირის მხოლოდ მცირე რაოდენობა, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს გაჭირვებულს, ამავდროულად უსამართლო იქნებოდა ბედნიერი მესაკუთრისთვის იმ საჭიროებების თანაბარი წილის გამოყოფა, რომელთა გარეშეც ის ახერხებს ცხოვრებას, ხოლო ღარიბებისთვის კი საკმარისი არ არის. თუმცა, აქედან ჩანს, რომ სამართლიანობა უნდა ეფუძნებოდეს არა თანასწორობას, არამედ საერთო სიკეთეს; თემის შიგნით არსებული სიკეთე თანაზომიერად უნდა გადაინაწილდეს ისე, რომ დააკმაყოფილოს თემის წევრების სასიცოცხლო ინტერესები და საჭიროებები. სოციოლოგიური თვალსაზრისით, სამართლიანობის იდეა ასევე უნდა ითვალისწინებდეს სოციალურ, ანუ ეკონომიკურ სიტუაციას. მაგრამ, რა თქმა უნდა, არავინ არ უნდა ამტკიცებდეს, რომ მისი საჭიროებების, ფიზიკური კონსტიტუციის, გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისად, ის სხვაზე მეტს ითხოვს, მაგალითად, ფუფუნების ძვირადღირებულ საშუალებებს, ძვირფას წიგნებს, მაღალმხატვრულ სიამოვნებებს; ეს წინააღმდეგობაში იქნებოდა თემის იდეასთან, ხოლო საერთო სიკეთე ვერ მოითმენდა ცხოვრებისეული სიკეთეების ასეთ არათანაბარ განაწილებას. ცხადია, ეს დამოკიდებულია პროდუქტიულობაზე; თუ პროფესიულ ჯგუფს, მაგალითად, ბუნებისმეტყველთა წრეს (ქიმიურ ან ფიზიკურ ინსტიტუტს) ესაჭიროება დიდი თანხა, მაშინ სამართლიანობამ შეიძლება უკარნახოს, რომ მეცნიერების სხვა დარგმა, მაგალითად, არქეოლოგიამ, უკანა პლანზე უნდა გადაინაცვლოს საჭიროების დროს, რადგან საერთო სიკეთე ამ მომენტისთვის უფრო მეტად დაინტერესებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროში ღირებული მიღწევებით. ცალკეულ შემთხვევებში, საზღვრის გაღება შეიძლება იყოს რთული და არაუსაფრთხო; მაგრამ პროდუქტიულობისა და საერთო სიკეთის პრინციპი მით უფრო აშკარა ხდება. ცალკეულ პირთა ან ჯგუფთა გასაჭირი უნდა იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ ფაქტობრივად და არა თავისთავად, არამედ მხოლოდ სხვა მახასიათებლებთან ერთად. ასევე აუცილებელია გასაჭირის მიზეზების განსაზღვრა; თუ ის გამოწვეულია უმუშევრობით სამსახურის



შესაძლებლობის შემთხვევაში ან ენერჯის ნაკლებობით, ძალების არასაკმარისი გამოყენებით, ძალების არასწორი განაწილებით ან არსებული სიკეთეების არამიზნობრივი გამოყენებით, მაშინ ეს გასაჭირში მყოფის ბრალია; ამასთან ერთად, ამ დროს მის დახმარებას მაღალი ასიგნებებით ანტისოციალური და არაპედაგოგიური ეფექტი ექნებოდა. სრულიად არასწორი იქნებოდა ახლა ქველმოქმედებაზე მითითება ვითომდა მოყვასის სიყვარულის სოციალური ან მორალური მიზეზებით; სამართლიანობა გვიპასუხებდა: თავად დაეხმარე საკუთარ თავს; იმუშავე და მიაღწიე რაიმეს; იყავი პიროვნება (ჰეგელი); გახდი მნიშვნელოვანი. და მაინც, მეორე მხრივ: მოიშორე *მხოლოდ* პიროვნული, იყავი ფუნქციური, უნივერსალური, მარადიული¹. –

აწმყოსა და ახლო წარსულის ფილოსოფიურ ტენდენციებს შორის გაგების ამ წრესთან ყველაზე ახლოს არის *ღირებულებათა ფილოსოფია*, რომელიც სხვადასხვა მეთოდოლოგიური გზებით ვითარდებოდა: კანტსა და ფიხტეზე დაფუძნებული ლოგიკურ-ეპისტემოლოგიური ტენდენციის მიხედვით, განსაკუთრებით ვინდელბანდის, რიკერტის (*System der Philosophie I* 1921) და მიუნსტერბერგის (*Philosophie der Werte* 1908) მიერ; ლოტცესა (*Mikrokosmos* 1856/64) და ნიცშეზე დაფუძნებული ცხოვრებისა და კულტურის თანამედროვე ფილოსოფიის ეთიკური და კულტურულ-თეორიული ტენდენციის მიხედვით (*Nachw. in m. Syst. d. RSoz.* 1949. § 36, S. 365 ff.). განსაკუთრებული მიმართულება, რომელიც ახლოს არის ცხოვრების ფილოსოფიასთან, არის ე. ჰუსერლის მიერ შთაგონებული *ფენომენოლოგია*: Scheler, *der Formalismus in der Ethik und die materiale Wertethik* (1913/6) ტენდენციით (ამ წიგნის მსგავსად), გააფართოოს კანტის ფორმალური ეთიკა შინაარსიანი ფასეულობათა თეორიით.

აწმყოსთვის დამახასიათებელია ფორმებიდან და კანონებიდან შემობრუნება *ყოფიერებასა* და *რეალობაზე* (ontologia); ამრიგად, ნეოკანტიანურ-კრიტიკული საწყისი Nicolai Hartmann, *Ethik* 1926 (1935), zur Grundlegung der Ontologie 1935 (1941). უილიამ შტერნი ცდილობს შექმნას ღირებულებათა ფილოსოფია, ამოდის რა პიროვნებისა და საგნის ფუნდამენტური ანტითეზიდან (*Person und Sache* Bd 3, 1924); თუმცა, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ის მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ პიროვნებას, როგორც მიზანდასახულ ერთეულს და არა საგანს, როგორც უმიზნო, მექანიკურ აგრეგატს. ეგზისტენციალური ფილოსოფია (Heidegger, *Sein und Zeit* 1927) ასევე სუბიექტურია იმდენად, რამდენადაც სამყაროს სურათის აგების საწყის წერტილს იღებს ადამიანის „ყოფნიდან“ და აფუძნებს მასზე მის „გადაწყვეტილებას“. როგორც მის, ისე წმინდა ონტოლოგიის წინააღმდეგ მეტყველებს ის, რომ აქედან შეუძლებელია ობიექტურ ღირებულებებამდე (მატერიალურ ღირებულებებამდე), მითუმეტეს, აბსოლუტურ სიდიდებამდე მისვლა; ისინი არ განეკუთვნება ყოფიერების სფეროს, მაგრამ შედგება განსჯებისა და იდეებისგან მათი ნამდვილობისა და რანგის შესახებ. ამ მხრივ,

1. ლიტერატურა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით: Sauer *Metaphysik* 1951; *Philosophie der Zukunft* 1923 (1926); *Das Wesen der Ehre*, *Logos* Bd. 9, 1920.



კანტის კრიტიკული მეთოდი უფრო მეტს აკეთებს ჩვენი განხილვის საკითხისთვის სტანდარტების შესახებ, რომლებიც აღემატება ფაქტების სამყაროს; მისი ნაკლი სამართლიანად ჩანს იმაში, რომ ის უგულბებლყოფს ფაქტების სამყაროს ან აღწევს მასთან (მეტ-ნაკლებად როგორც ილუზორული სამყარო) მხოლოდ კონსტრუქციული და სუბიექტური საშუალებებით.

ამ საფრთხისგან იცავს ჩვენი სისტემის მიერ არჩეული გამოსავალი *ცხოვრებდან*, საიდანაც კრიტიკული შემფასებელი (ცხოვრებიდან ამადლებულ) ფასეულობებამდე უნდა ამადლდეს. სამართლიანობის დოქტრინამ არ უნდა უგულბებლყოფს ცხოვრება, რომელიც ყოველთვის უნდა შეფასდეს ფასეულობების სტანდარტებით; ცხოვრება არ უნდა იქნეს არჩეული უბრალოდ, როგორც (კონსტრუქციული) შედეგი, არამედ უნდა იქნეს შესწავლილი ფსიქოლოგიის და, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მეცნიერებების დახმარებით. ამიტომ, სოციოლოგია ფაქტობრივ ქვესტრუქტურად უნდა იქნეს მიღებული, ხოლო სოციალური ეთიკა, როგორც ნორმატიული ხესტრუქტურა იმ სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც გამოკვლეული უნდა იქნეს სამართლიანობის ღირებულებებზე.

არც ისე შორს დგანან წარმომადგენლები ღირებულებათა უფრო ახალი ფილოსოფიისა, საიდანაც შესაძლებელია საუკეთესო წვდომა სამართლიანობაზე, როგორც წარსულში ეთიკიდან. შდრ., მაგალითად, Th. Litt, *Individuum und Gemeinschaft* 1919 (1926); *Einleitung in die Philosophie* 1949; E. Rothacker, *Einleitung in die Geisteswissenschaften* 1920 (1930); *Die Schichten der Persönlichkeit* 1938 (1947); v. Rintelen, *Philosophie der Endlichkeit als Spiegel der Gegenwart* 1951 (egzistencialური ფილოსოფიის კრიტიკული განხილვა). თუმცა, უნდა შენარჩუნდეს მატერიალური კონტაქტი სამართლისა და სახელმწიფოს დოქტრინის პრობლემებთან.

კანტი მიხნეულია ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მოციქულად: როგორც ჭეშმარიტების ფანატიკოსი, ის მიდის იქამდე, რომ, თავად მის თანახმად, თეთრი ტყუილი და საზოგადოებრივი გამართლებაც კი ტაბუირებულია და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, დაიცვას თავისი რწმენა, ისევე როგორც მის მიერ ხშირად ციტირებული გმირული გამონათქვამები სამართლიანობის ფასეულობის შესახებ, რომლის გარეშეც ადამიანების დედამიწაზე ცხოვრება ღირებული არ არის (op. postum). მაგრამ, თუ ცხოვრებასთან რამდენად ახლოს გრძნობდა და ფიქრობდა „რაციონალისტი კანტი“, მას რომ ცხოვრების თანამედროვე ფილოსოფიის ფუძემდებელი ეწოდოს, მოწმობს მისი გამონათქვამები, რომლებიც მან მცირე ნაშრომებში, კერძოდ, გვიანდელი პერიოდის ნაშრომებში გააკეთა და აშკარად, არა შემთხვევით: ადამიანს აქვს სიმართლის უფლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არ აზიანებს სხვა ადამიანებს (*Über ein vermeintliches Recht aus Menschenliebe zu lügen* 1797; შდრ. Jak. Barion, *Kants Philosophie im Lichte seiner Persönlichkeit*, Jahrb. D. Alb. Universität zu Königsberg, Bd. 5. 1954, S. 81, 90 Anm. 16 mit Nachw.). თავად კანტის პრინციპების შესაბამისად, აქ უნდა გაკეთდეს დათქმა: მესამე პირის მიმართ არა ყველა ზიანი იძლევა სიმართლის დამაღვის უფლებას, არამედ მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც, მთლიანობაში, აღემატება



სიმართლის დამაღვას. იურისტებისა და სოციოლოგებისთვის ჩვეული ინტერესების ეს აწონა, რომლის თანახმადაც, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტია საერთო სიკეთე, აქაც წყვეტს სიმართლის უფლებისა და ვალდებულების საკითხს. ამგვარად, აქაც წინა პლანზე გამოდის კანტის სამართლიანობის, როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულების პრინციპი, რომელიც აქ ემთხვევა საერთო სიკეთეს.

ამ აშკარა გვერდითი გზებით ცხოვრების (ონტოლოგიურ) ფილოსოფიაში, რა თქმა უნდა, არაფერი იცვლება კანტის ფილოსოფიის ლოგიკურ-იდეალისტურ (ტრანსცენდენტურ) ამოსავალ წერტილსა და მსვლელობაში. ჰუსერლიც კი, რომელსაც კანტის წინააღმდეგ შეგნებული სიმკაცრით სურდა ფილოსოფია ფენომენოლოგიად ხელახლა დაემკვიდრებინა და უსაზღვროდ დახვეწილი კვლევებით ფენომენები, წმინდად ლოგიკურად, იდეებად ეღიარებინა, ვერ კმაყოფილდება გამოცდილების უმარტივესი ფაქტებით, თუ სიმართლე და სამართლიანობა აიხსნება და თავის მხრივ ფასდება როგორც ფასეულობითი განაჩენი. უფრო სწორად, როგორც მისი მიმდევრებიც კი აღიარებენ (თუმცა, თავად არ აღიარებს), თავის კვლევებში, რომლებიც ფორმალური ლოგიკიდან ტრანსცენდენტურ აპრიორიზმამდე მიდის და არასოდეს სრულდება, ჰუსერლი ადგება კიდევ ერთი მემკვიდრის და კანტის მოწინააღმდეგის, ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმის გზას, რომელმაც ნამდვილად იცოდა, როგორ დაესაბუთებინა სიმართლე, მორალი და სამართლიანობა, როგორც აბსოლუტური ფასეულობები თავისი ცოდნის თეორიის ფარგლებში.

ამ კრიტიკულ ამოცანას ვერ გაართვა თავი ჰარტმანმაც, რომელსაც კანტთან გაწყვეტის შემდეგ სურდა ფილოსოფიის ონტოლოგიად დასაბუთება და ცდილობდა აეხსნა ფასეულობები, როგორც იდეალური შრეები (ყოფიერების კატეგორიები) მის შრეების სტრუქტურაში; სიმართლე და სამართლიანობა არ არის ყოფიერების ფასეულობები, როგორც ეკონომიკური სიკეთეები, არამედ ამოცანები, ვალდებულებები, მიზნები, მახასიათებლები, სათნოებები, სტანდარტები. თავის ეთიკაში, რომელიც, სხვათა შორის, ცდილობს კანტის (დიახაც!) და ნიცშეს (კულტურა!), ისევე როგორც არისტოტელეს (რომელიც კანტს უნდა დაეძლია) დაკავშირებას, ის იძლევა „ფასეულობათა ცხრილს“ (თავი 59) გაყოფის შინაგანი პრინციპისა (თავი 38 ბ) და პროდუქტიული ღირებულებითი რანგის გარეშე (თავი 59 ბ), როგორც თავად აღიარებს. და მიზეზი არის ის, რომ არ არსებობს უმაღლესი ფასეულობის პრინციპი. სამართლიანობა, ისევე როგორც პლატონთან, დგას სიბრძნის, სიმამაცისა და ფლობის გვერდით (თავი 44 და შემდგომ), სიმართლე და ჭეშმარიტება დასახელებულია მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული სათნოების შემდეგ (თავი 50). და სად არის საერთო სიკეთე? აკლია. არის თუ არა ეს სულიერი ფასეულობები „უმაღლესი ყოფიერება“? ეს შეესაბამებოდა სქოლასტიკას. და ხომ არ ეწინააღმდეგება ეს სხვა შეხედულებას, რომ დაბალი ფასეულობები (რომელშიც, საკმაოდ უცნაურად, სამართლიანობაც შედის, თვითაღწერის თანახმად, Philosophenlexikon I 463) უფრო ძლიერი და აქტუალურია და რომ დარღვევა უფრო მძიმე წონისაა? ხომ არ შეესაბამება ეს უფრო დაბალი, ანუ ეკონომიკური ფასეულობების უპირატესობა მატერიალიზმს, რომლის წინაშეც უკანა პლანზე გადადის სათნოების



ქრისტიანული დოქტრინის (მოყვასის სიყვარული) ფასეულობები? ნიშნავს თუ არა ჩვენს კულტურულ ტრადიციებთან ეს წინააღმდეგობა იდეალიზმიდან რეალიზმისა და ონტოლოგიისკენ შემობრუნების დასასრულს? პირიქით უფრო სწორია: დაბალი ფასეულობა ხშირად უფრო ძლიერია, მაგ., ეკონომიკა, ქონება; ის უფრო მნიშვნელოვანია გარეგანი თანაარსებობისთვის და შესაბამისად, უფრო დაცულია დადებითი მართლწესრიგით. ამრიგად, ქონებრივი დანაშაული ხშირად უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე შეურაცხყოფა. მაგრამ, სახელმწიფო სამართლიანობა ექვემდებარება სხვა მოსაზრებებს, ვიდრე სოციალურ-ეთიკურს. თუმცა, ჰარტმანს სურს, რომ ეთიკა იყოს ფასეულობების ზოგადი ფილოსოფიური დოქტრინა. აქ ჩანს, თუ სად მიყვავართ შრეების ონტოლოგიურ თეორიას. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მრავალშრიანი ონტოლოგია სრულიად მარცხდება ესთეტიკურ ფასეულობებთან, რადგან ასეთ ფასეულობებს თითოეული ხელოვანი თავად ქმნის, როგორც ამას თავად ჰარტმანი აღიარებს (თვითაღწერა 465). მაგრამ ეთიკური ადამიანის შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებული არ არის, თუ ის არ უნდა იყოს დამოკიდებული აბსტრაქტულ მორალურ დოქტრინაზე, როგორცაა დადებითი სამართლებრივი ნორმები.

ერიკ ფონ ჰიპელი თვლის, რომ *პლატონის* შეხედულებებში შეიძლება მოიძებნოს სამართლიანობის, კერძოდ, შემდეგი ელემენტები: კონკრეტული ქმედება, რომელიც სრული უანგარობის პირობებში ისე აწესრიგებს საგნებსა და ურთიერთობებს, რომ ისინი იდეებში გამოვლენილი კოსმოსური წესრიგის ანარეკლი ხდება; უპირველეს ყოვლისა, აქცენტი კეთდება მორალის (პირველადი სიკეთე) მიმართულებით: პლატონისთვის ჭეშმარიტი პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა გამოყენებითი სამართლიანობა (*Geschichte der Staatsphilosophie I* 1955 p. 131/2). პლატონის ეს განმარტება, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი, როგორც დიდი ლიტერატურის მიმოხილვა აჩვენებს. და ასევე, ლაიბნიცისეული შეხედულებების წარმოდგენა ფონ ჰიპელის მიერ (II 1957 გვ. 67/8) არ შეიძლება დარჩეს წინააღმდეგობის გარეშე საკამათო ტექსტების გამოც²), რაც, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება ამ განმარტების ფასეულობას. „სამართლიანობა ბრძენის სიყვარულია“, ანუ ბრძენი ფასეულობაზე ობიექტური, ლოგიკური თვალსაზრისით განსჯის. „მაგრამ როგორც ღმერთის მიზანი თავის ქმნილებაში მთელი კაცობრიობის ბედია, ასევე ადამიანის სამართლიანობა, როგორც სათნოება, რომელიც თავს ღვთის სამსახურში აყენებს, თავის მხრივ, თავის შინაარსში უნდა მოიცავდეს ყველა ადამიანის კეთილდღეობას. რადგან *justum est, quod publice interest, et salus publica suprema lex est*“. სამართლიანობასა და საერთო სიკეთეს შორის ამ მჭიდრო კავშირს განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლაიბნიცი (გვ. 68) და ის მთლიანად შეესაბამება იდეალისტურ ფილოსოფიას. სწორედ აქ პოულობს პოლიტიკა თავის ეთიკურ გამართლებას.

ყოველი იდეალისტური და ფასეულობითი თეორიის პოზიციის წინააღმდეგ კვლავ

2. შდრ. მაგ., ჰალენეს წარმოდგენა (*Diss. Münster* 1956). ზემოთ, თავი 3 (ბოლო შენიშვნა) გვ. 14.



წამოიწია წმინდა მეცნიერული ხასიათის სერიოზული წინააღმდეგობები. ისინი ამოდიან მცდარი მოსაზრებიდან, რომ კანტისა და მისი მიმდევრების ტრანსცენდენტური (კრიტიკული) მეთოდის თანახმად, იდეას სუბიექტური, პიროვნული ხასიათი აქვს და მოკლებულია ობიექტურ, მეცნიერულ დასაბუთებას მაშინ, როცა ის სწორედაც უნდა წარმოადგენდეს მუდმივს ფენომენების ცვლილებაში, კრიტიკულად გაწმენდილს ცხოვრებაში, ფასეულსა და მარადიულს ყოფიერებაში. ამ შეტევებით, რომლებიც ისევ და ისევ მეორდება ამა თუ იმ ფორმით, ვითომდა ზუსტი მეცნიერული თვალსაზრისით, სურთ დაარტყან სამართლიანობის იდეას ისევე, როგორც მორალისა და ჭეშმარიტების იდეებს, როგორც აბსოლუტურსა და ღვთაებრივს; სჯერათ, რომ მათ კონსტრუქციისა და წარმოსახვის ნაყოფად დაასრულებენ და უპირისპირებენ მათ რელატიურს, როგორც ისტორიულად განპირობებულს, რაც მხოლოდ მეცნიერულად შეიძლება იყოს დადგენილი და დასაბუთებული, რაზეც თანხმდება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სპეციალური ჰუმანიტარული მეცნიერებები. ეს ასევე მოიცავს უახლეს ეგზისტენციალურ ფილოსოფიასა და დიალექტიკურ თეოლოგიას (კარლ ბარტი, გოგარტენი, ე. ბრუნერი, ბულტმანი): ღმერთი გვევლინება როგორც „თვით სხვა“ ჩვენი არსებობის მიღმა; როგორ შეუძლია სასრულ ადამიანს მისი შეცნობა და მის შესახებ რაიმეს თქმა? როგორ შეუძლია მიწიერ მსაჯულს გააცნობიეროს ან შეიცნოს აბსოლუტური, ღვთაებრივი სამართლიანობა? მაგრამ, როგორ შეიძლება აქ საერთოდ პრობლემის დანახვა ან ვარაუდი? [ეს უნდა იყოს მეცნიერულად დადასტურებული!].

ამ „თანამედროვე“, ძალიან თავდაჯერებულად წამოყენებულ ტენდენციებს, სინამდვილეში ჩვენი ცნობიერება საერთოდ არ მიჰყავს წინ, არამედ პირიქით, მიჰყავს უკან; უმნიშვნელოვანესი პრობლემები ყოველთვის გადაუჭრელი რჩება, ყოველი ფილოსოფიის რეალური მეტაფიზიკური საზრუნავი რჩება დაუკმაყოფილებელი. ნაცვლად ამისა, ადამიანი შემოიფარგლება არა მხოლოდ ნეოკანტიანელების (natorpi) მიერ ჯერ კიდევ იმედითა და უსაფრთხო მომავლის ქადაგებით განცხადებული, ფილოსოფიის „მარადიული ამოცანით“, რომელიც პროგრესის პერსპექტივას მაინც ტოვებს დაუმთავრებელი კვლევის ფარგლებში, არამედ ეს გულისხმობს ძალიან ღარიბ და უნაყოფო არსებობას, რომელიც ნაყოფს არ ისხამს და არც მოისხამს, არასოდეს ავლენს სიცოცხლის ჩანასახს. როგორ შეიძლება გწამდეს ღმერთის, თუ ოდნავი წარმოდგენა არ გაქვს მის არსებობაზე, თუ ვერაფერს იტყვი მასზე? განა ასეთ ნეგატიურ, ნიჰილისტურ ფილოსოფიას უკვე არ უნდა ჰქონდეს თანდაყოლილი მეთოდური გაურკვევლობა, მართლაც სერიოზული შეცდომა? უფრო ადამიანში, რომელიც თავის (ფილოსოფიურ თუ სხვა კულტურულ) მისიას აცნობიერებს, ხომ არ უნდა ვიპოვოთ ღვთაებრივი მიდრეკილება, ღმერთების ნაპერწკალი, რომელიც მისივე ნებით უნდა აანთოს? და განა კარგ მოსამართლეს, რომელიც აცნობიერებს თავის მაღალ პროფესიას, არ უნდა ესმოდეს საკუთარ თავში სამართლიანობის იდეა, როგორც ღვთაებრივი ხმა? უმაღლესი ფასეულობები, რაზეც მთელი რელატივიზმი იმსხვრევა, ცხოვრების მიღმა არ დგას როგორც შეუცნობელი სიდიდეები (რა ფასეულობა ექნებოდა მათ მაშინ ცხოვრებისთვის!); ისინი ცხოვრებაშია. ისინი ჩვენში ცხოვრობს. მთელი მოკრძალებით, კულტურულმა



ადამიანმა არ უნდა მისცეს საკუთარ თავს სიღარიბის ისეთი მოწმობა, რომლითაც ის ცხოვრების ჭეშმარიტ ფასეულობებს შორდება³.

3. იურიდიულ პოზიტივიზმსა და სამართლის იდეას შორის (სამართლიანობა, ბუნებითი სამართალი) ურთიერთობის შესახებ არსებობს ვრცელი ლიტერატურა, მათ შორის, ამ ურთიერთობის დოგმატიკაში განვითარების შესახებ. ახალი დროიდან მოყოლებული Lang-Hinrichsen, Zur ewigen Wiederkehr des Rechtspositivismus (In Festschrift für Edmund Mezger. München. 1954, 1-69), მაგ., ბერძნებისა და ფიხტესა და პეგელის, პევილისა და რუფენერის სქოლასტიკის შეხედულებების შესახებ. თუმცა, მასალების მთელი სიმდიდრითა და გამჭვირავობით, ცოტა რამ უწყობს უშუალოდ ხელს ამ წიგნში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას. – სამართლის ფილოსოფიის შესახებ ბოლო ნაშრომებში პოპულარულია სამართლიანობის კავშირი ღირებულებათა ფილოსოფიასთან (რაც მისასაღებელია ავტორთან Franz Vonessen, Rechtsbegriff und Neubegründung der Ethik, ArchRSPH 41 H. 3, 1955), განსაკუთრებით, ბუნებით სამართალთან (როგორც სამართლის უმადლესი, ზესამართლებრივი პრინციპების ძიებაში, მაგ., Coing aaO. und W. Friedmann, ArchRSPH 41, 348, 367/8, 1955) ან ასევე ონტოლოგიასთან და განსაკუთრებით, ეგზისტენციალურ ფილოსოფიასთან. S. 305/25; W. Maihofer, Recht und Sein, Prolegomena zu einer Rechtsontologie 1954). ამის საპირისპიროდ, ძველი მარბურგის ნეოკანტიანური სკოლის აპრიორიზმი (კოენი, ნატორპი, შტამლეერი) კვლავ წარმოდგენილია ავტორთან Emge, Einführung in die Rechtsphilosophie 1955: იყო სამართლიანი ნიშნავს „იქცეოდნე სწორად ისტორიულად მოცემულ სიტუაციაში“; „სისწორეში“, ე.წ. აბსოლუტური ფასეულობების ზოგად ცნებაში, „სამართლიანობა და სამართლებრივი უსაფრთხოება შეჩერებულია“. მრავალი ცალკეული ტრაქტატისგან შემდგარი ამ ვრცელი ნაშრომის ძირითადი თვალსაზრისი („კონცეფცია“) შემდეგია: ლოგიკური სიტუაცია, აქტუალობა, სისწორე, ავტორიტეტული და სავალდებულო, განზრახვა, ვალდებულება, რეალობა; შედეგები (რომელსაც თავად ავტორი მხოლოდ უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებს, გვ. 218/24) შეიძლება იყოს, ისევე როგორც ნებისმიერი აპრიორი მეთოდის შემთხვევაში, მხოლოდ ფორმალური, ლოგიკურ-ანალიტიკური გადაწყვეტილებები (თავისთავადობის, სიტყვათა ჭიდილის, სპირალური ბრუნვების ბრალდება). არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი, აუცილებელი თვალსაზრისი, როგორცაა ფასეულობების სტანდარტი, მარეგულირებელი იდეა, სოციოლოგიური ობიექტი (ინტერესი), ცხოვრება და კულტურა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება უფლება, სამართლიანობასა და საერთო სიკეთესთან ერთად, გონივრულად განისაზღვროს (ანუ როგორც ცხოვრებისეული ფასეულობა). არასწორად არის გაგებული „სისტემური აზროვნების“ მნიშვნელობა, რომლის გარეშეც არ არსებობს წინააღმდეგობებისგან თავისუფალი, დახურული ცოდნა; მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ „ღია სისტემა“ (რიკერტი), რომელშიც ახალი კვლევის შედეგებს შეუძლია თავისი ადგილის პოვნა. „პრობლემური აზროვნება“, რომლითაც ავტორი კმაყოფილია, მხოლოდ წინასწარი ნამუშევარია, მაგრამ მასაც უნდა აკონტროლებდეს სისტემა. იგივე მოსაზრებები ეწინააღმდეგება ძლიერ ამაღლებულ ნაშრომს ავტორისა Viehweg, Topik und Jurisprudenz 1953; ამის შესახებ მნიშვნელოვანი შეშფოთება ავტორთან Engisch ZStrW. 69, 600. სამართლიანობის იდეაზე არავის შეუძლია უარის თქმა; ეს ჩანს წმინდა ინტერესთა იურისპრუდენციისა და იურიდიული პოზიტივიზმის სხვა წარმომადგენლებთან (მაგ., ვესტერმანის 1954 წლის ციტირებულ სარეკტრო სიტყვაში, სადაც კანონები მიჩნეულია სამართლიანობის იდეის ტიპიზაციად). ასევე მიმანიშნებელია კელსენი, რომელსაც თავის ე.წ. წმინდა სამართლებრივ დოქტრინაში, რომელიც ერთდროულად ნეოკანტიანურ-მეთოდოლოგიურიცა და შინაარსობრივ-პოზიტივისტურია, სურს აღმოფხვრას როგორც ინტერესთა მდგომარეობები, ისე სამართლებრივი ფასეულობები, მაგრამ ის, როგორც ავსტრიის კონსტიტუციის შემქმნელი (1918 წლის ავსტრიის დემოკრატია ნამდვილად ვერ იყო გამართლებული სოციოლოგიურად), 1945 წლის საოკუპაციო სახელმწიფოების კონდომინიუმთან დაკავშირებით ცალსახად უსვამს ხაზს, რომ დემოკრატია არ უნდა დათრგუნოს მოწესრიგებულად გამოთქმული შეხედულება, რომ სამართლიანობის იდეა ფარდობითია და ეს ტოლერანტობას ნიშნავს. – ეპისტემოლოგიური შედეგი ყოველთვის განისაზღვრება კითხვით ლოგიკური აპრიორის შესახებ (არ აგვერიოს წარმოქმნის ფსიქოლოგიურ პროცესთან): კანტის კრიტიკული (ტრანსცენდენტური) მეთოდის გრძელვადიანი მოგება! უკანასკნელ ათწლეულებში განხლდა ინტერესი და გაგება საკითხის მიმართ ჩვენი ცოდნის ლოგიკური შესაძლებლობის, კატეგორიების, ჩვენი აზროვნების კანონების პროპორციის შესახებ; ყოფიერების უშუალო შესწავლა უფრო სასწრაფო აღმოჩნდა, ვიდრე საკითხი შესაძლებლობის, მეთოდის, სამეცნიერო მასშტაბის შესახებ. შიშიც კი არსებობდა, რომ აზროვნების კანონები, რომელთა გარკვევასაც ცდილობდნენ ნეოკანტიანელები, დაჩრდილავდა და გააყალბებდა ჭეშმარიტ ყოფიერებას (რაც ნიცშემ უკვე გამოაცხადა, როგორც ახალი შეხედულება). თუმცა, ახლა სწორედ ცალკეულმა მეცნიერებებმა (ფიზიკა) დაადასტურა აზროვნების კანონების ფუნდამენტური მნიშვნელობა და მათი როლი საგნების შემეცნებაში. თუ ბირთვული ფიზიკის დამადასტურებელი „უკან კანტისკენ“, ფილოსოფია არ იქნება ისეთი ჩამორჩენილი, რომ დაიცვას „წინაპირობითი“ მსოფლმხედველობა (ასეთი ზოგადი სახით 1955 Th. Litt in: Der Convent 5 H. 11). ის, რაც უნდა ვრცელდებოდეს თანამედროვე ატომურ მეცნიერებაზე, სხვაგვარად არ უნდა ვრცელდებოდეს ფასეულობების, განსჯების, ნორმების მეცნიერებაზე, სადაც აზროვნების კანონების წილი კიდევ უფრო აშკარაა.



არ არის ადვილი წარმოდგენის შექმნა უფრო ახალ *ევანგელურ⁴-თეოლოგიურ* შეხედულებებზე. აქამდე მეცნიერების ფუძემდებლად ითვლებოდა შლაიერმახერი. თავის ეთიკაში მან გააერთიანა ელინური და განსაკუთრებით ქრისტიანული შეხედულებები; მისი კანტზე ორიენტირებული შეხედულების თანახმად, ღმერთი არ შეიძლება იყოს მარეგულირებელი პრინციპი, თუ ის ასევე არ არის კონსტიტუტიური პრინციპი, რისი გამართლებაც, რა თქმა უნდა, კანტის თვალსაზრისით სრულიად შესაძლებელია. თუ მას არ სურს სამართლიანობის პირველ სათნოებად განხილვა, როგორც ამას პლატონი და კანტი აკეთებენ, არამედ მისი სიყვარულით ჩანაცვლება სურს, მაშინ ეს სწავლება მხოლოდ დარწმუნების ქრისტიანული ეთიკის თვალსაზრისით შეიძლება აიხსნას. მკაფიო და აშკარა წარმოდგენას გვაძლევს Hans Rust, Kant und Schleiermacher zum Gedächtnis 1954, Jahrb. d. Albertus-Universität zu Königsberg Bd. 5 S. 6-56; შდრ. ასევე ჩემი ნაშრომი Metaphysik 1951 S. 286/7, მასში მოცემული სათნოებების ტიპების ტაბელური მიმოხილვით, სხვადასხვა შეხედულებების შესაბამისად. ბოლო დროს „დიალექტურ თეოლოგიას“, ეგზისტენციალური ფილოსოფიის ნაწილობრივი გავლენით, კრიტიკული ფილოსოფიისგან დამოუკიდებლად სურს რელიგიის ფილოსოფიის შექმნა: ღმერთი, როგორც „სრულიად სხვა“ უნდა ჩამოშორდეს ფილოსოფიურ სპეკულაციას. ამ მიმართულების ფუძემდებელთა შორის, კარლ ბარტის გარდა, სხვა მხრივ, შეიძლება დავასახელოთ ემილ ბრუნერი, რომელმაც ასევე წარმოადგინა წიგნი სამართლიანობის შესახებ 1941 წელს. ამ მიმართულებას მიეკუთვნება ასევე სამართლის ისტორიკოსი და მანამდე ჰეგელსა და შელინგზე ორიენტირებული სამართლის ფილოსოფოსი ვალტერ შონფელდი; სამართლიანობის შესახებ 1952 წელს დაწერილ თავის წიგნში ის ამოდის იქიდან, რომ სამართლიანობა უნდა გავიგოთ არა სამი განზომილებით, როგორც ჩვენი დოქტრინის თანახმად, არამედ – ოთხით; მეოთხე არის თეოლოგიური, რომელიც არ ექვემდებარება ერთ მეცნიერულ (ანუ ფილოსოფიურ) განმარტებას და სავსეა წინააღმდეგობებით. ამრიგად, ბიბლიური იგავი ვენახის შესახებ გონიერების საფუძველზე ვერ აიხსნება („ბევრია მოწვეული და ცოტა – რჩეული“). ბიბლიური პასაჟები, რომლებიც სამართლიანობას ეხება, უნდა განიმარტოს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, ჩემი აზრით, მრავალი პასაჟი გვაძლევს იმის ახსნის საშუალებას, რომ სამართლიანობა ერთ-ერთ უმაღლეს ფასეულობად ითვლება და ღმერთს მიეწერება. ფსალმუნი 16,1: ისმინე, უფალო, სიმათლეს; 16,15: მე სიმათლით ვიხილავ შენს სახეს, გავძლები გამოღვიძებისას შენი სახების მხერით. იობი 33,26: შესთხოვს ღმერთს, ღმერთი კი შეიწყალებს მას, სიხარულით შეხედავს მის სახეს და *სიმათლეს აღუდგენს კაცს*. იობი 34,5: რადგან თქვა იობმა: მართალი ვარ და ღმერთმა წამართვაო სამართალი; – K. Löwith, Weltgeschichte und Heilsgeschehen, die theologischen Voraussetzungen der Geschichtsphilosophie, Stuttgart 1953 ცდილობს დაამტკიცოს, რომ იუდეო-ქრისტიანულ ფუტურიზმს „შეუძლია გახსნას მომავალი, როგორც ყველა თანამედროვე მისწრაფებისა და აზროვნე-

4. როგორც ცნობილია, სამართლიანობის *კათოლიკური* კონცეფცია არისტოტელურ და თომისტურ სწავლებას ეფუძნება. შდრ., მაგალითად, პეტრანჯეისა და მესნერის ნაშრომები (Einf.-RPh. 1954), რომლებსაც მე უკვე არაერთხელ შევეხე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სხვადასხვა წინაპირობისა, კათოლიკური სამართლის ფილოსოფიის ზოგიერთი შედეგი ძალიან ახლოსაა ჩემს სწავლებასთან.



ბის პორიზონტი“ (106). ხოლო გოგარტენი მიიხნევს „ადამიანისა და მისი სამყაროს სრულყოფის იმედს ქრისტიანული რწმენის ბირთვად და გულად“ (Die christliche Hoffnung, Dt. UnivZ 1954 H. 24); თავიდან ეს იმედი მხოლოდ ღმერთზე იყო მიმართული⁵, რომელსაც ადამიანი სთხოვდა თავისი სურვილების ასრულებას, მაგრამ არა მიწიერი სიკეთის, არამედ სხვა სამყაროში ბედნიერებისა, მაშინ, როცა ჩვენს დროში სრულწლოვანებას მიღწეული ადამიანი თავის იმედს კაცობრიობის პროგრესზე ამყარებს, როგორც ისტორიის აზრზე. აქ *საერთო სიკეთე სამართლიანობის ფარგლებში* უნდა გამოვლინდეს. ხელოვნების გეშტალტი ჩამოაყალიბა გერმანულმა იდეალიზმმა და გერმანულმა კლასიციზმმა მათი შეხედულებისამებრ; ფილოსოფიურ გამოხატულებას გეთავაზობს კანტის მარეგულირებელი იდეა და ფასეულობისა და კულტურის შემდგომი ფილოსოფია: იმედი მიმართულია მომავლისკენ, რომელიც ყოველთვის მომავლად რჩება; დრო და მარადისობა მეტაფიზიკური გადაამწყვეტი პუნქტებია.

სისტემატური ცოდნის ბევრჯერ განხილულმა საზღვრებმა წარმოშვა *ინდივიდუალური აქტის*, თავისუფლების, ნების გადაწყვეტილების პრობლემა და შემდეგ ზოგადად *ცხოვრების ფილოსოფიის* მთელი საკითხი და მიმართულება, რომელიც ამგვარად კვლავ სძლევეს კონკრეტულ აქტს და ისწრაფვის სისტემისკენ, თუმცა ასეთი სისტემა ამ გზით ვერასოდეს მიიღწევა (შოპენჰაუერი, ნიცშე, დილტი, შტიმელი). ორი ფართოდ განსხვავებული პრობლემური სფეროს იდენტიფიცირება შესაძლებელია ახსნისთვის. სისხლის სამართლის რეფორმაზე მსჯელობისას მართებულად გვსურს უარი ვთქვათ მუშაობის დოგმატურ სტილზე, რათა ყოველგვარი ზიანის გარეშე განხილული იქნეს ახალი (!) შეთავაზებების სარგებლიანობა და ვნახოთ, იწვევს თუ არა ისინი უფრო მარტივ, სამართლიან გადაწყვეტილებებს, რომლებიც უფრო ეფექტურად უწყობს ხელს საერთო სიკეთეს (მაგალითად, Engisch ZStrW 70, 1959, 567, 603). და შემდგომ: ადამიანის ცხოვრების მიზანია კულტურული ფასეულობების შექმნისდაგვარად შექმნა, შემოწმება და ხელშეწყობა. ცხოვრების ყველა ეტაპზე, ყველა ისტორიულ ეპოქაში ჩნდება ახალი ამოცანები და ახალი მიზნები, რადგან არ არსებობს ორი ერთნაირი მომენტი; ღირებული მონადები ყოველთვის უნდა ხელახლა გადაამუშავდეს და შეივსოს ფასეული შინაარსით. ადამიანისთვის, ხალხისთვის, დროის ყოველ მომენტში განისაზღვრება ახალი მომავალი, რადგან გარემო მუდმივად იცვლება და ქმნის ახალ ღირებულებით კონტექსტებს. თუმცა, კონკრეტული საკითხები, ზოგადად, ყოველთვის ერთი და იგივეა: სიტუაციები, სწრაფვა ძალაუფლებისა და ფასეულობებისკენ, მიზნები, სტანდარტები, ძირითადი კანონები, აბსოლუტური ფასეულობები. ეს, როგორც ვხედავ, არის ღრმა დოქტრინა მარადიული დაბრუნების შესახებ (Nietzsche, Fröhliche Wissenschaft 1882, Aph. 341): ღრმადმოაზროვნე ადამიანი ყოველთვის კვლავ შეიცნობს თავის (!) კონკრეტულ ცხოვრებისეულ ამოცანას, რათა ხელახლა გადაჭრას ის.

(გაგრძელება შემდგომ ნომერში)

5. ლუთერმა თქვა პარადოქსი: იმედით ადამიანი უბრუნდება თავის არარსს, ხოლო ვინც უბრუნდება თავის არარსს, უბრუნდება ღმერთს, ე.ი. არარსში ის პირველად განიცდის ღმერთს, როგორც იმედს, მიზანს და ფასეულობას.



DIE GERECHTIGKEIT*

WESEN UND BEDEUTUNG IM LEBEN DER MENSCHEN UND VÖLKER WILHELM SAUER

4. GERCHTIGKEIT UND PERSÖNLICHKEIT. LEISTUNGSFÄHIGKEIT. SACHLIGKEIT. PHILOSOPHISCHE LAGE

I. Die Gerechtigkeit wird vielfach als Achtung der Persönlichkeit, als Behandlung gemäß der allgemeinen Menschenwürde bezeichnet. Bei einer liberalistischen Welt und Lebensanschauung erfreut sich eine derartige Bestimmung der Gerechtigkeit großer Beliebtheit, während sozialistische Gedankenkreise wohl mehr Gewicht auf die Gemeinschaft zu legen scheinen. Bei näherem Zusehen besteht jedoch ein solcher weltanschaulicher oder gar politischer Gegensatz für die Auffassung der Gerechtigkeit nicht, wie auch allgemein Persönlichkeit und Gemeinschaft nicht in Gegensatz treten sollten. Eine echte, auf den Wert orientierte Gemeinschaft erkennt gerade die Persönlichkeit in ihrer Würde an und beschränkt sie nur insoweit, als es das Gemeinschaftsinteresse erfordert, da alle Gemeinschaftsmitglieder sich zugunsten der Gemeinschaft gleichmäßige Abstriche gefallen lassen müssen. Andererseits, bedarf die Einzelpersonlichkeit zu ihrer Ergänzung und zu ihrer vollen Wirksamkeit der Gemeinschaften; ein jeder ist nichts ohne Verbindung mit anderen Menschen. Nur auf die Grade und Abstufungen kann es bei den Beziehungen des Einzelmenschen zu Gemeinschaften ankommen.

Bestimmt man die Gerechtigkeit unmittelbar nach der Achtung der Persönlichkeit, so fragt sich sofort, welche Elemente der Persönlichkeit für die Beurteilung maßgebend sein sollen; und da kann die Antwort nur lauten: die von ihr in die Gemeinschaft eingebrachten Werte. Äußerliches und Zufälliges am Menschen ist für die Gerechtigkeit offenbar ohne Belang. Die Persönlichkeit ist eine zusammengesetzte Größe und bedarf auch als Beurteilungsobjekt näherer Zergliederung und Bestimmung. Oben (2) wurde allgemein die Leistungstüchtigkeit zugrunde gelegt; sie ist offenbar der wichtigste Gegenstand und Maßstab für die Gerechtigkeit. Es kommen jedoch noch andere Elemente der Persönlichkeit in Frage, und diese bedürfen

* This is a continuation from the first issue of the journal.

im folgenden eingehender Erwägung, damit die Gerechtigkeit vor Fehlurteilen bewahrt bleibt. Und hierbei wird man zu verschiedenen Ergebnissen gelangen nach den oben (3) unterschiedenen verschiedenen Gemeinschaften.

Die Persönlichkeit setzt sich aus Körper und Geist zusammen, und der letztere äußert sich in Wollen, Fühlen, Denken und Handeln. Die natürliche (biologische) Individualität bleibt für die Gerechtigkeitsbeurteilung außer Betracht; die soziale Persönlichkeit äußert sich vor allem in ihrem Wirken innerhalb des sozialen Lebens, im Kraft – und Wertstreben in Richtung auf sozial erhebliche Ziele und Werte. Hiernach steht in der Tat die Leistungstüchtigkeit des Menschen im Vordergrund. Ist es aber gerecht, wenn man nur seine wirkliche Leistung, womöglich den äußeren Erfolg, entscheiden läßt? Beruht sie nicht oft auf besonders glücklichen äußeren Verhältnissen unabhängig vom Willen und Wert des Menschen? Entgegensteht die Ansicht Kants: Nichts in der Welt ist gut als allein der gute Wille. Aber darf sich hierauf der Schüler, der Examenskandidat, der Berufsbeamte, der Staatsmann berufen, wenn sie von Mißgeschick verfolgt werden und wenn der Erfolg ausbleibt? Ist es aber nicht eine Härte, den Erfolg entscheiden zu lassen, wenn der bestveranlagte Mensch durch widrige Umstände verhindert wird, seine Pläne auszuführen, etwa durch Krankheit, Krieg, Tod? Wo liegt die gerechte Entscheidung?

Aus diesem Knäuel von Streitfragen ist ein Ausweg nur zu finden, wenn man sich auf die verschiedenen sozialen Lagen und Aufgaben besinnt und wenn demnach der *Beurteilungsgegenstand* näher umgrenzt wird. Zu beurteilen ist im allgemeinen das *Wirken, das Wertstreben (Wollen und Handeln zur Erreichung günstiger Erfolge) einer Persönlichkeit unter Berücksichtigung ihrer natürlichen, sozialen, wirtschaftlichen, kulturellen Umwelt*. Innerhalb dieser langen Kette vom Willen über die Leistungsfähigkeit und die Leistung bis zum Erfolg ist der Schwerpunkt der Beurteilung verschieden zu verlegen, je nach der Aufgabe, die gelöst werden soll, und je nach dem Gemeinschafts – und sonstigen sozialen Verhältnis, in dem der zu Beurteilende steht. Soll ein gerechtes moralisches Werturteil gefällt werden, etwa in dem Schul – oder kirchlichen Unterricht oder in der Familie oder der Freundschaft, so ist vor allem (wenn auch nicht immer ausschließlich) mit Kant der *Wille* zu beurteilen. In diesem Fall sagt man: er hat wenigstens das Beste gewollt, mag er auch geirrt oder gefehlt oder Unglück gehabt haben; gerechterweise ist aber sein redliches Wollen anzuerkennen. Solche Erwägungen sind jedoch in rein sozialen Angelegenheiten nicht berechtigt, wenn man z.B. den Schüler oder Prüfling oder den zur Anstellung oder Beförderung vorgeschlagenen Berufsangehörigen zu beurteilen hat. In solchen Fällen würde man ungerecht handeln, wenn man die gute Absicht vorziehen würde vor der wahrhaft *tüchtigen Leistung*, die ohne großen Aufwand an Mühe und Fleiß allein auf Grund hervorragender Befähigung zustande kommt. Immerhin mag hier eine geringere Rolle spielen die Frage, ob der tüchtigen Leistung auch der erwartete günstige äußere Erfolg beschieden ist. So erhält der Schüler, der Berufsanwärter auch dann ein gutes Leistungszeugnis, wenn er sein Wissen wegen widriger Umstände, wegen Überfüllung oder Krankheit oder wirtschaftlicher Ungunst nicht verwerten kann. Das tüchtige Werk des Künstlers oder Gelehrten verdient gute Kritik trotz Unaufführbarkeit oder Unverkäuflichkeit.



Es gibt aber auch kulturelle Aufgaben und soziale Verhältnisse, wo allein der *äußere Erfolg* über den Wert entscheidet. Man tadelt gerecht, wenn es über den Arzt heißt: Operation gelungen, Patient gestorben. Oder über einen höheren Verwaltungsbeamten: Gute Verordnung, Seuche ausgebrochen. Oder über einen Dozenten: Gelehrter Vortrag, kein Lehrtalent. Oder über einen Staatsmann: Ausgezeichnete Friedensplanung, Krieg nicht verhindert. Oder über einen Feldherrn: Geschickte Taktik, Feind zuvorgekommen. Man erinnert sich, daß ein Herrscher, der allgemein der Friedensfürst genannt werden wollte und auch genannt wurde, gerade deswegen militärische Konflikte nicht verhindern konnte. Der Historiker beurteilt ihn nach dem Erfolg, aber er fügt gerechterweise hinzu: „rein menschlich gesehen“ oder „in persönlicher Hinsicht“ oder „charakterlich“ war er ohne Tadel. So wird Heinrich IV., der Büsser zu Canossa, wegen seines politischen Weitblicks gerühmt. Und der vielleicht begabteste deutsche Kaiser, Friedrich II., wird der Totengräber des deutschen Reiches genannt. Mitunter läßt man auch den *erwarteten Erfolg* entscheiden. Literarhistorisch wird die erste Bedeutung von Männern gerühmt, wenn ein frühes Ende sie an weiterem Schaffen und an der vollen Entfaltung ihrer genialen Persönlichkeit hinderte; man denke an H. v. Kleist, an Novalis, an Hölderlin, an Mozart, an Schubert. Andererseits wird die Bedeutung dadurch etwas gemindert, wenn sie nach früher hervorragenden Erfolgen sich vom Weiterschaffen trotz langem Leben zurückzogen, wobei man (ohne Verringerung ihres Lebenswerkes) an Schelling, Schopenhauer, Grillparzer, Rossini denken mag. Allgemein darf man sagen: es entscheidend nicht nur die Leistung, sondern auch die *Leistungsbereitschaft*, nicht nur das Werteschaffen, sondern auch die *Gewährleistung des Werteschaffens*. Und zwar steigt der Wert einer Persönlichkeit umso mehr, je widriger die Umweltverhältnisse und je stärker die äußeren Widerstände waren. Insofern nehmen einen hohen und höchsten Rang ein der Staufer Friedrich II., Schiller, Beethoven, Richard Wagner.

Nach Maßgabe der vorstehenden Ausführungen könnte man geneigt sein, die Gerechtigkeit abgekürzt als „Persönlichkeitsbewertung“ oder „Persönlichkeitsbehandlung“ zu bestimmen, womit einer weitverbreiteten modernen Anschauung entsprochen wäre. So wird seit Vertiefung der psychologischen und anthropologischen Persönlichkeitsforschung der letzten Jahrzehnte auch in der Strafrechtspflege gefordert, mehr als bisher über die einzelne Tat hinaus die Täterpersönlichkeit zu berücksichtigen, und schlagwortartig den Satz aufzustellen; nicht die Tat, sondern der Täter ist zu bestrafen; man erkannte richtig, daß die einzelne Handlung nur als Produkt der Persönlichkeit zu verstehen ist und daß eine und dieselbe Tat, etwa ein leichter Diebstahl, ganz anders wiegt, wenn er von einem bisher unbescholtenen Gelegenheitstäter als wenn er von einem vielvorbestraften Gewohnheitsverbrecher begangen wird. Die Gerechtigkeit fordert hiernach verschiedene Bestrafung derselben Tat je nach Verschiedenheit der Personen. Im Grunde wird aber gemäß den Anforderungen der Gerechtigkeit immer nur die Tat bewertet, die lediglich in verschiedener Schwere je nach dem Persönlichkeitswert ihrer Urheber erscheint; sonst müste man, wenn der Täter neue Taten begeht, immer wieder dieselbe Persönlichkeit bestrafen. In der Mehrzahl der Fälle, leichter Übertretungen, Beleidigungen, Gasthausausschreitungen usw., würde es auch zu weit führen, jedesmal Persönlichkeitsforschungen anzustellen, die womöglich das

Schwergewicht auf viel strafwürdigere Verfehlungen bei bisher nicht bekannt gewordenen charakterlichen Defekten verlegen würde. Die an sich erwünschte Persönlichkeitsforschung hat also ihre Grenzen. Die Analyse ist nur so weit auszudehnen, als es die jeweilige konkrete Aufgabe erfordert, um ein gerechtes Urteil zu fällen. Auch hier zeigt sich, wie irrig es ist, ohne weiteres die auf einem Wissenschaftsgebiet (der Psychologie) gewonnene Erkenntnis auf ein anderes Arbeitsfeld zu übertragen. Der Maßstab der Gerechtigkeit bleibt gleichwohl derselbe: Persönlichkeitsbewertung nach der Leistung (Leistungsfähigkeit) im Rahmen der konkreten Aufgabe.

Die Betonung der Persönlichkeit erweist sich andererseits als geboten, um vor schlimmen Fehlurteilen zu bewahren, wie sie das Zeitalter des Kollektivismus mit sich brachte, der sogar auf die persönlichkeitsgerichteten Gebiete der Moral – und der Rechtslehre übergriff: man stellte den Begriff der Kollektivschuld auf und wollte für ein Verschulden bestimmter Einzelpersonen auch andere, persönlich schuldlose Personen bußen lassen. So sollte für Verbrechen führender Männer eine ganze Gemeinschaft Strafe erleiden, für die Untaten des Diktators das gesamte Volk, für Kriegsgreuel unschuldige Kriegsgefangene als Geiseln. Mit Recht hat sich das zwei Weltkriegen unterlegene deutsche Volk gegen die Anerkennung einer derartigen fremden Schuld, auch ein Verschulden am Ausbruch des Krieges gestraut. Das Geiselnwesen ist im modernen Völkerrecht einer gründlichen Revision unterzogen.

